# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 086 (12765) 14 აპრილი სამშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი




ლოკომოტივი vs დინამო

ოლიმპი vs ვიტ ჯორჯია

Live 16:15

# სათასო ბატალიები




გოგიტა მუხაძის ფოტო

გიორგი ლომაია




## რუმინეთიც ჩალით ყოფილა დახურული



რუმინული სკანდალის ექო » 12

# დავით ყიფიანის სახელობის თასი

ნახევარფინალი. პირველი მატჩები. წინათქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქ ფავორიტი არ არსებობს!

14.04. რუსთავი. ფოლადი. 16:15

ოლიმპი
ვიტ ჯორჯია Live

საპასუხო მატჩი 29 აპრილს

არბიტრი: გ. ვადაჭკორია;
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია;
მეოთხე მსაჯი: პ.დოგრაშვილი

14.04. თბილისი. მ. მესხი. 16:00

ლოკომოტივი
დინამო

საპასუხო მატჩი 29 აპრილს

არბიტრი: ლ. კვარაცხელია;
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია;
მეოთხე მსაჯი: მ.ბეუქლიშვილი

**ლოკომოტივი დინამო VS**

**სათასო დაპირისპირებები**

| | |
|---|---|
| **1998-99** | |
| ლოკომოტივი-დინამო | 0:0 |
| დინამო-ლოკომოტივი | 0:0 (2:4 პ.) |
| **2001-02** | |
| **ნახევარფინალი** | |
| ლოკომოტივი-დინამო | 1:0 |
| რუსია | |
| დინამო-ლოკომოტივი | 0:0 |
| **2002-03** | |
| **ნახევარფინალი** | |
| ლოკომოტივი-დინამო | 0:4 |
| ალექსიძე (3), ახალაია | |
| დინამო-ლოკომოტივი | 2:1 |
| დარასელია, ახალაია; ჭიჭველიშვილი | |
| **2007-08** | |
| **ჯგუფური ეტაპი** | |
| ლოკომოტივი-დინამო | 1:2 |
| იმედაძე; დილმელაშვილი, სპასოევიჩი | |
| დინამო-ლოკომოტივი | 7:2 |
| მერებაშვილი (3), დილმელაშვილი (2), ხუციშვილი, ოდიკაძე; დ. ჩაგელიშვილი (2) | |

*დღემდე თასზე მეტოქეებმა ერთმანეთში 8 მატჩი ჩაატარეს: „ლოკომოტივმა" მოიგო 1 მატჩი, „დინამომ" 4, ხოლო 3 შეხვედრა დამთავრდა ფრედ. ბურთების სხვაობაა 5-15.*

**ოლიმპი ვიტ ჯორჯია VS**

**ეს გუნდები თასზე ერთმანეთს არ შეხვედრიან**



გიორგი ლომაია ლოკომოტივის შემადგენლობაში ყველაზე სტაჟიანი ნახევარფინალისტია

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ნახევარფინალური წყვილებიდან დღეს ძირითადად „ლოკომოტივისა" და „დინამოს" სათასო დაპირისპირებებზე ვისაუბრებთ. მიზეზი მარტივია: მეორე ნახევარფინალის მონაწილე გუნდები („ვიტ ჯორჯია" და „ოლიმპი") თასზე ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. ამას გარდა, დაარსებიდან თერთმეტი წლის განმავლობაში „ვიტ ჯორჯიას" საუკეთესო შედეგი საქართველოს თასზე მხოლოდ ნახევარფინალში გასვლაა — ამ სეზონის ჩათვლით მეხუთე შემთხვევაა.

აი, რაც შეეხება მეორე ნახევარფინალურ წყვილს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტრადიციულ სათასო გუნდებთან: „დინამოს" რვაჯერ აქვს საპატიო პრიზი მოპოვებული, „ლოკომოტივს" კი — სამჯერ. მართალია, ეს გუნდები თასის ფინალში ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან, მაგრამ ადრეულ სტადიაზე რამდენჯერმე დაუპირისპირდნენ. სხვათა შორის, თითქმის ყველა ის წინანდელი შეხვედრა ერთობ საინტერესოდ მიმდინარეობდა და ჩვენც, შევეცდებით რამდენიმე მატჩი გავიხსენოთ.

საქართველოს თასზე დღევანდელი მეტოქეების პირველი პაექრობა 1998-99 წლების გათამაშებაში შედგა, როდესაც „დინამოსა" და „ლოკომოტივს" მერვედფინალში მოუწიათ დაპირისპირებამ. წყვილში უპირობო ფავორიტად რაღა თქმა უნდა, **მურთაზ ხურცილავას** „დინამო" ითვლებოდა: საქართველოს თასის წინა რვა გათამაშების ექვსჯერ გამარჯვებული და ერთგზის ფინალისტი (მხოლოდ პირველ გათამაშებაში გამოეთიშა ნახევარფინალს). რაც შეეხება „ლოკომოტივს", გუნდი მხოლოდ მესამე სეზონს ატარებდა უმაღლეს ლიგაში და ამ გუნდისგან ნამდვილად არავინ ელოდა ფავორიტის გამწარებას. თუმცა, **თემურ მახარაძის** გაწვრთნილმა „ლოკომოტივმა" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს და ორივე მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა. გამარჯვებული ვერც განმეორებითი შეხვედრის დამატებითმა დრომ გამოავლინა, სამაგიეროდ პენალტებში „ლოკომოტივმა" იმარჯვა (4:2) და მეოთხედფინალშიც გავიდა. აღსანიშნავია, რომ „დინამოს" ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, ასე ადრეულ ეტაპზე რომ გამოეთიშა თასის გათამაშებას. თუმცა უმთავრესი მაინც სხვა ფაქტორია: დამატებითი დროის ბოლო წუთზე თემურ მახარაძემ მეკარე შეცვალა: **დავით ჯანელიძის** ნაცვლად მოედანზე **ლევან დოლაბერიძე** შეიყვანა. ეს უკანასკნელი კი პენალტების მოგერიების ოსტატად მიიჩნეოდა და „დინამოსთან" შეხვედრაში დაამტკიცა კიდეც. სხვათა შორის, აბსოლუტურად იგივე განმეორდა მეოთხედფინალშიც, როცა „ლოკომოტივის" მეტოქე თასის იმჟამინდელი მფლობელი ბათუმის „დინამო" იყო. აქაც ორივე მატჩის ერთნაირი ანგარიშით (0:0, 0:0) დასრულება, აქაც 120-ე წუთზე ჯანელიძის ნაცვლად დოლაბერიძის შემოსვლა და აქაც მეკარის მოგერიებული პენალტები! მოკლედ, იმ თასის გათამაშებაში „ლოკომოტივი" უკვე აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა — თემურ მახარაძის გუნდმა ფინალისტი და თასის მფლობელი გამოთიშა ასპარეზობას. ფეხბურთელებიც არ იყვნენ ურიგო — **ვარლამ კილასონიას, ალექსანდრე გოგობერიშვილს, შალვა ხუჯაძესა** და **ჰამლეტ წივწივაძეს** მერე უკვე **გიორგი ჩიხრაძე** და **დავით მუჯირიც** დაემატნენ. თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, „ლოკომოტივი" **გაიოზ დარსაძის** „სამგურალთან" დამარცხდა (0:0, 0:1).

„ლოკომოტივმა" მომდევნო სეზონში მაინც შეძლო თასის მოპოვება, როცა ფინალში პენალტების სერიაში ქუთაისის „ტორპედოს" აჯობა. გუნდს მაშინ **რევაზ ძოძუაშვილი** ხელმძღვანელობდა, ვინც იმ სეზონში „ლოკომოტივის" მესამე თავკაცი გახლდათ (მურთაზ ხურცილავას და თემურ მახარაძის შემდეგ). „ლოკომოტივის" ის წარმატება უპირველეს ყოვლისა იმ დროისათვის 20 წლის **გიორგი ლომაიას** უდიდესი დამსახურება იყო; ფინალშიც ხომ იყოჩაღა, მეოთხედფინალშიც, ფაქტობრივად, მარტომ დაამარცხა „ვიტ ჯორჯია", როცა მატჩის შემდგომ პენალტების სერიაში სამი... თერთმეტმეტრიანი მოიგერია!

„ლოკომოტივი"-„დინამოს" მორიგი დაპირისპირება 2001-02 წლების სეზონში მოხდა. დღევანდელი მეტოქეები მაშინაც ნახევარფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული „ლოკომოტივი" გამოვიდა, მერე კი ფინალში ქუთაისის „ტორპედო" დაამარცხა და მეორედ დაეუფლა თასს (გუნდს მწვრთნელთა ტანდემი ხელმძღვანელობდა: **სერგო კოტრიკაძე და გია ჯიშკარიანი**).

„დინამომ" სათასო რევანში მხოლოდ მესამე ცდაზე აიღო: 2002-03 წლების სეზონში კვლავაც ნახევარფინალში შედგა დაპირისპირება; თუმცა იმდროინდელი „დინამო" წყვილში უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა და ასეც მოხდა: **ივო შუშაკის** დამოძღვრილმა გუნდმა ორივე მატჩი მოუგო **ლუის ცაკარიასის** „ლოკომოტივს". განსაკუთრებით აღსანიშნავი პირველი ნახევარფინალური შეხვედრა იყო, რომელიც ვაკეში „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდა. ის შეხვედრა სამმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა დაამშვენა: **რატი ალექსიძემ** ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაიტანა, **გიორგი ანჩაბაძემ** საგოლე კომბინაციებში მონაწილეობის გარდა ჩინებული თამაშით დაგვამახსოვრა თავი, ხოლო **გიორგი ლომაიამ** (ოთხი გოლიდან არც ერთში მიუძღოდა ბრალი) „ლოკომოტივი" არაერთხელ გადაარჩინა. ჰო, ცოტა არ იყოს, უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია — მეკარემ ოთხი გოლი გაუშვა და საკუთარ გუნდში... მაინც საუკეთესო გახლდათ!

„დინამომ" ფინალშიც გაიმარჯვა და ექვსწლიანი პაუზის მერე დაეუფლა საქართველოს თასს; აი, „ლოკომოტივის" მესამე და უკანასკნელი სათასო წარმატება 2004-05 წლების გათამაშებაში ვნახეთ, როცა ფინალში „ზესტაფონს" სძლია. სხვათა შორის, **ნოდარ აკობიას** იმ გუნდიდან დღევანდელ „ლოკომოტივში" მხოლოდ **გიორგი კახელიშვილიღა** თამაშობს.

„ლოკომოტივისა" და „დინამოს" უკანასკნელი დაპირისპირება კი წინა სეზონში იყო; ოღონდ, გუნდები ჯგუფურ ეტაპზე (კიდევ კარგი, ეს არაფრისმომტანი ექსპერიმენტი გააუქმეს) შეხვდნენ ერთმანეთს და **დუშან უჰრინის** „დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო. განსაკუთრებით თვალსასეირო კი ეროვნულ სტადიონზე ჩატარებული უხვგოლიანი მატჩი იყო, სადაც ორივე გუნდის ფეხბურთელები... ერთმანეთს ეფექტური გოლების გატანაში ეჯიბრებოდნენ.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, სათასო დაპირისპირებებში „დინამოს" უპირატესობა აქვს „ლოკომოტივთან". მეტოქეთა დღევანდელი შემადგენლობების გათვალისწინებითაც, წესითა და რიგით, წყვილში ფავორიტად კახა კაჭარავას დამოძღვრილი „დინამო" უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, სათასო პაექრობებში წინასწარ ძნელია რომელიმე გუნდს უპირატესობა მიანიჭო. ეგაც რომ არ იყოს, ამ სეზონში **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** „ლოკომოტივმა" უკვე ორჯერ დაამტკიცა, რომ „დინამოსთან" ტოლი-ტოლზე თამაში შეუძლია. რაღა შორს მივდივართ: ერთი თვეც არ გასულა მას მერე, როცა „ლოკომოტივთან" ფრედ დასრულებული შეხვედრა თანამდებობის დატოვებად დაუჯდა „დინამოს" გერმანელ თავკაცს **რაინერ ცობელს**...

**გია ტუხაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკომოტივი vs დინამო

# დედაქალაქში საიდუმლო იარაღია!

დღეს საქართველოს თასის ნახევარფინალის პირველი მატჩები გაიმართება. საინტერესო დაპირისპირების მოლოდინია „მიხეილ მესხზე“, სადაც „ლოკომოტივი“ თბილისის „დინამოს“ შეხვდება. გამომდინარე სათასო სპეციფიკიდან, აქ ძლიერი და სუსტი მეტოქის ცნება პირობითია. კონკრეტულ მატჩზე კონცენტრირება ნებისმიერი ძალის გუნდს შეუძლია. ამიტომ, თასის გათამაშებაში ფავორიტის გამორჩევას ყოველთვის ერიდებიან. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ დაძაბული მატჩები გველის.

ახლა ვნახოთ, რა განწყობაა მეტოქეთა ბანაკებში და როგორ ემზადებიან დღევანდელი მატჩისთვის. ეს რომ გაგვეგო, რესპონდენტებად „ლოკომოტივის“ მცველი ნიკა გუშარაშვილი და „დინამოს“ ნახევარმცველი დავით დილმელაშვილი შევარჩიეთ...

*ნიკა გუშარაშვილი*

## არ გავამხელ, ყველაფერს მოედანზე ნახავთ...

- ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი აღარ გვაქვს და ჩვენთვის ერთადერთი მოტივაცია თასია. ასე რომ, თასის გათამაშებაზე ვართ გადართულები და მძიმე ბრძოლებისთვის ვემზადებით.

**- ...და სწორედ ამიტომ, „მგლებთან“ ბოლოს ჩატარებულ მატჩში „ლოკომოტივს“ რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი აკლდა. მართლა სათასო დაპირისპირება იყო იმ დანაკლისის მიზეზი?**

- დიახ, ჩვენ თასის გათამაშებაზე ვაკეთებთ აქცენტს, ტრავმებსა და გაფრთხილებებს მოვერიდეთ, ამიტომაც იყო, რომ ზუგდიდელებთან თამაში „ლოკომოტივის“ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა გამოტოვა.

**- ალბათ, ერთგვარ საიდუმლო იარაღსაც უმზადებთ მეტოქეს...**

- რატომაც არა?! გვაქვს გარკვეული ჩანაფიქრი, ვვარჯიშობთ ამაზე... მოკლედ, არ გავამხელ დეტალებს, ყველაფერს თამაშის დროს ნახავთ...

**- „დინამოსთან“ მატჩისთვის დისკვალიფიცირებულები არ გყავთ. ტრავმები ხომ არ გიშლით ხელს?**

- არა, არც ტრავმირებულები გვყავს. ვემზადებით სრული საბრძოლო შემადგენლობით. ვიცით, რომ მეტოქეს მთავარი მეგოლე მათე ვაწაძე და მცველი მილოშ კრშკო არ ეყოლება. ეს ფეხბურთელები ნებისმიერი გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ. ამიტომ, ჩვენთვის ეს ერთგვარი უპირატესობაა.

**- ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ დინამოელთა დანაკლისის გამო, „ლოკომოტივზე“ მეტი შანსი გაქვთ?**

- არა, ასე ვერ ვიტყოდი. „დინამოს“ ყველა რგოლში ჰყავს კარგი ფეხბურთელები. თავად განსაჯეთ, ვაწაძისა და კრშკოს გარეშე „დინამომ“ რთული მატჩები მოიგო. თუნდაც ბოლოს, ზესტაფონში გამარჯვება (4:0) რად ღირს?! ეს არ არის პატარა ამბავი. ამდენად, დინამოელთა დანაკლისი მაინც პირობითი მგონია. შესაბამისად, მეტოქის ძალის მხრივ არც არაფერი იცვლება. „დინამო“ მებრძოლი გუნდია. არა ერთი კარგი ინდივიდუალისტი ჰყავს... თუმცა არც უნაკლოა. ანუ, იმის თქმა მსურს, რომ ჩვენი მეტოქე, მიუხედავად მისი სიძლიერისა, სულაც არ არის დაუმარცხებელი.


ნიკა გუშარაშვილი

**- აქედან გამომდინარე, „დინამოს“ ნაკლსაც უნდა ხედავდეთ. და რა ნაკლი აქვს „დინამოს“ თქვენი აზრით?**

- ამას ხმამაღლა ვერ ვიტყვი, უბრალოდ, ვეცდებით, ეს მოედანზე გამოვიყენოთ.

**- როგორც მცველი, „დინამოს“ შემტევთაგან ვის გამოარჩევდით?**

- რა თქმა უნდა, გიორგი მერებაშვილს. ის „დინამოში“ ერთ-ერთი საუკეთესოა. მათე ვაწაძეც არანაკლებ მომწონს...

**- მიმდინარე სეზონში სამჯერ ეთამაშეთ „დინამოს“. მოიგეთ, წააგეთ და ბოლოს ფრედ ითამაშეთ. საინტერესოა, რა შედეგს უნდა ველოდოთ 14 აპრილის მატჩში?**

- არ მსურს პროგნოზის გაკეთება... ისე, თუ გახსოვთ, „დინამოს“ გერმანელი მწვრთნელი რაინერ ცობელი სწორედ ჩვენთან ნათამაშები ფრის შემდეგ დაითხოვეს გუნდიდან. გუნდს ახლა კახა კაჭარავა ხელმძღვანელობს. როგორც შედეგებიდან ჩანს, დინამოელებს ახალი მწვრთნელი მოუხდათ, ჩინებულად ათამაშდნენ. ნამდვილად გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ „დინამომ“ ზესტაფონში 4:0 მოიგო.

**- როგორ ფიქრობთ, ფინალისტის ვინაობას პირველი მატჩის შედეგი ხომ არ გადაწყვეტს?**

- არა, ყველაფერი საპასუხო მატჩში გაირკვევა. პირველ მატჩში მასპინძლები ჩვენ ვართ და ბუნებრივია, ეს გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა პირველი თამაში ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდეს.

**- და რა იქნება თქვენთვის სასურველი შედეგი?**

- რა გითხრათ... იცით, ნამდვილად მჯერა, რომ შეგვიძლია „დინამოს“ დამარცხება. შედეგებიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ გუნდისთვის „ლოკომოტივი“ უხერხული მეტოქეა... რაც შეეხება კითხვას, თუ ორი ბურთით ვერა, ისე მაინც უნდა მოვიგოთ. მოკლედ, ფინალში გასვლისთვის თავს გადავდებთ!

*დავით დილმელაშვილი*

## ყველანაირად ვეცდებით, რომ ასეც მოხდეს...

- უკვე რამდენიმე მატჩია, რაც ტრავმირებული მათე ვაწაძისა და მილოშ კრშკოს გარეშე ვთამაშობთ. ისინი ჩვენი წამყვანი მოთამაშეები არიან, მაგრამ, როგორც ხედავთ, შევძელით და გუნდი ისე თამაშობს, რომ ეს დანაკლისი არ ჩანს. კრშკოსა და ვაწაძის გარდა, სხვა არავინ გვაკლია. სრული მობილიზებით ვემზადებით.

**- ზესტაფონში მოგებამ, ალბათ, დამატებითი სტიმულიც მოგცათ...**

- „ზესტაფონამდე“ ხომ „ოლიმპსაც“ მოვუგეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული გამარჯვება ჩვენთვის დიდი სტიმულია.

**- მიუხედავად დიდი ანგარიშით გამარჯვებისა, ზესტაფონური მატჩი მაინც დიდ ენერგიას წაიღებდა. ძალების აღდგენა თუ მოასწარით?**

- დიახ, მართლაც დიდი ენერგია შევალიეთ. თუმცა ყველანაირად ვცდილობთ, მობილიზებულები და კონცენტრირებულები შევხვდეთ ნახევარფინალის პირველ შეხვედრას. მჯერა, ჩვენი მწვრთნელების მეცადინეობით ამას მოვახერხებთ კიდეც.

**- ამ სეზონში „ლოკომოტივი“ „დინამოსთვის“ უხერხულ მეტოქედ მიიჩნევა. ასეთ შეფასებას რამდენად ეთანხმებით?**

- შეიძლება, ასეც ითქვას. სამი მატჩიდან თითო მოგება, წაგება და ერთიც ფრე - ასეთია ამ სეზონში ჩვენი ურთიერთშეხვედრების ისტორია. სწორედ ამიტომაც ვართ განსაკუთრებულად მობილიზებულები, რათა ნახევარფინალის როგორც პირველ, ისე საპასუხო შეხვედრაში ჩვენთვის სასურველი შედეგები დაფიქსირდეს.


დავით დილმელაშვილი

**- ხომ არ ელოდებით, რომ ფინალისტის ვინაობა პირველივე შეხვედრაში გაირკვევა?**

- არ, მგონია. თუმცა ყველანაირად ვეცდებით, რომ ასეც მოხდეს - ანუ, პირველი მატჩი იმ ანგარიშით მოვიგოთ, რაც საპასუხო შეხვედრისთვის მეტ-ნაკლებად მშვიდად ყოფნის საშუალებას მოგვცემს.

**- ვის აქვს უფრო მეტი შანსი?**

- ვფიქრობ, მაინც ჩვენ! პროცენტულად ვერ გეტყვით, მაგრამ კიდევ ვიმეორებ - ჩვენ მეტი შანსი გვაქვს. ამ სიტყვებით მეტოქეს სულაც არ ვაკნინებ. ჩემი დაკვირვებით, „ლოკომოტივი“ პერსპექტიული გუნდია, კარგი მწვრთნელებიც ჰყავს... თუმცა ჩვენი მიზანი დუბლია და მარტო ფინალში გასვლას კი არა, უკვე თავად ფინალის მოგებას ვუმიზნებთ.

**- მეტოქე გუნდიდან ვის გამოარჩევდით?**

- კონკრეტულად არავის გამოვყოფდი. მთლიანობაში, „ლოკომოტივი“ საკმაოდ მებრძოლი გუნდია.

**- ბოლო ტურის შეხვედრაში „ლოკომოტივმა“ წამყვანი ფეხბურთელები დაასვენა. ზოგი მიიჩნევს, რომ მეტოქე „საიდუმლო იარაღს“ გიმზადებთ...**

- ჩვენც გვაქვს „საიდუმლო იარაღი“, ოღონდ, ახლა სხვას არაფერს ვიტყვი, ამას თამაში გამოაჩენს.

**დავით ცაბაძე**

ტურის ფეხბურთელი

კახა კაჭარავა


კახა კაჭარავა

# მთავარია დიაგნოზი...

ზედიზედ მეორედ ტურის მწვრთნელად **კახა კაჭარავას** ვასახელებთ. მისმა დამოძღვრილმა „დინამომ“ „ზესტაფონს“ სტუმრად 4:0 მოუგო. ზესტაფონში თამაში კი ადვილი არ არის, ეს არის ქალაქი, სადაც ისევ ათასობით ხალხი დადის სტადიონზე. 10 აპრილის სუსხიან საღამოს კი „დინამომ“ ჭინჭარივით დასუსხა „ზესტაფონი“...

მწვრთნელის მთავარი საქმე ის არის, რომ ფეხბურთელები კარგად მოამზადოს კონკრეტული მატჩისთვის. ზედიზედ ორი ტურია, კაჭარავა ამას ჩინებულად აკეთებს. „ზესტაფონი“ სიურპრიზს ვერ შესთავაზებდა „დინამოს“ - ყველამ იცის, რა ფეხბურთის მიმდევარიცაა **გიგა გეგუჩაძე**. კაჭარავამ კი გვიჩვენა, რომ ნაირგვარ მეტოქესთან და სიტუაციაში ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში მის გაწვრთნილ გუნდს. „ზესტაფონამდე“ „დინამომ“ რუსთავის „ოლიმპი“ დაამარცხა, საკმაოდ კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც მწვრთნელ **ვალერი კილასონიას** ხელში ამ სეზონში მანამდე არ წაეგო.

კაჭარავას დაახლოებით 3 კვირის წინ გადაულოცეს „დინამო“, თუმცა გუნდში ახალი კაცი ვერ იქნებოდა - მანამდე ხომ **რაინერ ცობელის** თანაშემწე იყო (კაჭარავა „დინამოს“ პირველ გუნდში მწვრთნელად 2006 წლიდან მუშაობს).

კაჭარავამ გუნდი, ფაქტობრივად, შუა გზაზე ჩაიბარა და მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ მოახდენდა, თუმცა მან ყველაზე კარგად იცოდა დიაგნოზი - რატომ ჰქონდა „დინამოს“ ჩაგდებული თამაშები ცობელის ხელში. ვფიქრობ, „დინამოს“ ხელმძღვანელობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, გერმანელის წასვლის შემდეგ გუნდი კაჭარავას რომ ანდო.

კაჭარავას ადრეც გაუწვრთნია „დინამო“ დამოუკიდებლად - საქართველოს უტიტულოვანეს გუნდში **დუშან უჰრინის** მოსვლამდე, როცა **ანდრეი ჩერნიშოვის** წასვლის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტი კლუბში ვაკანტური იყო. მაშინ კაჭარავას არ ჰქონდა იმხელა გამოცდილება, ახლა რომ აქვს. თანაც ის დროებით მწვრთნელად ითვლებოდა, ანუ არ ჰქონდა დიდი ნდობა და შანსი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი გამხდარიყო, ახლა კი ვითარება განსხვავებულია - კაჭარავა უკვე „დინამოს“ მთავარი მწვრთნელია და თუ მისი გუნდი ჩემპიონი გახდება, ვინძლო, კლუბმა აღარც იფიქროს უცხოელი სპეციალისტის მოწვევაზე.

კაჭარავას ხელში „დინამო“ უფრო კონცენტრირებული ჩანს. ეს მწვრთნელი არ გამოირჩევა აგრესიულობით, ყოველთვის იმას ცდილობს, კორექტული იყოს - ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს გარედან. კაჭარავა პრესკონფერენციებზე ყოველთვის დაჰყვებოდა უჰრინსა და ცობელს. ვერ გეტყვით, თარჯიმნობა მას კონტრაქტით ჰქონდა დავალებული თუ კლუბი ფულს ზოგავდა, მაგრამ აქედან პირველ რიგში ის ჩანდა, რომ კაჭარავა არასდროს ყოფილა ცალკე, ყველა მთავარ მწვრთნელს გვერდში ედგა.

„ზესტაფონთან“ „დინამომ“ ფრთხილი ტაქტიკა აირჩია, თითქოს, გუმანით ხვდებოდა, რომ მოწინააღმდეგე შეცდომებს უხვად დაუშვებდა. „დინამოს“ გამარჯვება ძალიან სჭირდებოდა, სხვანაირად ხომ „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩამორჩენას გაზრდიდა, მაგრამ კაჭარავას ნერვებმა არ უმტყუნა, გუნდს შეტევაში თავქუდმოგლეჯილი წასვლა არ დაავალა, ძალები სწორად გაანაწილა, მეტოქეს სივრცეები კარგად შეუზღუდა და მსუყე გამარჯვებასაც მიაღწია. „ზესტაფონმა“ კი უპირატესობას მოედნის ვერც ერთ მონაკვეთზე ვერ მიაღწია. ამ წარმატებით კაჭარავასა და მთლიანად „დინამოს“ თავდაჯერებულობა უნდა მომატებოდათ, რაც დიდად მნიშვნელოვანია ჩემპიონობისა და თასისთვის მებრძოლი გუნდისთვის.

კაჭარავა „დინამოს“ სასტარტო შემადგენლობაში გაბედულად ათამაშებს 18 წლის **ვაჟა ნემსაძეს**. უმცროსი ნემსაძე ფეხბურთის თამაშით მამამის, **გიორგი ნემსაძეს** არ ჰგავს, სულ სხვა ტიპის ნახევარმცველია, თუმცა საკმაოდ საიმედოდ ირჯება ნახევარდაცვის ცენტრში. ზესტაფონში ყველა დინამოელმა კარგად ითამაშა. ბურთის ართმევაში დინამოელთა უპირატესობა თვალშისაცემი იყო და ამ ფაქტორმა ძალიან ბევრი გადაწყვიტა.

2 თამაში, 2 მოგება, 6 გატანილი და 1 გაშვებული გოლი - ასეთია „დინამოს“ მონაგარი კაჭარავას ხელში. ცხადია, მთავარი ბრძოლები წინ არის - სათასო ბატალიები და 10 მაისს ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი „ვიტ ჯორჯიასთან“. მანამდე კი იმის თქმა შეიძლება, რომ კაჭარავა საქმეს კარგად უძღვება.

**დავით თავართქილაძე**

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XXVII ტური. მიმოხილვა

# საფინიშო პრიორიტეტები

| XXVII ტური | |
|---|---|
| **10 აპრილი, პარასკევი** | |
| ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 1:3 |
| ზესტაფონი-დინამო | 0:4 |
| ლოკომოტივი-მგლები | 1:1 |
| გაგრა-სიონი | 1:2 |
| **11 აპრილი, შაბათი** | |
| სპარტაკი-ბორჯომი | 2:0 |

მესხეთი ისვენებდა

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 25 | 16 | 8 | 1 | 43-14 | 56 |
| 2. დინამო | 25 | 17 | 4 | 4 | 54-18 | 55 |
| 3. ზესტაფონი | 24 | 13 | 4 | 7 | 29-19 | 43 |
| 4. ოლიმპი | 25 | 11 | 9 | 4 | 27-16 | 42 |
| 5. სიონი | 25 | 10 | 9 | 6 | 28-21 | 39 |
| 6. მგლები | 25 | 8 | 6 | 11 | 29-31 | 30 |
| 7. ლოკომოტივი | 24 | 8 | 6 | 10 | 26-25 | 30 |
| 8. მესხეთი | 24 | 5 | 8 | 11 | 15-31 | 23 |
| 9. გაგრა | 25 | 5 | 6 | 14 | 19-40 | 21 |
| 10. სპარტაკი | 24 | 4 | 6 | 14 | 23-39 | 18 |
| 11. ბორჯომი | 25 | 2 | 6 | 17 | 18-57 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| ვაწაძე (დინამო) | 10 |
| თოდუა (მგლები) | 10 |

## აუტსაიდერების თემა

სამწუხაროდ, ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა, როცა XXVII ტურს სათაურად „ორი ეპიცენტრი" შევურჩიეთ. ჰო, ლიდერთა ოთხეულის მონაწილეობით ჩატარებული ტურის ორივე მატჩი განსაკუთრებულიც უნდა ყოფილიყო, პრინციპულიც და ამასთან, ცხრილშიც გარკვეული კორექტივები უნდა შეეტანა. ჯერ ცხრილის ცვლილებები ვახსენოთ და წინდაწინ ვთქვათ, რომ... აბსოლუტური „უმოძრაობაც" ვნახეთ! ანუ, ჩემპიონატის მონაწილე თერთმეტივე გუნდი ისევ იქ დარჩა, სადაც იმყოფებოდა; ერთადერთი, მხოლოდ „სპარტაკი" მიუახლოვდა უშუალო კონკურენტებს და ჯერ კიდევ „გუშინ" რომ ყველას პირველ ლიგაში გვყავდა „გაგზავნილი", ამჟამად სულ სხვა სიტუაციაა. შეხედეთ ცხრილს და თავად დარწმუნდებით, რომ „სპარტაკის" მდგომარეობა კატასტროფული ნამდვილად არ არის — „გაგრას" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება, „მესხეთს" კი — ხუთით. თანაც, მომდევნო ტურში სწორედ „გაგრა"-„სპარტაკის" დაპირისპირებაც გველოდება. ამასაც რომ თავი დავანებოთ, გვეეჭვება „მესხეთმა" მომდევნო ორ შეხვედრაში ქულათა მარაგს რაიმე შეჰმატოს: **კობა თედიაშვილის** გუნდს ჯერ „დინამოსთან" უწევს სტუმრად ასპარეზობა, მერე კი „ვიტ ჯორჯიას" უნდა უმასპინძლოს. ისევ „სპარტაკს" დავუბრუნდეთ და ისიც ვთქვათ, რომ ამ ტურში **სერგო გაბელაიას** გუნდს გამარჯვება არ გასჭირვებია. ჰო, მეორე ეტაპის დასაწყისიდან „ბორჯომთან" სამი ქულა წინასწარ უნდა დაგეგმო — ჩემპიონატის უიმედო აუტსაიდერი უკვე ახლავე შეგვიძლია გამოვაცხადოთ პირველ ლიგაში დაქვეითებულად; იმაზე აღარაფერს ვამბობთ, თუ როგორი ფინანსური პრობლემებია ამ გუნდში და არც იმაზე, რომ ყოველ ტურში... ახალი მთავარი მწვრთნელი (გნებავთ — მოვალეობის შემსრულებელი) ჰყავთ...

„მესხეთი" ამ ტურში ისვენებდა, აი, „გაგრამ" კი მეტად დასანანი მარცხი იწვნია. „გაგრა"-„სიონის" მატჩის რეცენზიაში გუშინაც აღვნიშნეთ, რომ უკვე ის გვიკვირს, როცა უმოტივაციო გუნდები ბოლომდე იხარჯებიან. „სიონზე" მოგახსენებთ: ერთი შეხედვით, **ოთარ კორღალიძის** გუნდს ჩემპიონატში „ინტერესი" აღარ უნდა ჰქონდეს; ჰო, „საპატიო" მეხუთე ადგილზე არიან და ძნელი სავარაუდოა, რომ თუნდაც ბრინჯაოს მედლებისათვის იბრძოლონ (მეტისმეტად რთული კალენდარი აქვთ). არადა, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ შემადგენლობით „სიონი" კი არ ჩამოუვარდება, აღემატება კიდეც ლიდერთა უმრავლესობას. ეგ კი არა, ხშირ შემთხვევაში, ზოგიერთი ბევრისმნახველი და სახელიანი (ჩვენი ჩემპიონატის პირობაზე) ფეხბურთელი თადარიგში ზის ან სულაც... განაცხადში ვერ ხვდება! მოკლედ, კორღალიძეს, ბევრი კოლეგისაგან განსხვავებით, საქმე, მართლაც ასარჩევად აქვს და ასე იყო „გაგრასთან" შეხვედრაშიც. ვინც ეს მატჩი იხილა, ვერავინ იტყვის, რომ ბოლნისელებმა შემთხვევით გაიმარჯვეს. თუმცა ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ მასპინძლებმა მეორე ტაიმის უმეტესი დრო შეტევებში გაატარეს. მაგრამ, ახალგაზრდული ასაკისთვის დამახასიათებელმა ნერვიულობამ ნეგატიური როლი შეასრულა — „გაგრას" ფეხბურთელებმა, სულ მცირე, ხუთი უაღრესად ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს! თუმცა, მთლად გამოუცდელობას და უიღბლობასაც ვერ დავაბრალებთ — „სიონის" გამოცდილმა მეკარემ **გრიგოლ ჭანტურიამ** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ასაკის მიუხედავად, საქართველოს ჩემპიონატში კოლეგებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. მეტოქის მეკარის შთამბეჭდავმა და, რაც მთავარია, დამაჯერებელმა თამაშმა დამთრგუნველად იმოქმედა მასპინძლებზე და შეტევაში გართულებს მოწინაალმდეგის მწვავე კონტრშეტევა გაეპარათ. აი, იმ ეპიზოდში კი ორმა ვეტერანმა — **მიხეილ ბობოხიძემ** და **ლევან ბაჯელიძემ** ყველაფერი იდეალურად შეასრულეს. ეფექტური კომბინაცია იყო ნამდვილად, ისე როგორც **ზაზა ჭელიძის** პირველი გოლი; **გიორგი ხიდეშელის** ერთობ აქტიური და ამასთან, ნაყოფიერი თამაშიც უნდა აღვნიშნოთ — მარჯვენა ფლანგიდან ხშირად რომ აწუხებდა მასპინძლებს. მასპინძლებზე კი რა უნდა ვთქვათ — „გაგრას" უკრაინელი თავკაცი **ვიქტორ კაშჩეი** ძიების პროცესშია, შემადგენლობაში როტაციასაც ხშირად მიმართავს და უშუალოდ თამაშის დროსაც ასევე ხშირად უცვლის ფეხბურთელებს ადგილს. სამწუხაროდ, ყველა ცვლილება ვერ აღმოჩნდა ეფექტიანი: ამასთან, ზოგიერთ სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელს **(გიორგი გაბედავა, ლევან შარიქაძე)**, ცოტა არ იყოს, ნაადრევად მოუწიათ გუნდის ლიდერობამ. გაბედავამ ამ მატჩშიც ბევრი იაქტიურა და თავდასხმაში მეწყვილე **ბაჩანა ცხადაძესთან** ერთად ხშირად ემუქრებოდა სტუმართა კარს. თუმცა მასპინძელთა მხოლოდ ერთი შეტევა აღმოჩნდა შედეგიანი, თანაც ცხადაძის გოლი, მართლაც, ლამაზი გამოდგა! დაბოლოს, „გაგრას" ორ ლეგიონერზეც: 17 წლის ნიგერიელ **ოვონიკოკის** გამოცდილება აკლია, თორემ ვფიქრობთ, რომ ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია გუნდისთვის; აი, მასზე ბევრად ასაკოვან და საერთოდ, „გაგრას" ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული მოთამაშე **ვლადიმერ კოზლენკო** მეტისმეტად ბევრ პოზიციურ შეცდომას უშვებს. არადა, კარგად გვახსოვს, ახალი ჩამოსული რომ იყო, მშვენივრად გამოიყურებოდა...

## თასი თუ... ფარსი?

„მოტივაცია" მთლად ახალი ტერმინი არ არის, მაგრამ „მოდური" ამ ბოლო დროს გახდა. ჰო, ძნელია ფეხბურთელს მოსთხოვო მთელი ძალით დაიხარჯოს ისეთ შეხვედრაში, რომლის შედეგსაც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. თანაც, ნუ გვგონია, რომ მხოლოდ საქართველოში ხდება ისეთი შემთხვევები, როცა უმოტივაციო გუნდი ინდიფერენტულად თამაშობს ბევრად მოტივირებულ მეტოქესთან. ასე იყო, არის და იქნება. თანაც, თითქმის ყველგან, როცა ჩემპიონატის ფინიშია მოახლოებული. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რასაც ერთდროულად „ორ ფრონტზე" ბრძოლა ჰქვია: თასის აღებაზეც იფიქრო და ჩემპიონობაზეც, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმე გამოდის. ჯერ ერთი, ორი თანაბარი შემადგენლობა უნდა გყავდეს და რაც მთავარია, პრიორიტეტს რომელს მიანიჭებ, ამაშიც არ უნდა შეცდე. აი, ახლაც, XXVII ტურში რამდენიმე ისეთი მატჩი იყო, სამი დღის მერე ჩასატარებელ თასის ნახევარფინალურ შეხვედრებს პირდაპირ რომ უკავშირდებოდა. „ლოკომოტივმა" ეს ჩემპიონატი კარგა ხანია „დაასრულა" — ახალგაზრდა მწვრთნელების, **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდს ახლა მთელი ყურადღება თასისკენ აქვს მიპყრობილი. ამიტომაც ვერავინ დაძრახავთ, „მგლებთან" შეხვედრაში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი რომ დაასვენეს. მოკლედ, ისეთი შედეგი (1:1) დაფიქსირდა, ორივე გუნდისთვის მისაღები რომ იყო; თანაც, ამ მატჩში მოპოვებულმა თითო ქულამ, ალბათ, საბოლოოდ გაარკვია ის ფაქტიც, რომ მომავალ სეზონში „ლოკომოტივიც" და „მგლებიც" კვლავაც უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ. ისე, **ბესიკ შეროზიას** გუნდს ამ ჩემპიონატში სტუმრად ცოტა უფრო თამამად რომ ესასპარეზა, ალბათ, ცხრილშიც უფრო მაღლა იქნებოდა. ამ მატჩის ირგვლივ კიდევ ის გვინდა ვთქვათ, რომ კვლავაც გაიტანა გოლი „მგლების" ახალწვეულმა **გიორგი ჭედიამ.** აღსანიშნავია, რომ ბელარუსიდან სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა ფორვარდი ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში შედეგიანად თამაშობს და საერთოდაც, გამოცდილ **გია თოდუასთან** ერთად საკმაოდ საინტერესო „ტანდემი" შექმნა.

„სათასო ჭრილში" უნდა განვიხილოთ „ოლიმპი"-„ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირებაც. ჰო, უცნაურად დაემთხვა, რომ ეს გუნდები პარასკევს, ჯერ ჩემპიონატში შეხვდნენ ერთმანეთს, ხვალ კი უკვე თასის ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან. თუმცა, ძნელი სათქმელია, იქნება თუ არა დაპირისპირება ხვალინდელ შეხვედრაში — „ვიტ ჯორჯიას" ლამის ნახევარი გუნდი დისკვალიფიცირებულია! რა თქმა უნდა, დაბეჯითებით ვერავინ დაამტკიცებს, რომ თითქოსდა, „ვეტერინართა" წამყვანმა ფეხბურთელებმა „ოლიმპთან" მატჩში სპეციალურად მიიღეს ყვითელი ბარათები; ანუ, ამით ისინი ხვალინდელ სათასო შეხვედრას გამოტოვებენ, სამაგიეროდ, ჩემპიონატის მომდევნო და პრინციპულ დაპირისპირებაში („ზესტაფონთან") დაბრუნდებიან. ასეთი მანიპულაციები ჩვენთან არახალია და ხანდახან პირიქითაც ხდებოდა, როცა სათასო მატჩები „შეუწირავთ" ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრებისთვის. სხვათა შორის, ევროპის ბევრ წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში შემდეგი წესი მოქმედებს: თასზე მიღებული წითელ-ყვითელი ბარათები ჩემპიონატზე არ ვრცელდება და — პირიქით; ანუ, ამით გარკვეულ ეჭვებსა თუ გაუგებრობებს იცილებენ თავიდან, მით უმეტეს, რომ ასევე ბევრგან თასის გათამაშება პრესტიჟულად არ მიიჩნევა. მოკლედ, საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობას წინადადებით მივმართავთ, რომ მსგავსი რამ ჩვენთანაც დაინერგოს. ბევრი თუ არაფერი შეიცვლება, ეჭვები ხომ მაინც გაქრება, აი, როგორც „ოლიმპი"-„ვიტ ჯორჯიას" მეორე ტაიმის შემხედვარე გაჩნდა. სამწუხაროდ, ერთობ დაძაბული და საინტერესო პირველი ტაიმის მერე... ბრძოლა, რასაც ჰქვია, აღარ გვინახავს. ასეთი უნიათო და უსიცოცხლო „ოლიმპიც" ბოლოს როდის ვნახეთ, ველარ გაგვიხსენებია — ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ გუნდმა პირველი საშინაო მატჩი წააგო ამ სეზონში. ამასთან, ალბათ მკაფიოდ გამოიხატა ორივე გუნდის ძირითადი პრიორიტეტებიც: **ვარლამ კილასონიას** გუნდი აქცენტს თასის გათამაშებაზე აილებს, ხოლო „ვიტ ჯორჯია" — ჩემპიონატზე...

## კაჭარავას ეფექტი

მეხუთე წელიწადია, „ზესტაფონი"-„დინამოს" ნებისმიერი დაპირისპირება უდიდეს ინტერესს იწვევს. გამონაკლისი, რაღა თქმა უნდა, არც პარასკევის მატჩი იყო; მატჩი, რომელიც ბევრისთვის მოულოდნელად, სტუმართა შთამბეჭდავი გამარჯვებით დასრულდა. ვერაფერს ვიტყვით — მართლაც, ჩინებული გამოდგა **კახა კაჭარავას** ხელმეორე დებიუტი „დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ორი შეხვედრა ძლიერ მეტოქეებთან და ორი გამარჯვება — ასეთია „დინამოს" ახალი თავკაცის მონაგარი. რაც მთავარია, კაჭარავა არჩევანში არ ცდება — ისევე როგორც წინა ტურში „ოლიმპთან", ახლაც იმ ფეხბურთელებმა გამოიჩინეს თავი, მწვრთნელი რომ ენდო და ძირითადში გაამწესა. კვლავაც ჩინებულად ითამაშეს **დონალდ ჯიუსმა** და **ალექსანდრე კოშკაძემ** (ამ უკანასკნელმა „დინამოს" მაისურით პირველი გოლი გაიტანა), „დუბლი" შეასრულა ჩერნოგორიელმა **დანილო ტომიჩმა**, ვინც ძირითადში დისკვალიფიცირებული **შოთა კაშიას** ნაცვლად მოხვდა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ „დინამომ" ამ სეზონში ერთობ დაიბრიყვა „ზესტაფონი" — თასიდანაც გამოაგდო, სუპერთასზეც მოუგო და ჩემპიონატშიც სამიდან ორ შეხვედრაში აჯობა. სხვათა შორის, რაც საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" დაარსდა, შინ ასეთი ანგარიშით (0:4) მხოლოდ მეორედ დამარცხდა. პირველი შემთხვევა 2005 წლის 19 ოქტომბერს იყო, როცა **რამაზ მუმლაძის** „ვიტ ჯორჯიამ" შეარცხვინა (იმ მატჩში სამი გოლი **ოთარ მარცვალაძემ** გაიტანა); და აი, ოთხი წლის მერე კლუბის ანტირეკორდი გამეორდა. „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" საჩემპიონო რბოლა კი კვლავაც გრძელდება...

**გია ტუხაშვილი**






გაგრა-სიონი 1:2. გიორგი ხიდეშელი (№9) და თამაზ ჩარგეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის ფეხბურთელი

დონალდ ჯიუსი

# მინდა, მაღიარონ

## თუ კამერუნის ნაკრებში არ მიმიწვევენ, საქართველოს პასპორტს ავიღებ

დონალდ დე რინგ ჯიუსი - ასეთია სრული სახელი და გვარი თბილისის „დინამოს“ კამერუნელი თავდამსხმელის, რომელიც 18 მარტს 19 წლის გახდა. ჯერ კიდევ გამოუწრთობი ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონატში პატარ-პატარა შედევრებს ქმნის და ეპიზოდებში დიდ შესაძლებლობებსაც ავლენს. მეორე წრეში ის „დინამოს“ ერთ-ერთ ლიდერად იქცა. პარასკევს, ჯიუსი „ზესტაფონთან“ თბილისის „დინამოს“ გამარჯვების (4:0) ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო - გოლს საგოლე გადაცემაც დაუმატა. თუმცა სტატისტიკა „მშრალია“, ყველაფერს ვერ გვეუბნება. ასეთი შთამბეჭდავი მონაცემიც კი ვერ გადმოსცემს სრულად იმას, რასაც ჯიუსი მოედანზე აკეთებდა. კამერუნელი ფორვარდი მთელი შეხვედრის განმავლობაში არ გაჩერებულა და „ზესტაფონის“ მცველებს გაუთავებელ თავსატეხს უჩენდა. აქედან გამომდინარე, „ლელომ“ ის ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა...

**- დონალდ, გილოცავ, ჩვენი გაზეთის ვერსიით ტურის ფეხბურთელი გახდი!**

- ტურის ფეხბურთელი? დიდი მადლობა! ძალიან მიხარია. ვეცდები, ფორმა შევინარჩუნო, კარგად ვითამაშო და ყოველი ტურის შემდეგ საუკეთესო ვიყო. აღიარება ყოველთვის სასიამოვნოა. ასე რომ, ჩემგან მუდმივად ასეთ მონდომებულ თამაშს უნდა ელოდოთ.

**- შენი აზრით, „ზესტაფონში“ დიდი ანგარიშით რის ხარჯზე მოიგეთ?**

- დიახ, დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს გამარჯვება იოლად არ მოსულა. თავიდან, „ზესტაფონი“ აგრესიულად თამაშობდა და უპირატესობაც ჰქონდა. თუმცა ჩვენ უკეთესი ფეხბურთი ვაჩვენეთ, რადგან ძლიერი მოთამაშეები და ძლიერი გუნდი გვყავს. მიხარია, კონკურენტს ამხელა სხვაობით რომ მოვუგეთ. ძალიან მინდა, რომ წელს თასიც მოვიპოვოთ და ჩემპიონებიც გავხდეთ.

**- კამერუნის ასაკობრივ ნაკრებში ხომ არ გიწვევენ?**

- ჯერ არაფერს მეუბნებიან, არადა, გამოძახებას დიდი ხანია ველოდები. ორ-სამ თვეს კიდევ დაველოდები და მერე ვნახოთ... შეიძლება, რალაც გადაწყვეტილებაც მივილო.

**- რა გადაწყვეტილებას გულისხმობ?**

- ახლახან, დედაჩემს ველაპარაკე და პირდაპირ ვუთხარი - თუკი არ მიმიწვევენ, საქართველოს პასპორტს ავიღებმეთქი.

**- საქართველოს ნაკრებში თამაში რომ გსურს, ეს ადრეც გითქვამს...**

- დედაჩემმა მითხრა, არჩევანი თავად უნდა გააკეთო, როგორც გსურს, ისე მოიქეციო. მოკლედ, ველოდები კამერუნის ნაკრების მწვრთნელთა საბოლოო გადაწყვეტილებას. დიდი შანსია, ქართული პასპორტი ავიღო. ასე არ არის, ძმაო? (სიტყვა „ძმაოს“ დონალდი საკმაოდ ხშირად ამბობს - რედ.)

**- „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება არ გაგჭირვებია?**

- რთული არ იყო, რადგან ბიჭებისა და ხელმძღვანელობისგან თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობ, აქ ყველას ვუყვარვარ. ამიტომაც ავთამაშდი ასე თავისუფლად. ამას გარდა, მონდომებული ვარ, ვარჯიშებსა და თამაშებზე მაქსიმალურად ვიტვირთები და პროგრესიც აშკარად მეტყობა. სხვათა შორის, ასევე იყო „ბორჯომშიც“, სადაც „დინამომ“ ორი წლის წინათ გამანათხოვრა. მაშინ შევეჩვიე ქართულ ფეხბურთს და მერე, „დინამოში“ დაბრუნებულს, აღარ გამჭირვებია.

**- „დინამოში“ ვისთან მეგობრობ?**

- აფრიკელებთან, ოვონოსა და აკირემთან. ქართველ ბიჭებთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს.

**- დღემდე დილმის ბაზაზე ცხოვრობ?**

- დიახ, მაგრამ ხშირად ოვონოს ან აკირემის სახლში ვრჩები. ახალგაზრდა ბიჭი ვარ და ბაზაზე მარტო ცხოვრებას ვერ ვეგუები. გაბონელებთან ერთად კი კარგად ვერთობი.

**- როგორც ცნობილია, აგვისტოს ომის დროს სამშობლოში არ წასულხართ. დაბომბვის არ შეგეშინდა?**


დონალდ ჯიუსი

- შემეშინდა და ამიტომაც გადავედი სომხეთში ექვსი დღით... თუმცა შორს წასვლა არ მსურდა, ჩემს ქართველ მეგობრებს დახმარება რომ დასჭირვებოდათ, გვერდში ხომ უნდა დავდგომოდი? არადა, „დინამოში“ მთხოვეს - დროებით წადი, რამე არ მოგივიდესო. დედაჩემიც ხშირად მირეკავდა, ნერვიულობდა, ტიროდა, მაგრამ მეგობრების მიტოვება არ მსურდა.

**- „დინამოსთან“ კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- სამ წელიწადში. წასვლას ჯერ არ ვჩქარობ. აქ ტელევიზიით ხშირად მაჩვენებენ, ჩემზე გაზეთებიც წერენ და მეც ეს არ მინდა?! ჩემი მიზანი პოპულარობა და სახელის მოხვეჭაა. იქნებ, მერე ნაკრებშიც მიმიწვიონ. ევროპაში წასვლა მხოლოდ ამის შემდეგ ღირს.

**- საქართველოს ჩემპიონატზე რა აზრის ხარ?**

- კარგი ჩემპიონატია, მომწონს.

**- მაინც რა მოგწონს?**

- ბევრი რამ... თუნდაც ის, რომ რთული ტურნირია. საერთოდ, ქართველები ტექნიკურები არიან, ძნელია მცველების მოტყუება და დაჯაბნა. ამიტომ მიკვირს, „ზესტაფონს“ ჩვენთან რა დაემართა. მათი მცველები ძალიან მომწონდა და არ ვიცი, ასე სუსტად რატომ ითამაშეს... იმას ვამბობდი, რომ მინდა, უახლოესი პერიოდი აქ გავატარო, რაც შეიძლება ხშირად ვითამაშო, ბევრჯერ მოვხვდე სიმბოლურ ნაკრებში და საბოლოოდ, აღიარებასა და ევროპული კლუბების დაინტერესებას მივაღწიო. მართალია, „დინამოში“ ბევრი შეხვედრა არ ჩამიტარებია, მაგრამ ნელნელა ფორმაში შევდივარ, თავს უკეთ ვგრძნობ და ჩემი მიზნის განხორციელება შესაძლებელი მგონია. თანაც, თბილისის „დინამო“ სახელიანი კლუბია და ეს ამოცანის გადაჭრას გამიადვილებს.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა

ტორპედო 2008

# ახალი მწვრთნელის მოლოდინში

## კარანაძე და რუხაძე წავიდნენ. ახალი კაცი თუ ისევ სუხიაშვილი?

პირველ ლიგაში მოასპარეზე ქუთაისის „ტორპედო 2008“ კვლავ სამწვრთნელო გადაადგილების მოლოდინშია. შეგახსენებთ, რომ **გიორგი სუხიაშვილის** წასვლის შემდეგ გუნდი **კახა კარანაძეს** ჩააბარეს. კარანაძეს **ოთარ რუხაძე** ეხმარებოდა. „ბათუმთან“ შინ ნაგებული (0:1) მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ ღიად განაცხადა, რომ შედეგებით უკმაყოფილოა. გაიმართა სპეციალური თათბირიც, რომლის შემდეგაც კარანაძემ და რუხაძემ გუნდი დატოვეს.

*„ცხადია, რომ შედეგებით უკმაყოფილონი ვართ. გამოსავლის გზებზე მწვრთნელებთან ვითათბირეთ. მათ საკუთარი სურვილით დატოვეს თანამდებობები. ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ბუნებრივია, უკეთესი შედეგებისთვის უფრო გამოცდილი მწვრთნელები გვჭირდება“*, - განაცხადა „ლელოსთან“ საუბარში ქუთაისური კლუბის პრეზიდენტმა **ვახტანგ კეკუამ**.

ასე რომ, „ტორპედო 2008-ს“ მწვრთნელი ჯერჯერობით არ ჰყავს. შეგახსენებთ, რომ კარანაძემდე აქ მუშაობდა **გიორგი სუხიაშვილი**, რომელიც ახლა რეგიონალლიგაში მოასპარეზე ფარმკლუბს წვრთნის. არის ვარიანტი, რომ თუ უახლოეს მატჩამდე ქუთაისელებმა ახალი მწვრთნელი ვერ შეიგულეს, მაშინ გუნდს, დროებით მაინც, ისევ სუხიაშვილი გაუძღვება. ახალი თავკაცის თაობაზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

*„მომიტევეთ, მაგრამ ვერ დავაკონკრეტებ. ისე კი გეტყვით, რომ სამ კანდიდატთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. გვინდა, ახალი მწვრთნელი ამ კვირის ბოლომდე დავნიშნოთ და ვნახოთ, მოვასწრებთ თუ არა“*, - გვითხრა კეკუამ.

მომდევნო მატჩს რაც შეეხება, ქუთაისელებს ის 16 აპრილს, ფოთის „კოლხეთთან“ სტუმრად უწევთ. შეგახსენებთ, რომ „ტორპედო 2008“ 20 მატჩში 26 ქულით მე-6 ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი. XXV ტური

**ჩიხურა-პერეთი 2:0**

1:0 ზ. ნოზაძე (40), 2:0 მიქაძე (58).

ჩიხურა: დოლაძე, დოლონაძე (63. დ. ქამუშაძე), ბარაბაძე, ცარციძე, ზივზივაძე, ზაბახიძე, (80. ა. ივანიშვილი), ჩიკვაიძე, ზ. ნოზაძე, პეტრიაშვილი, მიქაძე, როგავა (77. დეკანოიძე).

სათადარიგოები: მწყერაშვილი, ხველელიძე, ჭილლაძე, ენუქიძე.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე.

პერეთი: ბილიხოძე, კობერიძე (60. ოქრუაშვილი), ტაკაშვილი, ხარაიშვილი, ყორღანაშვილი, მურმანიშვილი (73. ნადირაძე), ზ. გაბრიჭიძე, ბ. ფოფხაძე, მაჭარაშვილი (35. მანაგაძე), ყაველაშვილი, წვერავა.

სათადარიგოები: ჯალიაშვილი, გვარაძე, კურტანიძე.

მთავარი მწვრთნელი: კარლო წვერავა

გაფრთხილება: ბარაბაძე, როგავა, გაბრიჭიძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი).

**სიონი2-დილა 0:3**

0:1 თარგამაძე (25), 0:2 ბარამიძე (61), 0:3 ტიელიძე (90+1)

სიონი 2: გურგენიძე, გაბრიჭიძე, გიორბელიძე, პატარქალაშვილი, კახნიაშვილი (74. გოგიბერიშვილი), უგრეხელიძე, უგულავა, ბუბუტეიშვილი, ალფაიძე (46. არლვლიანი), რუსეიშვილი (55. გიგინეიშვილი), ოქროპირიძე.

სათადარიგოები: მესხი, გოგოლაძე, ლ. ჯოხაძე, ი. ბრეგვაძე.

მთავარი მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

დილა: დგებუაძე, ცოცხალაშვილი, შარანგია, თარგამაძე, ჩიხრაძე, სორდია, ქარდავა, თოდუა (78. მაჭავარიანი), თ. ბარამიძე (69. გ. მეტრეველი), ფაილოძე, ანდღულაძე (88. ტიელიძე).

სათადარიგოები: მაისურაძე, სურმავა, ფოცხვერია, ცერცვაძე.

მთავარი მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

გაფრთხილება: თ. ბარამიძე, მაჭავარიანი, უგულავა

არბიტრი: თ. გვანცელაძე (სამტრედია)

**გაგრა2-კახეთი 2:1**

1:0 ჩხაიძე (23), 1:1 იმერლიშვილი (35), 2:1 მოსიაშვილი (80).

გაგრა: ა. კოტრიკაძე, სეფიაშვილი, ტეტუნაშვილი, ლ. კალანდაძე, გედენიძე, კილაძე (55. ბაგალიშვილი), მოსიაშვილი, სეთურიძე (46. ნაჟერიანი), თ. მეტრეველი, ჩხაიძე, ძაგანია (46. გავაშელიშვილი).

სათადარიგოები: გ. ნაჭყებია, ოქრიაშვილი, ბელქანია, დემეტრაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე

კახეთი: კობრიაშვილი, ხამხაძე, ტარულაშვილი, მურველაშვილი, ბ. მჭედლიშვილი, გენგაშვილი, კობაიძე, ზურაბაშვილი, ხუციშვილი, იმერლიშვილი, ძამუკაშვილი.

სათადარიგოები: ხუროშვილი, ნინიკელაშვილი, მეგუთნიშვილი, ბორჩაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: გივი კობაიძე

გაფრთხილება: ტეტუნაშვილი, ხუციშვილი, მურველაშვილი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ნ. დინამო-ამერი 2:5**

0:1 ხატიაშვილი (7), 0:2 ჩიმაკაძე (47), 1:2 ი. ქავთარაძე (55), 1:3 ხატიაშვილი (71), 2:3 ჩუთლაშვილი (79), 2:4 ჩიმაკაძე (87), 2:5 ხატიაშვილი (90+2)

ნ. დინამო: გაბრიჩიძე, ჯორჯიკია, მამარდაშვილი, ედიშერაშვილი, ხიზანიშვილი (88. თურმანიძე), მათნაძე, ლაპარტყავა (74. ჩუთლაშვილი), ხვთისავრიშვილი, მამულაშვილი, ი. ქავთარაძე (80. კობახიძე), აფხაზავა.

სათადარიგოები: ავაქოვი, სეხნიაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

ამერი: ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, გ. ნადირაშვილი, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, სილაგავა (60. ლაფერაშვილი), ჩიმაკაძე (89. ცხოვრებაშვილი), ტიკურიშვილი, ბენდელიანი, ჯანელიძე (65. ნ. ქებაძე).

გაფრთხილება: მამულაშვილი, ხიზანიშვილი, ხვთისავრიშვილი

გაძევება: მათნაძე

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

**ვიტ ჯორჯია2-თბილისი 3:0**

1:0 დათუნაშვილი (52), 2:0 სვანიძე (68), 3:0 მაისაშვილი (86).

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, იოსელიანი, ადამაძე, კასრაძე, ვეკუა, მაისაშვილი, ლანიაშვილი (46. სვანიძე), ვასაძე, ზაქრაძე (46. დათუნაშვილი), გ. ჯანელიძე, როსტიაშვილი (75. გოგიაშვილი).

სათადარიგოები: ღურბელეიშვილი, გამრეკლიძე, ხოკერაშვილი, ცხოვრებაძე.

მთავარი მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

თბილისი: გიორგობიანი, ოდიშარია, ამისულაშვილი, ჭაფოძე, სებისკვერაძე, გურეშიძე, ხოხონიშვილი, კბილცეცხლაშვილი (64. გოგოხია), ჯაში (71. დევდარიანი), ბროლაძე (73. შუშიაშვილი), ტორონჯაძე.

სათადარიგოები: გედენიძე, ბაბუნაშვილი, სარაჯიშვილი, გუჯარაიძე.

მთავარი მწვრთნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: დათუნაშვილი, მიქაბერიძე

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 23 | 16 | 5 | 2 | 41-11 | 53 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 23 | 15 | 5 | 3 | 39-8 | 50 |
| 3. ჩიხურა | 22 | 14 | 5 | 3 | 40-13 | 47 |
| 4. დინამო 2 | 22 | 11 | 8 | 3 | 34-16 | 41 |
| 5. დილა | 23 | 9 | 7 | 7 | 31-21 | 34 |
| 6. თბილისი | 23 | 9 | 3 | 11 | 35-35 | 30 |
| 7. სიონი 2 | 23 | 7 | 5 | 11 | 27-48 | 26 |
| 8. გაგრა 2 | 23 | 6 | 3 | 14 | 30-47 | 21 |
| 9. კახეთი | 23 | 3 | 6 | 14 | 15-40 | 15 |
| 10. პერეთი | 22 | 2 | 8 | 12 | 16-46 | 14 |
| 11. ნ/დინამო | 23 | 2 | 7 | 14 | 23-46 | 13 |

**მომდევნო ტური**

**16 აპრილი, ხუთშაბათი**

პერეთი-ნ/დინამო
თბილისი-გაგრა2
ამერი-სიონი 2
კახეთი-დინამო 2
დილა-ჩიხურა

*ვიტ ჯორჯია 2 ისვენებს*

### დასავლეთი. XXV ტური

**გურია-მეშახტე 2:1**

1:0 მგელაძე (17), 1: ჯოხაძე (33), 2:1 კვერენჩხილაძე (41)

გურია: გოგუაძე, გოგიბერიძე, ბრეგაძე, იმნაიშვილი, შენირული, კუკულაძე, კილაძე, უგლავა (79. ლ. ციკოლია), ჯაყელი, კვერენჩხილაძე, მგელაძე.

სათადარიგოები: კეკელიძე, ქურიძე, ლ. ჯორბენაძე, სულაბერიძე, ურუშაძე, წილოსანი.

მთავარი მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი.

მეშახტე: მემარნიშვილი, გოგუა, ბოჭორიშვილი, მაჩალაძე, ჯიშიაშვილი, კუტალია (34. ხაბურზანია) გიზო სიჭინავა, გოდერიძე, რ. კალანდაძე, ჯოხაძე, ავალიშვილი (75. მერკვილაძე).

სათადარიგოები: თევზაძე

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ფორჩხიძე

გაფრთხილება: ავალიშვილი, მაჩალაძე, ლ. ციკოლია

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ზესტაფონი2-ბაია 1:2**

1:0 ჩასემი (35. პ), 1:1 პაჭკორია (55), 1:2 ქირია (90+4)

ზესტაფონი 2: ძაძამია, ი. ხვადაგიანი, ბერუაშვილი (30. ტაბატაძე), ხაჩიძე, ბერიძე, არეშიძე, ჯულელი (81. ლაბაძე), კვირიკეიშვილი, ჭანკოტაძე (56. ლიბრაძე), ც. ბუკია, ჩასემი.

სათადარიგოები: მეშველიანი, კვიკვინია, კირკიტაძე, ჭელიძე.

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე.

ბაია: ზარქუა, კვეკვესკირი, პაჭკორია, გ. ჟვანია, ქვარცხავა (86. რაფავა), ნ. შონია, ძალამიძე, გუგუჩია (46. სიხარულია), ეხვაია, წურწუმია, ქირია.

სათადარიგოები: მაქაცარია, კუტალია, კ. შონია, კაკუშაძე, აფაქიძე.

მთავარი მწვრთნელი: ელგუჯა ქომეთიანი

გაფრთხილება: ჯულელი, ჩასემი, ტაბატაძე, ბერიძე, ეხვაია.

არბიტრი: მ. ვადაჭკორია (თბილისი)

**ბათუმი-მარტვილი 1:0**

1:0 თედორაძე (28 პ).

ბათუმი: კაკალაძე, ფარტენაძე, ლ. მახარაძე, თედორაძე, რამიშვილი, ზვ. ლობჟანიძე, სამსეიშვილი, ბ. მახარაძე, გრიგალაშვილი (56. გოგიტიძე), დემურაძე (46. ლ. კალანდაძე), ტულუში (82. მ. ჯორბენაძე).

სათადარიგოები: გოგიტაური, ზოიძე, მამეიშვილი, თოთლაძე.

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე.

მარტვილი: ქვილითაია, ფარცვანია (83. ჩხიკვაძე), კვიტატიანი, ლომაძე, იობაშვილი, წონორია (56. ძველაია), ილურიძე, ჩომახიძე, ჩალაძე, ციცხვაია, პაპადოპულოსი.

სათადარიგოები: ტორაძე, შეროზია.

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: ლომაძე, სამსეიშვილი, იობაშვილი, გრიგალაშვილი, ციცხვაია, კაკალაძე.

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

**ხობი-სამტრედია 1:0**

1:0 გაგუა (56).

ხობი: ჭურლულია, მ. შონია, გ. გომენია, კვირკველია ჩაჩიბაია, ალანია (83. ბ. ბუკია), ლეფსაია (72. ლ. გომენია), კ. გომენია, ფირცხალავა, ლომაია (84. ცობეხია), გაგუა.

სათადარიგოები: გელაშვილი, წულაია, გრიგოლია, ჩიტაია

მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია

სამტრედია: ი. შენგელია, გოგია, კირთაძე, ძაგანია, თ. შალიკაშვილი, ვ. ტყემალაძე (65. ჟღენტი), ი. შალიკაშვილი (80. ბაკურაძე), ეცადეიშვილი, ადეიშვილი, ბეგოიძე, ჯიქიძე.

სათადარიგოები: ბანძავა, ნინუა, გუბელაძე, ბოხუა, თელია.

მთავარი მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი.

გაფრთხილება: ალანია, ლომაია, ლეფსაია, ფირცხალავა, ჭურლულია, კირთაძე, ადეიშვილი, ი. შალიკაშვილი.

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ჭიათურა-კოლხეთი (ფ) 2:1**

1:0 ბრეგვაძე (14), 1:1 ნიქარიშვილი (28), 2:1 ლაშხი (89).

ჭიათურა: ბადურაშვილი, გაფრინდაშვილი, სამხარაძე, ბრეგვაძე, ცუცქირიძე, თემირი მიშველიძე (68. იობიძე), ნ. ტყემალაძე (72. პაპიძე), შეყილაძე, ასანიძე (85. ბარათაშვილი), სევასტოპულო, ლაშხი.

სათადარიგოები: ტატაშიძე, რობაქიძე, ვაშაძე, დარბაიძე.

მთავარი მწვრთნელი: დავით იობაშვილი

კოლხეთი: ჩემია, გეგელია, ცხვიტარია, გ. სიჭინავა (64. გვიჩია), გელაჭეიშვილი, გულუა (46. გვალია), აბურჯანია, თურქია, გოგნაძე (87. ლემონჯავა), გ. ციკოლია, ნიქარიშვილი.

სათადარიგოები: ჩიქობავა

მთავარი მწვრთნელი: დავით მახარაძე

გაფრთხილება: ბარათაშვილი, გ. ციკოლია, გეგელია, ჩემია, თურქია.

არბიტრი: ვ. გუმბერიძე (თბილისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 23 | 16 | 2 | 5 | 41-18 | 50 |
| 2. ბაია | 23 | 15 | 5 | 3 | 42-14 | 50 |
| 3. მარტვილი | 22 | 13 | 6 | 3 | 31-16 | 45 |
| 4. ხობი | 23 | 10 | 3 | 10 | 25-35 | 33 |
| 5. კოლხეთი | 23 | 9 | 5 | 9 | 30-24 | 32 |
| 6. ჭიათურა | 23 | 9 | 2 | 12 | 31-36 | 29 |
| 7. ტორპედო 2008 | 22 | 9 | 2 | 11 | 21-16 | 29 |
| 8. გურია | 23 | 8 | 4 | 11 | 31-35 | 28 |
| 9. ბათუმი | 22 | 8 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 28 |
| 10. ზესტაფონი 2 | 23 | 6 | 5 | 12 | 20-31 | 23 |
| 11. მეშახტე | 22 | 1 | 4 | 18 | 41-51 | 7 |

**მომდევნო ტური**

**16 აპრილი, ხუთშაბათი**

მერანი-ხობი
ბაია-ჭიათურა
სამტრედია-გურია
კოლხეთი-ტორპედო 2008
მეშახტე-ბათუმი

*ზესტაფონი 2 ისვენებს*

ბავშვთა ფეხბურთი

# მოკვდა, ბიძიკო, მოკვდა!

## დღეს ჟეშტიანჩიკი ანდა ხელმოცარული ტაქსის შოფერი შეკრებს პატარებს და ეუბნება, ფეოლა ვარო (?!)...

ამას წინათ ერთმა მოფილოსოფოსო-მოთინეიჯერო ტიპმა ფორუმის საშუალებით ასეთი რამ მომწერა - რა წაიღეთ ტვინი ქართული ფეხბურთის წარსულზე ლაპარაკით, ყელში ამოგვივიდა! აგერ, საქართველოს ჩემპიონატზე წერეთ, ფეხბურთი მაინც წინ მიდის, ვითარდება, რაღა დროს **მესხი** და **მეტრეველი, ყიფიანი** და **გუცაევია**, ნამეტანი ნუ ჩამორჩებით დროებასო...

მე, რა თქმა უნდა, ახლა თაობათა ომს ვერ წამოვიწყებ. ცუდია, რომ ამ ყმაწვილს და მისთანებს ზემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელთა დიდოსტატობა მხოლოდ კლიპებში თვალმოკვრით უნახავთ და ჰგონიათ, რომ თუნდაც **დროგბა, ია-ია ტურე** ან **კასანო** გაცილებით დიდი ვარსკვლავები არიან, ვიდრე ჩვენი სიჭაბუკის დროინდელი მწვანე მინდვრის გმირები. გული მწყდება, რომ ვილაცების დანაშაულებრივი დაუდევრობის გამო „სადღაც" გაქრა თბილისის „დინამოს" დიდებული მატჩების ვიდეოჩანაწერები, თორემ აუცილებლად მიხვდებოდნენ, თუ რატომ მივტირით წარსულს და რატომ ხდება, რომ იმ მარაზმზე, რასაც დღეს ქართულ ფეხბურთს ეძახიან, მისვლისა და ნახვის სურვილი გაგვიქრა. ამ ყველაფერს თავისი მიზეზები აქვს... და კიდევ, აუარება კითხვა დაგროვდა, რომელზეც პასუხის გაცემა არავის ნებავს. აგერ, ააკითხეს გამწარებულმა ქომაგებმა გასულ კვირას ფეხბურთის ფედერაციას და საქმეში გარკვევა ითხოვეს. მზად ვართ დიალოგისთვისო, - იყო პასუხი. და მერე რა? დასხდნენ, ილაპარაკეს და ამით ეშველა დაქცეულ ფეხბურთს? მართალი იყო გოჩა ჯამარაული - სანამ სამართალი არ აღდგება ქართულ ფეხბურთში, მანამდე მადლი არ გვექნებაო!..



ბავშვმაც კი იცის, რომ 13 მაისის სამარცხვინო არჩევნებში დიდი უსამართლობა დატრიალდა, როდესაც ახლად არჩეულ ფედერაციის პრეზიდენტს **გიორგი ნემსაძეს** ერთ საათში დაატოვებინეს პოსტი და თავხედურად, თვალში ნაცრის შეყრით, ისევ ძველი დანიშნეს. რომ მიადგები და გადადექიო, ეტყვი, იქვე მოგაძახებენ - ფიფა ფედერაციის შინაურ საქმეებში ჩარევას კრძალავსო. მაშ, რომელი **ბლატერი** გვყავდა კულტურისა და სპორტის მინისტრი, კინალამ მობილური რომ აუფეთქეს - რას მიჰქარავთ, ეგ ვინ აგირჩევიათ პრეზიდენტადო?! იმ ქვეყანაში, სადაც ფეხბურთის ბედს სახელგანთქმულ ვეტერანთა და საფეხბურთო სამყაროს ნაცვლად პარლამენტარები, მინისტრები და დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის მუშაკები წყვეტენ, რას ელოდებით სასიკეთოს? შედეგიც იმიტომ გვაქვს ადეკვატური: აგერ, პირველად შესარჩევ ციკლს ბოლო ადგილზე ვასრულებთ და დიდი შანსია, დარჩენილი სამი თამაშის შემდეგ მოგების გრაფაში ისევ ნული გვეწეროს. ეს არის იმ დიდი უსამართლობის საზღაური, რაც ყურიდან ყურში გავიტარეთ.

ახლა **ექტორ კუპერზე** ჩაიციკლა ზოგიერთი. ჭკუაზე ძალის დატანება არ გვსურს, თორემ რა შუაშია კუპერი. არ გეყოლება ნაკრები არასოდეს, თუ საძირკველი არ გაქვს გამაგრებული. პირამიდის აშენება ფუნდამენტიდან იწყება და არა წვერიდან. ბავშვთა ფეხბურთშივე გვიჭირს, იქიდან მოდის არასწორი აღზრდა, მერე გარდამტეხ ასაკში ულებენ ბოლოს მოზარდებს და ოსტატთა გუნდებში ახალფეხშედგმულებს სთხოვენ **ჯერარდისა** და **მესის** დონის ფეხბურთს. მიდი და მერე კუპერს მოსთხოვე შედეგი. კაცი „სამშაბათობებზე" ჭკუიდან იშლება, როცა უმაღლესი ლიგის მოთამაშეს ბურთის გაჩერებას ან ზუსტ პასს ასწავლის და არა იმ ტაქტიკურ საიდუმლოებებს, რომლის მეშვეობით, მისმა გუნდებმა ჩემპიონთა ლიგის ფინალები ითამაშეს. ამის შემდეგ კვიპროსს როგორ უნდა მოუგო ანდა ჩერნოგორიას? წინათ ასფალტზე თამაშობდნენ, დადიოდა **ანდრო ჟორდანია** უბნიდან უბანში და ნიჭიერ ბიჭებს მამაშვილურად პატრონობდა, სწორ გზაზე აყენებდა და ფეხბურთელებად აყალიბებდა. დღეს „ჟეშტიანჩიკი" ანდა ხელმოცარული ტაქსის „შოფერი" შეკრებს პატარებს, თვეში 20-30 ლარს გამოართმევს, ავარჯიშებს და ეუბნება, ფეოლა ვარო (?!)... რამდენიც გინდათ, იმდენ ტალანტს დაგისახელებთ, რომლებსაც ნიჭი და მონაცემები აქვთ, მაგრამ უფულობის გამო ფეხბურთს თავს ანებებენ. ასეთებს ახლოს არ იკარებენ, გზას ულობავენ, ანდრო ჟორდანიასავით თავისი ხარჯით ხომ არ შეინახავენ და იკარგებიან ბიჭები, უმოწყალოდ იკარგებიან! აღარც თხოვნა ჭრის, აღარც მუდარა, ფული და უნამუსობა ურჩევნიათ. ტურნირებზე ხომ უნდა წაიყვანონ გუნდი? იმ ღარიბ ბიჭებს პურის ფული უჭირთ, არათუ „პაეზდკის" 500 თუ 600 ევრო. ამ თანხებს ვინ გაიღებს? ის, ვისაც ფული აქვს, მაგრამ ბურთი და საზამთრო ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია. ასე კეთდება „ტალანტების" გუნდი და ბოლოს, ნაკრების შევსებაზე რომ მიდგება საქმე, აღარ არიან ვარსკვლავებიო, წუწუნი და მოთქმა იწყება. ჯერ სადა ხართ, აღარც ის ფულიანები რომ აღარ იქნებიან და საერთოდ ველარ შეიკრიბება ნაკრები, მოთქმა მაშინ ნახეთ!..

და რას აკეთებს ამ დროს ხელისუფლება? რას და წლებია, რაც სახელმწიფო პროგრამას ამუშავებს, თუ როგორ დაეხმაროს ფეხბურთს (?!). ეს პროგრამა თვალითაც არავის უნახავს, მარტო ლაპარაკია საქმის ნაცვლად. ფეხბურთი მოკლეს ბათუმში, ქუთაისში, ლანჩხუთში, სამტრედიაში... ფოთში, სადაც ქართული ფეხბურთის აკვანი დაირწა. სტადიონებზე მხოლოდ ფეხბურთელთა ოჯახის წევრები და ჟურნალისტები დადიან; მინდვრები ყანებს წააგავს, სადაც ბურთის სწორად გაგორება შეუძლებელია; ვარჯიშზე ბავშვები მშივრები დადიან და ვიტამინები კი არა, წყალწყალა სუპი ენატრებათ; რა ფეხბურთზე შეიძლება ლაპარაკი, როცა უმაღლესი ლიგის ზოგიერთი კლუბის ფეხბურთელს 200 ლარი აქვს ხელფასი და იმასაც თვეობით უგვიანებენ? ის ფეხბურთელი დაგიდებს სულსა და გულს თამაშში? ის კლუბი შექმნის ჯანსაღ კონკურენციას?..

სად არის ხელისუფლების მიერ შეპირებული ათი სტადიონი? ვის უნდა ხელოვნურსაფრიანი მინიმოედანი, სადაც პატარები წვივის კუნთებს ადრეულ ასაკშივე იმახინჯებენ. გაუკეთე ათი მინიმოედნის თანხით ერთი ნაღდი სავარჯიშო მინდორი, უქონელებს ხელი შეუწყე, სული მოათქმევინე, და ერთი წყვილი ბუცი მაინც უყიდე, რომ დახეული კედებით აღარ ივარჯიშოს. უცხოელ მწვრთნელებს რომ ატენი მილიონებს, ბავშვთა მწვრთნელები მოამზადე და დააფინანსე, რომ პატარებისგან ფული აღარ აკრიფონ და ხელფასის ნაცვლად იმაზე იფიქრონ, ბავშვებს რა ასწავლონ და როგორ განავითარონ მათი ოსტატობა...

ეს ქველობაა, მამულიშვილობა და ქვეყნის მომავალზე ზრუნვა. ამ ყველაფერს კეთილი ნება უნდა, მაგრამ საქართველოში სიკეთეც, მამულიშვილობაც და თანადგომაც დღეს ზოგიერთებს მხოლოდ „ატკატებში" ნაშოვნი მილიონები ჰგონიათ და ამ საზომით უნდათ, კვიპროსს და ჩერნოგორიას მოუგონ. ამათ არც **ანდრო ჟორდანია** აინტერესებთ, არც მესხი, მეტრეველი, ყიფიანი თუ გუცაევი. საკუთარი თვალით მინახავს, საქართველო-საფრანგეთის მატჩზე (როცა უგემოვნო კლიპებით ჯვაროსნები ფრანგ მამლებს დაკორტნით ემუქრებოდნენ (?!), ქართული ფეხბურთის ლეგენდები, რომლებმაც საკუთარი ოფლით შექმნეს ფეხბურთის ისტორია, სადღაც კუთხურის ალამთან იყვნენ მიყუჟულები და საპატიო ლოჟაში ან ცენტრალურ ადგილებზე საზურგეებზე ფეხებშემოწყობილი „მაყუთიანები" კევის ღეჭვითა და მობილურებით მარიაჟობდნენ. როცა შენს წარსულს არაფრად აგდებ, მომავალი თაობა დიდ ფეხბურთს ვერ გითამაშებს და უკაცრავად და, ისევე დაიკიდებს ცალ წიხლზე ქართულ ფეხბურთს, როგორც იმ საპატიო ლოჟაში ფეხმორთხმულებს ფეხზევე ეკიდათ ჩვენი გამარჯვება თუ მარცხი...

აი, ამიტომ მივტირით წარსულს. წინათ ბილეთების რიგიდან ლამენათევი გულშემატკივრები რომ გამოდიოდნენ, არც ერთი ღილი აღარ ჰქონდათ პიჯაკსა თუ პერანგზე, მაგრამ ბედნიერები იყვნენ, რადგან „ლივერპულს" და „ინტერს" უგებდნენ. დღეს კოლოსალურ ფასს გვიწესებენ ნაკრების უსახური თამაშის საყურებლად და ნასესხები თანხით ტრიბუნაზე მყოფ გულშემატკივარს მასხრად იგდებენ თავიანთი უჯიგრო ზლაზვნით მინდორზე. ასეა, როცა ფეხბურთს ფულის საჭრელ „სტანოკად" აღიქვამენ და მის ბედს განაგებს ხალხი, რომელთაგან ერთ-ერთმა ისიც კი თქვა - რა დაიმსახურა ისეთი მიხეილ მესხმა, რომ მისი სახელი მივანიჭოთ სტადიონსო (?!)...

მოკლედ, ამის შემდეგ ვინმეს კიდევ უკვირს რამე?

- გევიდა გალმა ქართული ფეხბურთი!
- სად გალმა?
- მოკვდა, ბიძიკო, მოკვდა!

...და ისღა დაგვრჩენია, ამ „შერეკილეთში", მიზანა ბრეგვაძის მსგავსად, ვალად აღებული სამი ჩაფი ღვინით, ჩვენი ფეხბურთის შესანდობარი შევსვათ!

**ზვიად სეხნიაშვილი**

*კვირის პალიტრა, № 15, 13-19 აპრილი, 2009*

ეჭვები


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძალიან არარეალური ოცნება

## ოლიმპი-ვიტ ჯორჯიას მატჩის გამოძახილი

ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში „ვიტ ჯორჯიამ" რუსთავის „ოლიმპს" სტუმრად 3:1 მოუგო. საფეხბურთო სამყარომ ეს თამაში ყბად ილო - ემანდ, გარიგებული მატჩი ხომ არ იყოო. არ მინახავს ეს შეხვედრა და თვითმხილველებმა რა მითხრეს, ამის მოყოლით თავს არ მოგაბეზრებთ, უბრალოდ, პრობლემა პრობლემად რჩება - სეზონის ბოლოს ათასი ეჭვები ჩნდება, ხოლო ზოგიერთ თამაშს აშკარად ეტყობა, რომ გარიგებულია. აქ მთავარი ის უნდა იყოს, რომ არ არსებობს ნება, დაისაჯონ სიბინძურეში გარეული კლუბები, ფეხბურთელები, მწვრთნელები და მსაჯები.

იმავე ტურში, „დინამომ" სტუმრად „ზესტაფონი" 4:0 რომ დაამარცხა, ზოგი ზესტაფონელი ქომაგი იმ მწვრთნელის დაბრუნებას ითხოვდა, თავისი გუნდის ფეხბურთელებში რომ კრებდა ფულს მსაჯის მოსაქრთამად. ცხადია, „ზესტაფონის" ქომაგთა უმრავლესობამ ეს არ იცის და ზოგიერთი მათგანი ამიტომაც ითხოვს, რომ მისი ქალაქის გუნდი ასეთ მწვრთნელს ჩააბარონ. გულშემატკივარმა ბევრი რამ არ იცის და ვერც მოსთხოვ, იცოდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ვინც ბევრი იცის, არაფერს აკეთებს - სიბინძურეში გარეულ ხალხს არ სჯის.

ვინმე ფიქრობს ამ პრობლემაზე? გადადექით, უნდა ჩავატაროთ სამართლიანი არჩევნები, თქვენი დრო წავიდა, აღიარეთ, რომ არაფერი გაგიკეთებიათ, რომ ტყუილად დაიხარჯა მილიონები - არის შეტევა, კრიტიკა და ბრძოლა, მაგრამ არ ჩანს კონცეფცია. სამომავლო გეგმებს ყველა კარგად დაწერს და ჩამოარაკრაკებს, მაგრამ როცა საქმე მიადგება რეპუტაციას, სასწრაფოდ უნდა გამოვუძახოთ ლუსტრაციის კანონს, ოღონდ, საფეხბურთო სამყაროში ეს ძალიან ძნელი გასაკეთებელია.

ერთხელ, საფეხბურთო ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს ვუთხარი, ეს ყოფილი მწვრთნელი გვერდში რომ გიდგათ, არ იცით, რომ ფულს იღებდა მშობლებისგან, რათა მათი შვილები მეორე გუნდში ჩაერიცხა, პირველ გუნდში მოხვედრის პერსპექტივით-მეთქი? რას ამბობ, განა გაქვს დამამტკიცებელი საბუთი, რომ ეს მწვრთნელი ასეთ რამეს აკეთებდაო?! ასეთი პასუხის შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი საკუთარი აზრისა თუ ახირების აქტუალობაში - ლუსტრაციისა და კონცეფციის გარეშე არაფერი გამოვა.

ერთხელ, ერთი კლუბის პრეზიდენტმა მითხრა, მიპოვე ისეთი ფეხბურთელი, ვინც საჯაროდ ამხელს გარიგებაში მონაწილე მწვრთნელს, ფეხბურთელს, მსაჯს თუ კლუბის მესვეურს და პრემიის სახით ფულს მე გადავუხდიო. ჟურნალისტის ხელობაში ალბათ არ შედის ასეთი, თუნდაც კეთილშობილური საქმის კეთება, თუმცა ვინ იცის, იქნებ, ესეც ახირებაა და მეტი არაფერი, მაგრამ ეს არ არის მთავარი - კარგია, რომ ერთი კლუბის პრეზიდენტმა გარიგებულ მატჩებზე, როგორც პრობლემაზე, იფიქრა და რაღაც აზრი მოუვიდა ვითარების გამოსასწორებლად.

» 7

ეჭვები

# ძალიან არარეალური ოცნება

ნ«

არ მგონია, გამოსავალი არ არსებობდეს. **მერაბ ჟორდანიას** დროს, ფეხბურთის ფედერაციამ რამდენიმე თამაში გარიგებულად ცნო და გუნდები 3 ქულის დაკლებით დასაჯა. ჟორდანიას სხვა კარგი წამოწყებებიც ჰქონდა, მაგალითად, უეფას გრანტით ფეხბურთის ფედერაციის ახალი შენობა რომ აიგო, პირველ ხანებში იქ სიგარეტის მოწევა აკრძალული იყო, ეს ხდებოდა ედუარდ შევარდნაძის პერიოდში, როცა არ არსებობდა კანონი სიგარეტის მოწევის აკრძალვებზე. ახლა ფედერაციის შენობაში ბევრს ეწევიან, **კლაუს ტოპმიოლერსა** და მის თანაშემწეებსაც უყვარდათ იქ მავნე კვამლის გამოშვება, რაზეც გული მომდიოდა, რამეთუ გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფისში ამას ვერ გაბედავდნენ...

მოკლედ, ყველაფერი ჩვენს ხელშია, ჩვენს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული - თუ გულით გსურს საქმის კეთება, რაღაცას აუცილებლად გამოასწორებ. არ არის ლუსტრაცია და არ არის ნება, რომ ვილაც დაისაჯოს მაიმუნობისთვის. ვფიქრობ, რაღაცის შეცვლა მაინც შეიძლება. „ოლიმპი“-„ვიტ ჯორჯიას“ შესაძლო გარიგების (მტკიცებულების გარეშე ბრალს ვერავის დავდებთ) ლოგიკა მარტივია - „ოლიმპი“ ევროსარბიელზე თასის მოპოვებით გავა, ან შესაძლოა, ეს მესამე ადგილზე გასვლითაც მოახერხოს, თუ „დინამო“ ან „ვიტ ჯორჯია“ დუბლს შეასრულებენ, მაგრამ თასი ნაღდი ვარიანტია და „ვიტ ჯორჯიასაც“ ამიტომ მოელაპარაკა - მე მოგცემ 3 ქულას ჩემპიონატში, შენ კი თასის ნახევარფინალში „დამინექიო“. ახლა დავუშვათ, რომ თასის გათამაშებაში ერთი მატჩი წყვეტს, თუ ვინ გავა მომდევნო ეტაპზე. სრულიად შესაძლებელია, სუსტმა ძლიერს ერთი თამაში მოუგოს, ორ შეხვედრაში კი მასზე ძლიერ მეტოქესთან გაცილებით ნაკლები შანსი აქვს და ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ ერთი მატჩით გაირკვევა, თუ ვინ გავა მერვედფინალში, მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში. ერთი მატჩი შედარებით სუსტი გუნდისთვის წარმატების მეტ შანსს იძლევა და იქნებ, გუნდებს აღარ წასცდეთ ხელი მაიმუნობაზე. ესეც რომ არა, ერთმატჩიანი შეხლა რომ უფრო დაძაბული იქნება, რაღ უნდა თქმა. ასეა, მაგალითად, გერმანიასა და კიდევ არაერთ ნორმალურ ქვეყანაში. განა, „ოლიმპს“ არ შეუძლია ერთი შეხვედრა მოუგოს „ვიტ ჯორჯიას“? შიდასაკლუბო სტრუქტურით „ვიტ ჯორჯია“ „ოლიმპზე“ წინ დგას და ამიტომაც არის ჩემპიონატში მასზე (და ჯერჯერობით ყველაზე) წინ, მაგრამ ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია და რუსთაველებს ვიტელებთან ერთი მატჩის მოგება ნამდვილად შეუძლიათ.

ლოგიკა ისეთია, ყველას უნდა მას მოარგოს თავისი ნამოქმედარი - ვერ ვიბრძვი ჩემპიონობისთვის და ამიტომ, თავს არ შევაკლავ მეტოქეს თასზე, ძალებს დავზოგავ, შესაძლოა, მეორე გუნდის ფეხბურთელებიც კი გავიყვანო სათასო მეტოქესთან და ეს განა გარიგებული მატჩი იქნება? ასე აზროვნებს რამდენიმე ქართული კლუბის პრეზიდენტი, რომელსაც არ ესმის, რომ გუნდი მოედანზე, პირველ რიგში, გულშემატკივრისთვის გადის და არა ძალების დაზოგვისთვის. რა აზრი აქვს ისეთ თამაშს და ისეთ ტურნირში მონაწილეობას, სადაც ძალები უნდა დაზოგო? უკაცრავად და, პროფლიგისა თუ ფედერაციის ხელმძღვანელობას პირველ რიგში კლუბები ირჩევენ და როცა რამე ცუდი ხდება ქართულ ფეხბურთში, რატომ უნდა დაბრალდეს მაინცდამაინც ამ ორ ორგანიზაციას?

ამიტომაც ვამბობ - საჭიროა ლუსტრაცია, თორემ ნება მანამდე არასდროს იქნება, რამეთუ ქართული ფეხბურთი ისევ იმ ციხედ რჩება, რომელიც შიგნიდან არასდროს გატყდება. საფეხბურთო სამყაროს ლუსტრაცია - ამ წერილის ავტორი პირობას დებს, რომ არარეალურ ოცნებებზე მეტს აღარ დაწერს...

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი

# ხოჯავას ორი სლალომი და ორი ძელი

## გოცირიძეც დუბლებში?



ბურთით ჯაბა დვალი

ლატვიური ვირსლიგის მე-5 ტურში სტუმრად 3:0 გამარჯვების შემდეგ ჩემპიონატს 13 ქულით სათავეში მოქმედი ჩემპიონი „ვენტსპილსი“ მოექცა. **ზურაბ მენთეშაშვილის** გუნდმა ამჯერად „იურმალა“ დაამარცხა. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა 86-ე წუთამდე ითამაშა. მასპინძელთა ქართველი ლეგიონერი **გაგა გუგუნაშვილი** მოედანზე 57-ე წუთზე გამოჩნდა. მან მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ყვითელი ბარათი დაიმსახურა, ოპონენტის ხელით მოქაჩვისთვის. იურმალას „სლოკას“ სტადიონზე ჩემპიონის სტუმრობამ აჟიოტაჟი ვერ გამოიწვია - მატჩს 300 გულშემატკივარი დაესწრო. **თამაზ პერტიას** „დინაბურგი“ შინ ლიეპაიას „მეტალურგსთან“ განადგურდა - 0:3. ქართველი მწვრთნელის გუნდს 4 მატჩის მერე მხოლოდ ქულა აქვს. ამ ტურში ისვენებდა რიგის „სკონტო“, რომლის ფორვარდი **ლადო დვალიშვილი** ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია „მეტალურგსელ“ **კრისტაპს გრებისთან** ერთად 6-6 გოლით.

ლიტვის A ლიგის მეორე ტურში ძმები ჭილაძეების „ტაურასი“ შინ 0:2 დამარცხდა „სუდოვასთან“. ამ მატჩში **დავით ჭილაძემ** 90 წუთი ითამაშა. დებიუტანტი „ტაურასი“ ჯერჯერობით უქულოდაა.

მოლდოვის ნაციონალური დივიზიონის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე სასნაულიღა თუ შეუშლის ხელს მორიგი ჩემპიონობის მოპოვებაში ტირასპოლის „შერიფს“. მორიგ ტურში **ვაჟა თარხნიშვილის** გუნდმა იმარჯვა, ხოლო ერთადერთმა კონკურენტმა „დაჩიამ“ წააგო. „შერიფმა“ ბელციში ადგილობრივ „ოლიმპიას“ მინიმალური ანგარიშით მოუგო - 1:0. ჩემპიონის ქართველმა კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა. „დაჩია“ ყველასთვის მოულოდნელად დამარცხდა რიბნიცაში ადგილობრივ „ისკრასტალთან“ - 0:1. **კახა მჟავანაძემ** (გაფრთხილება) და **ჯაბა დვალმა** (6 გოლი ჩემპიონატში) შეუცვლელად ითამაშეს, **ლევან კორღალიძე** კი თამაშში მე-60 წუთზე ჩაერთო. „დაჩია“ 50 ქულით მეორეა და, ალბათ, ამავე ადგილზე დაასრულებს ჩემპიონატს, კიშინოვის გუნდი „შერიფს“ 12 ქულით ჩამორჩება და „ზიმბრუს“ 11-ით უსწრებს.

უკრაინის პერშალიგაში კიევის „დინამო-2“ სტუმრად „უკრნაფტას“ დაუზავდა - 2:2. **ლაშა თოთაძეს** არ უთამაშია, **თემურ ფარცვანიამ** კი 90 წუთი ითამაშა. ეს დინამოელთა პირველი ოფიციალური მატჩი იყო წელს. „დინამო-2“ 25 ქულით ოდენ მე-12 ადგილზეა.

ქართველთა „ბაქი“ კვლავ გააფთრებით იბრძვის ჩემპიონობისთვის. ბაქოურ დერბიში მეორეადგილოსანმა **ბადრი კვარაცხელიას** „სტანდარდი“ 2:1 დაამარცხა. „შაფაზე“ 700 მაყურებელი შეიკრიბა. „სტანდარდში“ სრულად ითამაშეს **დავით ჭიჭველიშვილმა** და **ლევან სილაგაძემ**. „ბაქის“ ქართული ლეგიონიდან მხოლოდ **გიორგი ადამიამ** ითამაშა, ხოლო **გიორგი დემეტრაძე** სათადარიგო იყო. **ამირან მუჯირმა** შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ადამიამ ნახევარდაცვის ფლანგზე ითამაშა, სწორედ მან გახსნა მე-18 წუთზე ანგარიში. სხვათა შორის, მან საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაიტანა, საიდანაც ჩაწოდება უფრო უპრიანი იქნებოდა. მეორე გოლიც ადამიას გამო გავიდა, 38-ე წუთზე ადამია უხეშად მოცელეს საჯარიმოში და **ფაბიო რამიმმა** პენალტი გოლად აქცია. სხვათა შორის, ადამია იმ ეპიზოდში გააფრთხილეს, რადგან მან მასპინძელთა მცველზე გაიწია. ქართველი მატჩის 90-ე წუთზე დროის გაყვანის მიზნით გამოცვალეს. ლევან სილაგაძე ორჯერ ძალზე სახიფათოდ დაემუქრა სტუმართა კარს, ორჯერვე „ბაქის“ გოლკიპერმა იყოჩაღა. „ბაქი“ 50 ქულით მეორეზეა და 2 ქულით ჩამორჩება „ინტერს“. „სტანდარდი“ 30 ქულით მე-7 ადგილზეა.

ქართული კვარტეტის „სიმურგმა“ ზაქათალაში 3:0 გაანადგურა „ბაქილი“. მასპინძლებს მხოლოდ ტრავმირებული **გრიგოლ დოლიძე** აკლდათ, **კახა ჩხეტიანმა**, **მიხეილ მახვილაძემ** და **დავით ბოლქვაძემ** შეუცვლელად ითამაშეს. „სიმურგი“ 44 ქულით მესამე ადგილზეა.

„გაბალა“ შინ 1:1 დაუზავდა „ოლიმპიკს“, ამ შეხვედრაში ხუთი ქართველი ვიხილეთ - მასპინძლებში შეუცვლელად ითამაშეს **გოგა ბერაიამ** და **თორნიკე აფციაურმა**, სტუმართა შორის - **ალექსანდრე გოგობერიშვილმა**, მეორე ტაიმში შევიდნენ **რომან ახალკაცი** (57-ე წუთი) და **რევაზ გეწაძე** (81-ე წუთი). „გაბალა“ 27 ქულით მეცხრე ადგილზეა, „ოლიმპიკს“ კი 10 ქულით მეტი აქვს მოგროვილი და მეექვსეა.

ევლახის „ქარვანი“ აუტსაიდერ „თურანთან“ 0:4 შერცხვა. ქართველთა გუნდს ფინანსური კრიზისი აქვს და შედეგიც სახეზეა, „ქარვანი“ 26 ქულით მე-10 ადგილზეა. **მიხეილ მესხმა** და **ალექსანდრე ინწკირველმა** „თურანთან“ შეუცვლელად ითამაშეს, ორივე გააფრთხილეს. **გივი ჩხეტიანის** „მუღანმა“ 1:2 წააგო „ყარაბახთან“, ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა. „მუღანი“ 11 ქულით მე-11 ადგილზეა. სხვათა შორის, ამ ტურში „ინტერის“ ურუგვაელმა ფორვარდმა **ვალტერ გუგლემონემ** სამი გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში ამირან მუჯირს გაუსწრო.

სომხეთის უმაღლეს ლიგაში ივო შუშაკის „მიკამ“ შინ 2:0 მოუგო „არარატს“. ამ მატჩში მასპინძელთა სათადარიგოების სკამზე **სოსო გრიშიკაშვილი** და **ირაკლი ცანავა** ისხდნენ. თუკი „მიკამ“ სეზონი აბსოლუტური შედეგით დაიწყო (9 ქულა), „არარატს“ ჯერ ქულა არა აქვს. „არარატის“ რიგებში 90 წუთი ითამაშა 20 წლის **ბიძინა ცინცაძემ**, ხოლო **გიორგი კრასოვსკი** სათადარიგო იყო. კაპანის „განძასარმა“, რომელსაც ევროთასებზე მოუწევს დებიუტი, ჩემპიონატი უგერგილოდ დაიწყო, გუნდს ჯერ ქულა არ აქვს. მესამე ტურში „განძასარი“ შინ 1:2 დამარცხდა „ულისესთან“. „განძასარში“ სამი ქართველია **მიხეილ თაყაძე**, **ლევან ბუბუტეიშვილი** და **დავით ხანიშვილი** თამაშობს. ბუბუტეიშვილმა ორი გოლი



დავით ჭილაძე

გაუშვა, ხანიშვილი 79-ე წუთზე შეცვალეს. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშეს **ლევან აკობიამ**, **გაგა თიბილაშვილმა** და **თენგიზ უგრეხელიძემ**. „ულისეს“ 6 ქულა გაუხდა.

ყაზახურ პრემიერლიგაში მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა. **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუ“ შინ 2:2 დაუზავდა „ტობოლს“. ქართველმა ნახევარმცველმა 89-ე წუთამდე ითამაშა. **ლაშა ჭელიძის** „ჟეტისუ“ სტუმრად 0:1 დამარცხდა „ოკჟეტპესთან“. ჩვენებურმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. „ჟეტისუს“ და „ატირაუს“ 5 ქულა აქვთ. **ზვიად ჯელაძის** „ვოსტოკი“ შინ „აკტიობესთან“ განადგურდა - 0:4. გუნდის კაპიტანმა ვერაფერი უშველა ვოსტოკს“ თავად კი ყვითელი ბარათი მიიღო. „ვოსტოკს“ მხოლოდ 2 ქულა აქვს.

რუსეთის პირველ დივიზიონში **ომარ თეთრაძის** „ანჟი“ 10 ქულით „სალიუტ-ენერგიასთან“ ერთად ლიდერობს. „ანჟიმ“ მეოთხე ტურში „ბალტიკას“ **გოჩა ხოჯავას** დუბლის წყალობით 2:0 მოუგო. ორივე გოლი ხოჯავამ სლალომური გარღვევით გაიტანა, კიდევ ორჯერ კი მან ბალტიელთა ძელი შეანჭუხა. სხვათა შორის, სტუმართა მთავარი მწვრთნელიც ქართველია წარმოშობით - ყოფილი გოლკიპერი **ზურაბ სანაია**. ხოჯავამ გოლები მე-15 და 56-ე წუთებზე გაიტანა. ხოჯავა მე-80 წუთზე **მაგომედოვმა** შეცვალა. თამაშის შემდეგ თეთრაძემ თქვა რომ არზიანი ბოლომდე მზად არ არის 90 წუთი სათამაშოდ, ამიტომ ხოჯავას საყრდენ ნახევარმცველად მოუწია თამაშიო. **ედიკ საჯაიამ** და **გიორგი ნავალოვსკიმ** შეუცვლელად ითამაშეს, ხოლო **ზურაბ არზიანი** 65-ე წუთზე გამოჩნდა. თეთრაძე უკმაყოფილოა, რომ გუნდის სამი ქართველი (**ოთარ მარცვალაძე**, **სანდრო იაშვილი** და **კახა ალადაშვილი**) ვერაფრით იღებენ რუსეთის ვიზას.

რუსეთის პრემიერლიგის დუბლების მატჩში „სპარტაკმა“ 2:1 მოუგო „მოსკვას“. **ჯანო ანანიძე** 85-ე წუთზე შეცვალეს. კრასნოდარში „ყუბანის“ დუბლებმა 2:1 დაამარცხეს „ტომს“ აჯობა. მასპინძელმა **ირაკლი კვეკვესკირმა** 90 წუთი ითამაშა. უკრაინის ჩემპიონატის დუბლების მატჩში ტავრიელმა **ლადო ბურდულმა** მეორე ტაიმი ითამაშა „კრივბასის“ დუბლებთან - 1:2. „დნიპროს“ ახალგაზრდულ გუნდში „ვორსკლას“ წინააღმდეგ (2:1) ითამაშეს **ბექა გოცირიძემ**, **ბექა ბერომშვილმა** და **სანდრო კობახიძემ**. შესვენებაზე კობახიძემ შეცვალა გოცირიძე, ბერომშვილი კი ბოლო წუთზე შევიდა.

გუშინ დანიურ სასლიგაში **დავით დევდარიანის** „ორჰუსი“ „მიდტილანდს“ ესტუმრა და 2:3 დამარცხდა. ბოლო დროს პირველად მოხდა, რომ ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია. „ორჰუსი“ 28 ქულით მე-6 ადგილზეა. მეორე დივიზიონში „ვიბორგი“ „სკივეს“ ესტუმრა და 3:1 მოუგო. **გიორგი ფოფხაძეს** არ უთამაშია. ერთი ლიგით ქვემოთ კი **მიხეილ ბარაბაძის** ჰიკ-ი შინ 0:2 დამარცხდა „ბრონსჰოისთან“. სერბეთში „ვოივოდინა“ 0:2 დამარცხდა „პარტიზანთან“. ნოვისადელთა ფორვარდ **მიხეილ ხუციშვილს** არ უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვაჟა თარხნიშვილი

# შეყილაძე 25 ტალანტს შორის



ირაკლი შეყილაძე

იტალიურმა „კალჩომერკატომ“ 1992 წელს დაბადებული 25 ჭაბუკი ფეხბურთელი გამოარჩია. სატრანსფერო თემატიკაზე მომუშავე პოპულარული გამოცემის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს ტალანტები ახლო მომავალში რიხიან სიტყვას იტყვიან. გამომდინარე ვებგვერდის სპეციფიკურობიდან, ბუნებრივია, იგულისხმება ისიც, რომ ეს 25 ჭაბუკი სატრანსფერო საბადოცაა.

ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „მომავლის ფეხბურთელებს“ შორის საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების თავდამსხმელი **ირაკლი შეყილაძეცაა** მოხსენიებული. სიას სათავეში უდგას „ჯენოას“ ნახევარმცველი **სტეფან ელ შაარავი**, რომელსაც „ინტერის“ თავდამსხმელი **მარკო ფოსატი** მოსდევს. სხვათა შორის, ამ ფეხბურთელებმა მარტის ბოლოს 17-წლამდელთა ელიტრაუნდში, იტალიის ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზეს, მათ შორის, ქართველი თანატოლების წინააღმდეგ. რაც შეეხება შეყილაძეს, პერსპექტიულ ჭაბუკთა ჩამონათვალში ის მე-14 ნომრადაა. 19-წლამდელთა გარდა, ირაკლის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც აქვს ნათამაშები. 2007 წლის 12 დეკემბერს, ლუქსემბურგთან სტუმრად გამართულ შეხვედრაში, 75-ე წუთზე მან **ირაკლი კლიმიაშვილი** შეცვალა. ამ მატჩში მეხუთე გოლი **ბექა გოცირიძემ** სწორედ შეყილაძის პასით გაიტანა.

**დავით ცაბაძე**

ფული და ფეხბურთი

# ფორბსი: მანჩესტერი პირველია

შარშანდელის მსგავსად მსოფლიოს უძვირფასესი საფეხბურთო კლუბების სიას სათავეში ისევ „მანჩესტერ იუნაიტედი“ უდგას. მისი ღირებულება 1,870 მილიარდი დოლარია, მეორეზე გავიდა მადრიდის „რეალი“, ვისი საბაზრო ღირებულებაც 1,353 მილიარდია, მესამეა „არსენალი“ 1,2 მილიარდით, მეოთხე - „ბაიერნი“ 1,11 მილიარდით (ნუთუ **ული ჰიონესი** ხსენებული მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ მაინც არ წითლდება მისი კოშმარული გუნდის გამო?), ხუთეულს „ლივერპული“ ავსებს 1,01 მილიარდით. სულ სიაში 25 კლუბია დასახელებული.

კლუბების საშუალო ღირებულება შარშანდელთან შედარებით 8%-ით არის გაზრდილი. წამყვანი კლუბების საშუალო მოგება 2007/08 წლების სეზონში 42 მილიონს აღწევდა, რაც წინა სეზონთან შედარებით 20% -ით მეტია. 25 ადგილიდან 10 ინგლისელებს უკავიათ, სიაში კიდევ ორი ბრიტანული კლუბი, „სელტიკი“ და „რეინჯერსი“, მოხვდა. აქვე სიას სრული სახით გთავაზობთ:

| გუნდი | ფასი |
|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 1,870 მილიარდი |
| 2. რეალი | 1,353 |
| 3. არსენალი | 1,2 |
| 4. ბაიერნი | 1,11 |
| 5. ლივერპული | 1,01 |
| 6. მილანი | 990 |
| 7. ბარსელონა | 960 |
| 8. ჩელსი | 800 |
| 9. იუვენტუსი | 600 |
| 10. შალკე | 510 |
| 11. ტოტენჰემი | 445 |
| 12. ლიონი | 423 |
| 13. რომა | 381 |
| 14. ინტერი | 370 |
| 15. ჰამბურგი | 330 |
| 16. ბორუსია (დ) | 325 |
| 17. მანჩესტერ სიტი | 310 |
| 18. ვერდერი | 292 |
| 19. ნიუკასლი | 285 |
| 20. შტუტგარტი | 264 |
| 21. ასტონ ვილა | 240 |
| 22. მარსელი | 240 |
| 23. სელტიკი | 218 |
| 24. ევერტონი | 207 |
| 25. რეინჯერსი | 194 |

ვესტ ჰემი

## ძოლამ კონტრაქტი შეათანხმა

„ვესტ ჰემის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჯანფრანკო ძოლამ** კლუბთან ახალი, 4-წლიანი კონტრაქტის პირობები შეათანხმა, - გვამცნობს „გარდიანი“. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონელთა გუნდში სერიოზული ფინანსური კრიზისი მძვინვარებს, იტალიელის მუშაობას ეს ოდნავადაც არ დასტყობია. **ალან კერბიშლის** გუნდიდან წასვლის შემდეგ მან არათუ შეინარჩუნა პოზიციები, არამედ, გააუმჯობესა კიდეც თამაშის ხარისხი და ამჟამად გუნდი უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის. იტალიელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით გუნდმა 28 შეხვედრაში 10 მოიგო, 8 ფრედ ითამაშა და 10 წააგო. შეგახსენებთ, რომ „ვესტ ჰემამდე“ ჯანფრანკოს სამწვრთნელო პრაქტიკა მხოლოდ იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობით შემოიფარგლებოდა. იმავე „გარდიანის“ ცნობით, აპენინელი ამჟამად მოქმედი ხელშეკრულებით პრემიერლიგელ კოლეგებს შორის ყველაზე მცირე ხელფასს იღებს. ახალი კონტრაქტით მისი ანაზღაურება 1,5 მილიონ ფუნტს მიაღწევს.



გამოვიდა ახალი ნომერი



კლაუს ბო ლარსენი

სკანდალი

# ჩელსის ბრალს სდებენ

დანიელმა არბიტრმა **კლაუს ბო ლარსენმა** სკანდალური განცხადება გააკეთა. მოგეხსენებათ, ამ ადამიანმა „ენფილდზე“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური შეხვედრა იმსაჯა „ლივერპულსა“ და „ჩელსის“ შორის. თამაშამდე შედგა ჩვეულებრივი ტექნიკური შეხვედრა, მხარეებმა შეათანხმეს, რა ფერის ფორმებით გამოვიდოდნენ მინდორზე, განიხილეს ასევე სხვა წვრილმანი საკითხები. იმ დღეს ლონდონელთა მხრიდან შეხვედრას დაესწრო კლუბის მდივანი **დევიდ ბარნარდი**, ხოლო „ლივერპულს“ მისი კოლეგა **იენ სილვესტრი** წარმოადგენდა. ბო ლარსენთან „არისტოკრატთა“ წარმომადგენელი მივიდა და „მეგობრულად“ სთხოვა, არ ეჩვენებინა ყვითელი ბარათები იმ ფეხბურთელებისთვის, რომელთაც ერთი უკვე ჰქონდათ და შესაბამისად, დისკვალიფიკაციის ზღვარზე იდგნენ. *„ჩემთვის ასეთი თხოვნით კარიერის განმავლობაში არავის მოუმართავს, - განუცხადა ბო ლარსენმა „დეილი ექსპრესს“. - ჩვეულებრივი, რუტინული შეხვედრა იყო. ჩემთან მოვიდა „ჩელსის“ წარმომადგენელი და განმიცხადა, კლაუს, ხომ იცი, რამდენიმე ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის ზღვარზეა და მათ ბარათები არ უნდა უჩვენოო. სიმართლე გითხრათ, შოკში ჩავვარდი. ევროთასებზე ასამდე შეხვედრა განმისჯია, ასეთ პრაქტიკას კი პირველად შევეჩეხე. „ჩელსის“ ჩინოსანი იმასაც კი არ მოერიდა, რომ გვერდით უეფასა და მისი მეტოქე გუნდის წარმომადგენლები იდგნენ. ასეთ თავხედობაზე ადეკვატური პასუხი გავეცი, ვუთხარი, რომ ყოველ ფეხბურთელს დამსახურებისამებრ მივუზღავდი“.* მართლაც, ბო ლარსენმა **ხოსე რეინას** წინააღმდეგ უხეშობისთვის **ჯონ ტერი** გააფრთხილა, ის „სტემფორდ ბრიჯზე“ გასამართ განმეორებით შეხვედრას გამოტოვებს.

ხსენებულ განცხადებას „ჩელსის“ მესვეურთა მხრიდან უმალ მოჰყვა საპასუხო რეაქცია. მათი თქმით, დევიდ ბარნარდმა ბო ლარსენთან მხოლოდ „ჩელსის“ კი არა, „ლივერპულის“ ფეხბურთელებსაც „უშუამდგომლა“. დისკვალიფიკაციის ზღვარზე იდგნენ ჯონ ტერი, **ეშლი კოული, ნიკოლა ანელკა, ალვარო არბელოა** და **ანდრეა დოსენა**.

აი, რა წერია „ჩელსის“ განცხადებაში: *„ტექნიკური შეხვედრები თამაშების დაწყებამდე სწორედ ის ადგილია, სადაც კლუბებს მომავალი შეხვედრის შესახებ უმნიშვნელოვანესი დეტალების დაზუსტება შეუძლიათ. მიგვაჩნია, რომ ჩვენი წარმომადგენლის თხოვნა არ ყოფილა კანონსაწინააღმდეგო. მით უფრო, რომ მან მეტოქის ფეხბურთელებიც ახსენა. რამდენიც უნდა იმართლონ თავი „არისტოკრატებმა“, ერთი რამ ცხადია, უეფა მათ, როგორც მინიმუმ, უმკაცრეს გაფრთხილებას გამოუტანს. სავარაუდოა, რომ ნიონში ამ საკითხს უახლოეს დღეებშივე შეისწავლიან“.*

**მიხაელ ბალაკი** კლუბის ოფიციალურ საიტზე „ბოლტონთან“ გამართულ თრილერს გამოეხმაურა. შეგახსენებთ, „მაწანწალებმა“ „სტემფორდ ბრიჯზე“ რვა წუთის განმავლობაში სამი გოლის გატანა მოახერხეს და შეხვედრის ბოლო 10 წუთი აშკარა უპირატესობასაც ფლობდნენ მრისხანე მეტოქესთან. ლონდონელთა ნაქები დაცვა „ბოლტონის“ თავდასხმას „აცრილი გოჭივით“ გადაურჩა. *„კონცენტრაცია დავკარგეთ, - აცხადებს ბალაკი. - მოგვეჩვენა, რომ ისინი ველარაფერს გააწყობდნენ. სტუმრები კი ჯიუტად ცდილობდნენ გრძელი გადაცემები ეკეთებინათ და მოეგოთ ყოველი საჰაერო ორთაბრძოლა. მათ ჯერ ერთი გოლი გაიტანეს, შემდეგ მეორე... ასეთი რამ არ უნდა დამართვოდა ისეთ ძლიერ გუნდს, როგორიც ჩვენია. როცა ზედიზედ უშვებ გოლებს, ნერვიულობა გიპყრობს, თამაშის შემოტრიალება კი სულ უფრო ძნელი ხდება. ჩვენ მოვახერხეთ და სამი ქულა შევინარჩუნეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დიდი იმედის გაცრუება იქნებოდა. ყოველთვის ძნელია ბოლომდე კონცენტრირება პრემიერლიგის შეხვედრაზე, მაშინ, როცა შუა კვირაში მნიშვნელოვანი შეხვედრა გელის ევროთასზე. იცით, რა? ჩვენ ვეცდებით, ყველა ფრონტზე მივაღწიოთ წარმატებას. პრემიერლიგაშიც კი ბოლომდე ვიბრძოლებთ, თუმცა თუკი ჩემპიონატის ცხრილს ჩავხედავთ, დავასკვნით, რომ უკეთესი შანსი ინგლისის თასსა და ჩემპიონთა ლიგაში გვაქვს. წინ „ლივერპულთან“ ურთულესი შეხვედრაა. ყველამ იცის, რომ მათ ძალზე ძლიერი გუნდი ჰყავთ, ბოლო დროს ლამის ყოველ შეხვედრაში 4-4 გოლი გაჰქონდათ, თუმცა ჩვენ შინ ვთამაშობთ და ვფიქრობ, უპირატეს შანსს ვფლობთ“.*

ამასობაში **გუუს ჰიდინკის** „ჩელსიში“ მისვლიდან ზუსტად ორი თვე გახდა. მის ხელში „არისტოკრატებმა“ 11 თამაშში 9 მოიგეს, 1 ფრედ ითამაშეს და ერთხელაც წაგება იწვნიეს. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** „ჩელსიმ“ პირველ თერთმეტ შეხვედრაში 5 მოიგო, 4 ფრედ ითამაშა და ორჯერ წააგო - განსხვავება თვალში საცემია. ჰიდინკმა დელიკატურად გვერდი აუარა მისი წინამორბედის საქმის შეფასებას, თუმცა ხაზი გაუსვა იმ ცვლილებებს, რაც გუნდში მისი მისვლის შემდეგ მოხდა. *„ფეხბურთელთა ფიზიკური კონდიციები ნორმაში იყო, თუმცა იყო პერიოდი, როცა გუნდი ამ მხრივ საუკეთესოდ არ გამოიყურებოდა. ამის მიზეზს ვერ მოგახსენებთ. ხანდახან შეუძლებელია მარცხის ან თუნდაც მოულოდნელი ფრის მიზეზი იპოვო. მით უფრო, არ შემიძლია ამაზე მსჯელობა, რადგან აქ არ ვიყავი. როგორც კი „კობემის“ ბაზაზე გამოვჩნდი, მხოლოდ მომავალზე ფიქრი დავიწყე, წარუმატებლობების მიზეზთა კვლევა არ დამიწყია. გუნდთან მუშაობას შევუდექი ყოველგვარი წინაპირობებისა და დათქმების გარეშე. მდგომარეობის გამოსწორებას ნაბიჯ-ნაბიჯ შევუდექით, ზუსტად ისე, მე რომ მიყვარს მუშაობა. გუნდის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობა ნელ-ნელა გაუმჯობესდა“*, - განაცხადა ჰიდინკმა.

გაზეთები ბევრს წერენ ჰოლანდიელი მწვრთნელის მიერ „ლივერპულთან“ შეხვედრაში დანერგილ სიახლეზე, რომელიც **კალუსა** და **მალუდას** როგორც ფლანგებზე, ისე მოედნის ცენტრში, დამატებით ფუნქციებს აკისრებს, რაც ლემპარდს დამატებითი შავი სამუშაოსგან ათავისუფლებს, ამით მას მეტი თავისუფლება ეძლევა დროგბას დასახმარებლად. *„ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ არის მხოლოდ შეტევაში ეფექტურ თამაშზე. ჩემს მოთამაშეებს არ აქვთ შესაძლებლობა, შეტევების დროს პოზიციური შეცდომისა ან ბურთის დაკარგვისას ცოტა მაინც შეისვენონ. თუკი გინდათ შემტევი გუნდის ჩამოყალიბება, ამისთვის, პირველ რიგში, დისციპლინებული დაცვა უნდა ააწყოთ. შეუძლებელია, ამ დროს რომელიმე ხაზს პრიორიტეტი მიენიჭოს. შეიძლება გუნდს მაქსიმალურად კარგად შეეძლოს მეტოქის შეცდომის ლოდინი და მათი გამოყენება, მაგრამ მირჩევნია, ჩემი გუნდის თამაში ისე ავაწყო, რომ მეტოქეს იქით დავაშვებინო შეცდომა“.*

დაპირისპირება

# ბენიტესი: შოტლანდიურ აქცენტს ვერ ვიგებ

**რაფა ბენიტესი** აცხადებს, რომ მასა და სერ **ალექს ფერგიუსონს** შორის სიტყვიერი შეხლა-შემოხლის აზრს ვერ ხედავს, რადგან მას არ ესმის ის ენა, რომელზეც მისი ოპონენტი საუბრობს. *„გონების სავარჯიშოები ისეთი მწვრთნელებისთვისაა გათვალისწინებული, რომლებიც ასეთი რამეებით გატაცებულნი არიან, მე კი ასეთების რიცხვში არ შევდივარ. მეტსაც გეტყვით, ფერგიუსონის შოტლანდიური აქცენტის გაგება ძალიან მიჭირს,* - განაცხადა ესპანელმა ფერგის საპასუხოდ. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ „მანიუს“ ბოსმა რაფას მოუწოდა, სხვის გუნდებზე ამდენ ლაპარაკს, სჯობს, საკუთარს მიხედოო. - *საერთოდ არ მაინტერესებს რას ლაპარაკობს ჩემი ოპონენტი ჩემზე, დარწმუნებული ვარ, ის ნერვიულობს და ეს უკვე კარგია.*

*ჩვეულებრივ ყოველი თამაშის წინ მხოლოდ ჩემს გუნდზე ვარ კონცენტრირებული. სწორედ ამიტომ არ მაინტერესებს რას ლაპარაკობენ ჩემზე სხვები. მაგრამ თუკი ვინმეს სურს ჩემთან სხვაგვარ თამაშში ჩაებას, ამისთვისაც მზად ვიქნები. ჩემთან პაექრობისთვის საჭიროა, მეტოქემ ყოველი სიტყვის, ყოველი წინადადების მნიშვნელობა იცოდეს. ესპანეთში ამას უფრო წარმატებით გავაკეთებდი, ინგლისში ცოტა გამიჭირდება, მაგრამ ყველაფრისთვის მზად ვარ. უპირატესობას ფეხბურთზე ლაპარაკს ვანიჭებ, მაგრამ როცა ძალიან ბევრი მოსდით ხოლმე, მაშინვე ვეუბნები: „მისმინე, საკმარისია“. ვმუშაობ დიდ კლუბში, მესმის, რომ ეს მნიშვნელოვანია... და არა მხოლოდ ჩემთვის. „ლივერპულში“ ძალიან ბედნიერი ვარ და მხოლოდ მაშინ ვპასუხობ სხვების შემოტევებს, როცა სხვა გზას არ მიტოვებენ.*



რაფა ბენიტესი

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# პრესტიჟის მატჩები

## კლინსმანი: ლიგას ღირსეულად უნდა დავემშვიდობოთ

**ბაიერნი–ბარსელონა (0:4)**

„ბარსელონას“ ნახევარფინალის საგზური, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს. ერთი კვირის წინ კატალონიელებმა „ბაიერნს“ 4:0 მოუგეს. ნამატჩევს **იურგენ კლინსმანმა** აღიარა, რომ მის გუნდს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი აღარ აქვს. **ხოსეპ გვარდიოლა** მაინც ფრთხილობს. მისი თქმით: *„ბაიერნს“ ოთხი გოლის გატანა იოლად შეუძლია. არ მჯერა განცხადებების, თითქოს ისინი დამარცხებას შეგუებულნი იყვნენ. დარწმუნებული ვარ, ბოლომდე იბრძოლებენ. „ბარსელონა“ ვალდებულია, მოგებაზე იფიქროს. თუ თავს მოდუნების უფლებას მივცემთ, მეტოქე უმალ გადაგვივლის.“*

გვარდიოლა დღევანდელ თამაშს სრული სერიოზულობით ეკიდება. ამის დასტურად ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრაც გამოდგება. შაბათს, „რეკრეატივოსთან“ მატჩში (2:0) კატალონიელთა თავკაცმა გადახალისებული შემადგენლობა გამოიყვანა. მან **ჩაბი ერნანდესი, სამუელ ეტოო** და **კარლეს პუიოლი** დაასვენა. მწვრთნელმა საუკეთესო ფეხბურთელები მიუნხენური შეხვედრისთვის შემოინახა.

გვარდიოლა „ბაიერნთან“ განმეორებით მატჩს ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. როგორც გახსოვთ, „კამპ ნოუზე“ მას წითელი ბარათი აუფრიალეს. კატალონიელთა მწვრთნელს დისკვალიფიკაცია მიესაჯა. გვარდიოლამ სააპელაციო კომისიას მიმართა, მაგრამ ამაოდ, კატალონიელ სპეციალისტს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

*„ტრიბუნაზე ვიქნები, მაგრამ ამ გარემოებას არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ეს მეორეხარისხოვანი პრობლემაა,“* – განაცხადა გვარდიოლამ გუშინდელი პრესკონფერენციისას. აქვე გეტყვით, რომ ბარსელონელებს ცენტრალური მცველი **რაფაელ მარკესი** არ ეყოლებათ. მან ერთი კვირის წინანდელი შეხვედრისას ყვითელი ბარათი მიიღო და ერთმატჩიანი სასჯელი დაიმსახურა.

„ბაიერნს“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ერთი მარცხიც კი არ ჰქონდა, სანამ ერთი კვირის წინ ბარსელონაში არ ითამაშა. დირექტორებს მიაჩნიათ, რომ მიუნხენურ გიგანტს შელახული რეპუტაციის აღდგენა მართებს. შაბათს „ბაიერნმა“ ფრანკფურტის „აინტრახტი“ დაიბრიყვა (4:0). ნამატჩევს კლინსმანმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ყველაფერს ილონებს, რათა ჩემპიონთა ლიგას თავაწეული გამოემშვიდობოს.

34 წლის მეკარეს, **ჰანს იორგ ბუტს** კვლავ ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ. მან ერთი კვირის წინანდელ შეხვედრაშიც ითამაშა და „აინტრახტთან“ ბუნდესლიგის ბოლო ტურის მატჩშიც. კლინსმანის გადაწყვეტილება აუცილებლად გაანაწყენებს **მიხაელ რენზინგს**, რომელიც ბარსელონურ მატჩამდე ბავარიელთა პირველ ნომრად მიიჩნეოდა. *„სამწუხაროდ, მიხაელს გული უნდა ვატკინო. მას კვლავ თადარიგში ყოფნა მოუწევს. გუნდმა სასურველ შედეგებს უნდა მიაღწიოს,“* – აღნიშნა კლინსმანმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

„ბაიერნის“ თავკაცს დაუნდობლად აკრიტიკებენ. მისი გუნდი მიმდინარე სეზონს არასტაბილურად ატარებს. დღევანდელ შეხვედრაში კლინსმანს მხოლოდ ცენტრალური მცველი, **დანიელ ვან ბუიტენი** დააკლდება. ორი უკანახაზელი – **ლუსიო** და **ფილიპ ლამი**, რომელთაც ბარსელონაში ვერ ითამაშეს, გამოჯანმრთელდნენ და ძირითად შემადგენლობაში იქნებიან.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი:** ბუტი, ოდო, დემიკელისი, ლუსიო, ლამი, ჰამით ალთინთოფი, შვაინშტაიგერი, ვან ბომელი, ზე რობერტო, რიბერი, ტონი.

**ბარსელონა:** ვალდესი, დანიელ ალვეში, პიკე, პუიოლი, სილვინიო, ჩავი, იაია ტურე, ინიესტა, მესი, ეტოო, ანრი.

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)

**ჩელსი–ლივერპული (3:1)**

„ლივერპულს“ უმძიმესი ამოცანა აქვს გადასაჭრელი. ნახევარფინალში გასასვლელად, „სტემფორდ ბრიჯზე“ მას სამი უპასუხო გოლის გატანა მართებს. რეალურია თუ არა მოვლენათა ამგვარი განვითარება? ინგლისელი მიმომხილველების პასუხი უარყოფითია. მათი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მერსისაიდელებს გავარდნისაგან მხოლოდ სასწაული თუ გადაარჩენთ.

გასულ უქმეებზე „ჩელსიმ“ „ბოლტონს“ უმასპინძლა. „არისტოკრატებმა“ მეტოქეს სწრაფად გაუტანეს ოთხი გოლი. **გუუს ჰიდინკმა** მიიჩნია, რომ თამაში მოგებული იყო. მან **ფრენკ ლემპარდი** და **დიდიე დროგბა** მინდვრიდან გაიყვანა, თუმცა „ბოლტონს“ მეორე სუნთქვა სწორედ ამ დროს გაეხსნა და რვა წუთში სამი გოლი შეაგდო. საბოლოოდ, მაინც „ჩელსიმ“ გაიმარჯვა, მაგრამ გამოჩნდა, რომ მისი დაცვა უძლეველი სულაც არ არის. ნამატჩევს ჰიდინკმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *„ცოტა არ იყოს, შეშფოთებული ვარ, რომ დროის მცირე მონაკვეთში სამი გოლი გავუშვით, მაგრამ ეს არაფერზე მეტყველებს. ყველა თამაში განსხვავებულია. მოდით, ასე ვთქვათ, დღევანდელ მატჩს ჭკუის სასწავლებლად გამოვიყენებთ.“*



ლივერპულში მოგების შემდეგ ტერი და ლემპარდი კარგ ხასიათზე არიან

მასპინძლებს კაპიტანი **ჯონ ტერი** ვერ დაეხმარება. ინგლისის ნაკრების ცენტრალური მცველი სასჯელს მოიხდის. მის ადგილს **რიკარდო კარვალიო** დაიკავებს. ტრავმის გამო პორტუგალიელს სამი მატჩი გაუცდა. უცნობია, ითამაშებს თუ არა სერბი **ბრანისლავ ივანოვიჩი**. ლივერპულური მატჩისას ის ძირითადში გაამწესეს, მან კი მწვრთნელს მადლობა ორი გოლით გადაუხადა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ჩელსი“ „ლივერპულს“ ზედიზედ მეორედ გამოაგდებს. მოგეხსენებათ, ეს გუნდები შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვება მაშინაც „არისტოკრატებს“ დარჩათ.

პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში „ლივერპულმა“ „ჩელსის“ სტუმრად სძლია. ეს მატჩი გასული წლის ოქტომბერში გამართა. მერსისაიდელებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. მათ „არისტოკრატების“ 86-მატჩიან წაუგებელ საშინაო სერიას დაუსვეს წერტილი. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა: ლონდონელთა სათავეში გუუს ჰიდინკი მოვიდა. მისი ხელმძღვანელობით „ჩელსიმ“ ყველა ტურნირზე 11 მატჩი ჩაატარა და 9 მოიგო.

პირველ რაუნდში ჰიდინკმა **რაფა ბენიტესი** ტაქტიკურ დუელში დაამარცხა. მან **მიკაელ ესიენს სტივ ჯერარდის** პერსონალური მეურვეობა დააკისრა, მიკაელს **მიხაელ ბალაკიც** ეხმარებოდა. გერმანელმა „ენფილდზე“ დაცვას ჩვეულზე მეტი ყურადღება დაუთმო. განელმა და გერმანელმა დავალებას ბრწყინვალედ გაართვეს თავი. მათ „ლივერპულის“ კაპიტანი, ფაქტობრივად, თამაშიდან გამოთიშეს. შაბათს „ბლექბერნთან“ მატჩში (4:0), ბენიტესმა ჯერარდი დაასვენა. სტივი „ჩელსისთან“ ძირითადში ითამაშებს. შემადგენლობას უბრუნდება **ხავიერ მასკერანოც**. მან ლივერპულური მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ალექსი, რიკარდო კარვალიო, ეშლი კოული, ბალაკი, ესიენი, ლემპარდი, კალუ, დროგბა, მალუდა.

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, შკრტელი, კარაგერი, აურელიო, ჩაბი ალონსო, მასკერანო, კუიტი, ჯერარდი, რიერა, ტორესი.

**არბიტრი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

შალვა ბიბილაშვილი




ლეო მესიმ ბაიერნს პირველ მატჩში დუბლი შეუსრულა

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ინტერვიუ

ლეო მესი

# ბაიერნი არ მეტოლდება, მიუნხენშიც უნდა ვიფრინოთ!

**ერთი კვირის წინ, ლეო მესიმ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ბაიერნს“ ორი გოლი გაუტანა და ახლა მიმდინარე გათამაშებაში უკვე 8 გოლი აქვს გატანილი. დღეს „ბარსელონა“ „ბაიერნს“ სტუმრობს და ეს შეხვედრა ფაქტობრივად ფორმალობაა იქიდან გამომდინარე, რომ კატალონიელებმა პირველი თამაში 4:0 მოიგეს. თამაშის წინ „ბარსას“ არგენტინელ დრიბლიორს გაზეთ „ბილდის“ ჟურნალისტი გაესაუბრა.**

**- ლეო, რომელ ფეხბურთელს გაიყვანდით მეორე ადგილზე, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების რეიტინგში?**

- ისე, სხვა დროს მეკითხებიან ხოლმე, მიიჩნევ თუ არა თავს საუკეთესოდო (იცინის). მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ტიტულებისა და პირადი ჯილდოების სიმრავლის თვალსაზრისით, კრისტიანო რონალდო საუკეთესოა. იმედი მაქვს, რომ მეც დავიმსახურებ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას.

**- როცა ვხედავთ, როგორ ახორციელებთ დრიბლინგს, როგორ უჭირთ თქვენთვის ბურთის წართმევა მოწინააღმდეგე გუნდის მცველებს, უკვე ველარ წარმოგვიდგენია, როგორ უნდა განიცადოს მესიმ ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ პროგრესი...**

- ფაქტია, რომ ღმერთმა ეს ნიჭი მომცა. ბავშვობიდანვე ასე ვთამაშობდი, მცველებს ადრეც სიცოცხლეს ვუმწარებდი. მაგრამ მიღწეულით არ დავკმაყოფილდები. კიდევ ძალიან ბევრი რამ უნდა ვისწავლო. მაგალითად, ტაქტიკურად უნდა გავუმჯობესდე.

**- როგორც კი დიდ ფეხბურთში გამოჩნდით, მაშინვე მეორე მარადონა შეგარქვეს. ახლა დიეგო არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელია და საინტერესოა, როგორი ურთიერთობა გაქვთ მასთან.**

- შესანიშნავი. დიეგო ხშირად მაქებს და მეც მისი ქებით მოტივაცია მიათმაგდება. მარადონა მოედანზე სრულ თავისუფლებას მანიჭებს, რაც ფეხბურთელისთვის დიდი შვებაა.

**- ლეგენდარულმა გერმანელმა მწვრთნელმა უდო ლატეკმა თქვა, მესი მარადონაზე უკეთესიაო. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი დიეგოს „ბარსელონაში“ წვრთნიდა.**

- ცხადია, ბედნიერი ვარ, როცა მესმის, რომ ისეთი პიროვნება, როგორიც უდო ლატეკია, ჩემზე ასეთ რამეს ამბობს. მაგრამ დიეგო არმანდო მარადონა განუმეორებელი ფეხბურთელი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ვერასდროს ვერავინ შეძლებს, იყოს მასზე უკეთესი. ეს გამორიცხულია.

**- არგენტინის ნაკრებმა ახლახან ბოლივიასთან 1:6 წააგო. წინა კვირას კი, „ბარსელონამ“ მიუნხენის „ბაიერნს“ 4:0 მოუგო. მიუნხენური კლუბის ფეხბურთელები არ შეგეცოდათ? რაც არ უნდა იყოს, ცოტა ხნის წინ თქვენც 1:6 დამარცხდით...**

- კარგად მესმის, რომ დიდი ანგარიშით წაგება ნებისმიერი გუნდისთვის ტრაგედიაა, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა: შეცოდების გრძნობა არ გამჩენია. თუმცა, მიუხედავად ასეთი ანგარიშით გამარჯვებისა, „ბარსას“ თითოეული ფეხბურთელი „ბაიერნს“ დიდ პატივს სცემს, რადგან ეს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გუნდია.

**- გერმანული გუნდის ასეთმა უსუსურობამ არ გაგაოცათ?**

- მეტოქე გუნდის სისუსტეებზე არასდროს ვსაუბრობ. არც ერთი მეტოქის შეცდომები არ მაინტერესებს და არ მაღელვებს. ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ და დიდი ანგარიშით გამარჯვება დავიმსახურეთ. ვფიქრობ, ამაში ვერავინ შემეკამათება.

**- „ბარსელონამ“ ოთხივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა, მატჩის მეორე ნახევარში კი ისეთი შემართებით აღარ თამაშობდით. რატომ დააგდეთ ტემპი, რატომ მოეშვით?**

- თამაშები სამ-ოთხ დღეში ერთხელ გვიწევს და ჩვენც მივხვდით, რომ ძალების დაზოგვა იყო საჭირო. საბაბი არ გვქონდა, რომ მეორე ტაიმშიც 100 პროცენტით დავხარჯულიყავით.

**- ანუ, საპასუხო შეხვედრაშიც ძალებს დაზოგავთ? იმედია, ეჭვი არ გეპარებათ იმაში, რომ „ბარსელონა“ უკვე ნახევარფინალშია...**

- არა, ძალებს არ დავზოგავთ. „ბარსელონასთვის“ დაუშვებელია ის, რომ მიღწეულით დაკმაყოფილდეს და უაზროდ ითამაშოს. ჩვენ მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გავდივართ და გამონაკლისი არც ეს შემთხვევა იქნება.

»»» 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაიერნი არ მეცოდება, მიუნხენშიც უნდა ვიფრინოთ!

9 «««

„ბარსელონას" შემადგენლობა საერთოდ არ ჰყავს. ჩვენთან ყველა ფეხბურთელი მნიშვნელოვანი ფიგურაა.

**- როგორ ფიქრობთ, „ბარსელონაში" ფრანკ რიბერის ადგილი მოიძებნება? თქვენ მარჯვნივ ითამაშებთ, ის კი მარცხნივ...**

- ვფიქრობ, ამ თემაზე საუბარი ჩემი მხრიდან ძალიან არაკორექტული იქნება იმ ფეხბურთელების მიმართ, რომლებიც „ბარსელონაში" და მით უმეტეს, მარცხენა ფლანგზე თამაშობენ. ყველამ ვიცით, რომ რიბერი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა. თუმცა ის უკვე თამაშობს ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში. უნდა თუ არა გუნდის გამოცვლა, ეს მხოლოდ და მხოლოდ რიბერის უნდა ჰკითხოთ.

**- თქვენი ფასი 150 მილიონი ევროა. ასეთი დიდი ფასი წნეხის ქვეშ არ გაქცევთ?**

- არა, ამ მხრივ წნეხს ოდნავადაც არ ვგრძნობ. პირველ რიგში იმის გამო, რომ გუნდის გამოცვლაზე ერთი წამითაც არ მიფიქრია. შესაბამისად, სულაც არ ვდარდობ, რამდენად მაფასებს „ბარსელონა". პირიქით, იმედი მაქვს, რომ „ბარსაში" კიდევ ძალიან დიდხანს ვითამაშებ. არ გამოვრიცხავ, რომ კარიერა ამ კლუბში დავასრულო. ამაზე უკეთეს გუნდში სად უნდა მოვხვდე?

**- თქვენი აზრით, რომელ გუნდს შეუძლია „ბარსელონას" შეჩერება ჩემპიონთა ლიგაში?**

- ძალიან გამაკვირვა „ჩელსიმ". ლონდონელებმა ჯერ „იუვენტუსი" გააგდეს, ახლა კი „ლივერპულს" სტუმრად 3:1 მოუგეს. შესაბამისად, შემიძლია ვიფიქრო, რომ „ჩელსი" „ბარსას" ძალიან სერიოზულ მეტოქეობას გაუწევს. ზოგადად კი, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში იოლი მეტოქე არ არსებობს, „ლივერპულიც" საშიშია. ჩემი და თითოეული ბარსელონელის მიზანი ფინალში გასვლაა და მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება რომში ჩვენი მეტოქე.

**- რაზე ოცნებობს ლეო მესი?**

- პირველ რიგში, ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე. გეხსომებათ, 2006 წლის ფინალში ტრავმის გამო ვერ ვითამაშე. ვოცნებობ მსოფლიოს ჩემპიონობაზეც. ჩემი პირადი და უდიდესი ოცნებაა ოჯახის შექმნა.

**- თქვენი ასაკის წარმატებული ფეხბურთელები დღენიადაგ გართობაზე ფიქრობენ, დისკოთეკებზე დადიან, გოგონებს ეფლირტავებიან. თქვენ რას აკეთებთ თავისუფალ დროს?**

- სხვათა შორის, უმეტესად სახლში ვარ ხოლმე. მიყვარს სახლში ყოფნა. ძალიან დიდი სამეგობრო წრე მყავს და მათთან ერთად ვარ ხოლმე. ახლა სეზონის ისეთი ფაზაა, რომ გართობისთვის დრო ფაქტობრივად არ მრჩება. აი, მაგალითად, „ბაიერნთან" მატჩის შემდეგ ეგრევე სახლში წავედი.

**- თქვენს თანაგუნდელ სამუელ ეტოოს 15 ლუქს-კლასის ავტომობილი ჰყავს...**

- ლუქს-კლასის ავტომობილები მე ნამდვილად არ მიზიდავს. ახლაც ზუსტად ისეთი ვარ, როგორიც ბავშვობაში ვიყავი - როცა არავინ მიცნობდა. მე ყველაფერი მაქვს, რაც მინდა. საკმარისზე მეტიც კი. შესაბამისად, ბედნიერი ვარ და ზედმეტს არ ვითხოვ.

**- სარეკლამო შემოსავალსაც თუ გავითვალისწინებთ, ცნობილია, რომ წელიწადში დაახლოებით 30 მილიონ ევროს იღებთ. ცხადია, ბევრ აგენტს უნდა, რომ ასეთი ფეხბურთელის მრჩეველი იყოს. ბევრი ცდილობს თქვენთან დამეგობრებას...**

- ოჯახის წევრებს ვენდობი, ჩემი მრჩევლებიც ისინი არიან. ჩემი ძმა, 28 წლის როდრიგო ბარსელონაში ჩემთან ერთად ცხოვრობს. საერთოდ, ჩვენ, არგენტინელები ოჯახს ძალიან ვაფასებთ.

**- თქვენი უახლოესი ნათესავი მიუნხენში თამაშობს...**

- ჰო, ბიძაშვილი ემანუელ ბიანკუჩი „მიუნხენ 1860"-ის სარეზერვო გუნდში ირიცხება. ჩვენ ერთად გავიზარდეთ. ემანუელს თითქმის ყოველდღე ვეხმიანები. ახლაც, მიუნხენში რომ ჩავალ, აუცილებლად ვნახავ.

**- ახლა რომ თქვათ, მიუნხენ 1860-ის ფანი ვარო, „ბაიერნის" ქომაგებს თქვენი შეძულების კიდევ ერთ საბაბს მისცემთ...**

- არა, „მიუნხენის" ფანი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ გავხდები - თუკი ემანუელი ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიმკვიდრებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ილია ნიკოლაიშვილი წარმოგიდგენთ — სამხრეთამერიკული ფეხბურთი

## იქ, დასავლეთ ნახევარსფ...



დიეგო მარადონა და რიკარდო ბოჩინი

# მაესტრო, რომელმაც მარადონას ხატვა ასწავლა

## დიეგოს ბოჩინის თამაში ცრემლებს აღვრევინებდა

1986 წელს, მექსიკის მუნდიალზე, როცა არგენტინის ნაკრებს ბელგიის ეროვნული გუნდის დამარცხებამდე 5 წუთი აშორებდა, ალბისელესტეს მთავარმა მწვრთნელმა **კარლოს ბილარდომ** ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი **ბურუჩაგა** მოედნიდან გაიყვანა და მის ნაცვლად **რიკარდო ენრიკე ბოჩინი** შეუშვა. **დიეგო მარადონა** მასთან მივიდა და სადღესასწაულო განწყობით უთხრა - დახატე, მაესტრო!

დიეგო არმანდო მარადონა მთელი არგენტინის კერპია, რა თქმა უნდა, ლეგენდარულ **კარლოს გარდელთან** ერთად. ეს ის გარდელია, რომელმაც მსოფლიოს არგენტინა ღვთაებრივი მუსიკით გააცნო და შეაყვარა. არგენტინელებს უყვართ თავიანთი ნიჭიერი შვილები. მარადონას, უამრავი შეცდომისა და ცოდვის მიუხედავად, დღესაც მთელი ქვეყანა ეთაყვანება, მაგრამ თავად დიეგოსაც ჰყავს საკუთარი კერპი, მისი სახელი სწორედ რიკარდო ენრიკე ბოჩინია. დიეგოს არასოდეს დაუმალავს, რომ ამ კაცს ეთაყვანება და უდიდეს პატივს სცემს. „ელ ბოჩა" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, რომელიც არგენტინას მსოფლიოსთვის უჩუქებია. თვითნაბადი ტალანტი, კაცი, რომელსაც ფეხბურთი თავში ჰქონდა გამჯდარი და ტვინი ამ თამაშით ჰქონდა მოწამლული. ნახევარმცველი, რომელიც ლაღად, უდარდელად, მსუბუქად და ვნებით წარმართავდა მომაჯადოვებელ თამაშს, ბოჩინის შეფასებისას უამრავი ეპითეტი შეიძლება დახარჯო, ის მართლაც დიადი ფეხბურთელი იყო. მარადონა გულდაწყვეტით ამბობს, ახალი ბოჩინი, ალბათ, აღარასოდეს დაიბადებაო. დიეგოს ყველაზე მეტად იმაზე სტკივა გული, რომ მის მაესტროს ევროპაში სრული ბრწყინვალებით წარდგომის საშუალება არ მიეცა, თუმცა ამით „ელ ბოჩას" ბევრი არაფერი დაკლებია. ძალიან დიადი უნდა იყო, ღმერთის კერპი რომ გახდე, მარადონა კი საფეხბურთო ღვთაებაა, კაცობრიობა ამაზე ძალიან დიდი ხანია შეთანხმებულია. არგენტინაში დიეგოს ეკლესიაც კი გახსნეს, ეს კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ გენიალური მეათე ნომერი არგენტინელების ყველაზე ახლობელი ღმერთია.

ბოჩინი „ინდეპენდიენტეა", „ინდეპენდიენტე" კი ბოჩინი. კლუბისა და გენიალური ნახევარმცველის ურთიერთობა ულამაზესი რომანტიკული ისტორიაა. „ელ ბოჩა" ამ გუნდის ღირსებას 19 წლის განმავლობაში მთელი ღირსებით იცავდა. ამ ხნის განმავლობაში მან თითქმის 700 შეხვედრა ჩაატარა. „ინდეპენდიენტეს" მაისურით მან მრავალი ტიტული მოიპოვა, ოთხჯერ არგენტინის ჩემპიონი გახდა, ოთხჯერ ლიბერტადორესის თასი მოიგო, ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასს დაეუფლა, სამჯერ კი ინტერამერიკანას გამარჯვებული გახდა. ეს დიდი წარმატებაა, მაგრამ „ინდეპენდიენტეს" გულშემატკივრებს ტიტულებზე მეტად თავად ბოჩინი ენატრებათ. ის იყო ხალხის ყველაზე დიდი ჯილდო, მისი გენიალური თამაში ნებისმიერ ტიტულს გადაწონიდა. „ელ ბოჩა" არგენტინული ფეხბურთის რომანტიზმს განასახიერებდა. მან მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ ფეხბურთი არა მხოლოდ შეჯიბრება, ტიტულების მოპოვებისთვის მოგონილი მარათონი, არამედ სილამაზე და შემოქმედებაა. მისთვის უცხო იყო პრაგმატიზმი, რადგან შინაგანი სამყარო სანახაობაზე, სილამაზეზე წინ რაიმეს დაყენების საშუალებას არ აძლევდა. მისი ფეხბურთი შიშველი გრძნობა, ემოცია და გატაცება იყო, რა თქმა უნდა, შემოქმედებასა და თანაგუნდელების პატივისცემაზე დამყარებული გატაცება. „ელ ბოჩას" „ინდეპენდიენტე" გენიოსის გარშემო შემოკრებილი გუნდი იყო. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, არგენტინული გრანდი ამ გაგებით ხელმძღვანელობდა, თუმცა ეს ყველაფერი ოდნავ სხვა ჭრილში უნდა განვიხილოთ, რადგან ბოჩინი ყოველთვის და ყველგან ერთი იყო, ის განუმეორებელი ფეხბურთელი გახლდათ. უბედურებაა, რომ უამრავი დაუვიწყარი წუთის, უდიდესი ბედნიერებისა და მართლაც არაამქვეყნიური ფეხბურთის შემოქმედი კაცი გარკვეული ინტრიგებისა და ჟურნალისტური ეგოიზმის მსხვერპლი გახდა. ნიჭიერი კაცი ყველას არ უყვარს. პირიქით, ის ხშირად შურსა და სიძულვილს იწვევს. შურისა და ბოღმის კაკაფონიას რამდენიმე ნაძირალა ქმნის, ბევრად მეტი კი სხვის მიერ მოფიქრებულ აზრს გაუაზრებლად ისრუტავს და ბრიყვი თუთიყუშივით იმას გაიძახის, რაც სხვას აძლევს ხელს, მაგრამ თავად ამაზე არასოდეს უფიქრია. მოკლედ, შურიანი ჟურნალისტების მიერ ატეხილმა აჟიოტაჟმა და მათ მიერვე შექმნილმა საშინელმა წნეხმა **ლუის სესარ მენოტის** მიუტევებელი, მომაკვდინებელი ცოდვა ჩაადენინა. „ელ ფლაკო" ამისათვის ჯოჯოხეთში მოხვედრასაც კი იმსახურებს. ალბისელესტეს მაშინდელმა მწვრთნელმა პრესის ზეწოლას ვერ გაუძლო და დიდი კაცი 1978 წლის მუნდიალზე არ წაიყვანა. საუბედუროდ, მენოტი შეცდომას ვერ მიხვდა და „ელ ბოჩას" 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატიც ოცნებად ექცა. ჟურნალისტები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ არგენტინის ნაკრებში **ბეტო ალონსო** უნდა წასულიყო. არადა, ესპანეთის მუნდიალის წინ ბოჩინი ფანტასტიკურ ფორმაში იყო. მარადონას მაესტრომ მუნდიალს მხოლოდ 1986 წელს გაუგო გემო, ისიც იმიტომ, რომ დიეგომ კარლოს ბილარდოს კატეგორიულად დაუყენა საკითხი, „ელ ბოჩა" მექსიკაში წამოიყვანეო.

ბოჩინი მსოფლიო ჩემპიონია, მაგრამ ის მსოფლიო ჩემპიონად თავს არ მიიჩნევდა. მექსიკის მუნდიალის დასრულების შემდეგ მან პრესკონფერენციაზე გულწრფელობით აღსავსე განცხადება გააკეთა: *„ოფიციალურად მეც მსოფლიო ჩემპიონად ვითვლები, მაგრამ თავს ვერ მოვიტყუებ, მე ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვგრძნობ ხოლმე. მოედანზე იმდენად მცირე დრო გავატარე, თავს მსოფლიოს ჩემპიონად ვერ აღვიქვამ. ეს დიეგოს და სხვა ბიჭების მუნდიალი იყო. ყველაფერი მათ გააკეთეს და მე სხვის ნაშრომს ვერ მივითვისებ."* მაშინ ბევრს ეგონა, რომ „ელ ბოჩა" ბილარდოზე ნაწყენი იყო, თუმცა მას წყენა კი არა, თავმდაბლობა და წრფელი სინდისი ალაპარაკებდა. „ინდეპენდიენტეს" გენიოსი გულწრფელად ფიქრობდა, რომ მსოფლიო თასის მოგებაში წვლილი არ შეუტანია და ჩემპიონად თავს ამიტომაც ვერ აღიქვამდა.

ბოჩინი, როგორც მთელი მისი ოჯახი, „სან ლორენსოს" ფანად დაიბადა, მაგრამ ცხოვრებამ ის სულ სხვა ნაპირზე მიიყვანა. 17 წლის ასაკში უნიჭიერესი ნახევარმცველი „ინდეპენდიენტეში" მოხვდა და ამ კლუბს მარადიული სიყვარული შეფიცა. სადებიუტო შეხვედრა მან 1972 წელს, „რივერ პლეიტის" წინააღმდეგ ჩაატარა, ბოლო მატჩი კი 1991 წელს, „ესტუდიანტესის" წინააღმდეგ გამართა. ამ 19 წლის განმავლობაში დიდი რომანტიკოსი მხოლოდ „ინდეპენდიენტეს" ოცნებებით ცოცხლობდა და მისი კეთილდღეობისთვის არსებობდა. „ელ ბოჩამ" კარიერა ზუსტად 18 წლის წინ დაასრულა, მაგრამ არგენტინული ფეხბურთის გულშემატკივრები მას დღემდე არ ივიწყებენ. მათ შორის, არც დიეგო არმანდო მარადონა. ლეგენდარული არგენტინელი მაესტროზე ყოველთვის დიდი სითბოთი საუბრობს. მათი შეხვედრა რამდენიმე დღის წინ შედგა. დიეგომ ემოციები ვერ შეიკავა და ჟურნალისტებს ასეთი რამ უთხრა:

*„ელ ბოჩა" ჩემი მაესტროა, ხატვა მან მასწავლა. უკეთესი მასწავლებელი ვერ მეყოლებოდა. როცა მის თამაშს ვუყურებდი, ცრემლები მომდიოდა, შეყვარებული ქალივით ვტიროდი ხოლმე, თან მრცხვენოდა, თან ბედნიერი ვიყავი, რომ ამ საოცრებას საკუთარი თვალით ვუყურებდი. მე არ მეგულება, მეორე ადამიანი, რომელიც ასეთ საოცრებებს ჩადიოდა. ის ბურთს არასოდეს უყურებდა, მას სხეულით, სულით და გულით გრძნობდა. „ელ ბოჩა" თამაშს არასოდეს ართულებდა, მაგრამ არც მარტივ გამოსავალს ეძებდა, მისი სამიზნე ყოველთვის ლამაზად თამაში იყო. სილამაზე ბოჩინის ბედისწერა გახლდათ. ფეხბურთი ჩემს სისხლშია, მე ამ თამაშით მოვიწამლე და არ შემეძლო, რომ დიდი მაესტროს ჯადოქრობით გამოწვეულ აღტაცებას შევწინააღმდეგებოდი. მარადონა სიყმაწვილეში მოიხიბლა და ბოჩინის ყველაზე დიდ ინჩასად იქცა. ჩვენ შორის, ძალიან დიდი ასაკობრივი სხვაობა არ არის, მაგრამ ენრიკეს ყოველთვის ჩემს დიდ მასწავლებლად, განუმეორებელ მაესტროდ აღვიქვამ. მის მიმართ სულ სხვა რიდი და მოწიწება მაქვს. მიყვარს, როცა ამ დიდ კაცს პატივისცემის, დაფასებისა და სიყვარულის ნიშნად ხელზე ვეამბორები ხოლმე. ამ კოცნით ყველაფერია ნათქვამი, მე შენ მიყვარხარ ბოჩა. გმადლობ, დიდო მაესტრო! დიდება უფალს, რომ რიკარდო ენრიკე ბოჩინი არგენტინაში დაიბადა".*

»»» 11

William HILL
უილიამ ჰილის კოეფიციენტები

ჩემპიონთა ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14 Apr 09 | Bayern Munich-Barcelona | 2.62 | 3.30 | 2.25 |
| 14 Apr 09 | Chelsea-Liverpool | 2.15 | 3.25 | 2.87 |
| 15 Apr 09 | Arsenal-Villarreal | 1.53 | 3.50 | 5.50 |
| 15 Apr 09 | Porto-Man Utd | 3.20 | 3.20 | 2.00 |

შვედეთი. ალსვენსკა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | Djurgarden-Gefle | 1.61 | 3.30 | 5.00 |
| 15 Apr 09 | Halmstad-Brommapojkarna | 1.60 | 3.40 | 4.80 |
| 15 Apr 09 | Hacken-IFK Goteborg | 3.60 | 3.30 | 1.83 |
| 16 Apr 09 | AIK Solna-Malmo | 2.25 | 3.20 | 2.75 |
| 16 Apr 09 | Trelleborg-GAIS | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 16 Apr 09 | Helsingborg-Hammarby | 1.67 | 3.40 | 4.33 |
| 16 Apr 09 | Orgryte-Orebro | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 16 Apr 09 | Elfsborg-Kalmar | 1.91 | 3.20 | 3.50 |

ნორვეგია. ტიპელიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14 Apr 09 | Fredrikstad-Stabaek | 2.62 | 3.10 | 2.37 |

ჩრდილოეთ ირლანდია

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14 Apr 09 | Ballymena-Newry | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 14 Apr 09 | Coleraine-Linfield | 3.50 | 3.20 | 1.91 |
| 14 Apr 09 | Crusaders-Glentoran | 2.75 | 3.20 | 2.25 |
| 14 Apr 09 | Lisburn Distillery-Cliftonville | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 14 Apr 09 | Glenavon-Dungannon Swifts | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 14 Apr 09 | Institute-Bangor | 1.73 | 3.40 | 4.00 |

დანია SAS-ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14 Apr 09 | Esbjerg-Nordsjaelland | 2.05 | 3.20 | 3.10 |

დანიის თასი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | Brondby-AaB Aalborg | 1.91 | 3.25 | 3.40 |
| 16 Apr 09 | Nordvest-FC Copenhagen | 15.00 | 7.00 | 1.10 |

სლოვაკეთი. სუპერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14 Apr 09 | Ruzomberok-Spartak Trnava | 2.70 | 2.95 | 2.40 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექსიკის ნაკრები

# აგირემ გატეხილი უნდა გაამთელოს

## ბლანკო ახალი მწვრთნელის ზარს ელის

10 «««

როგორც იცით, მექსიკის ნაკრებიდან **სვენ გორან ერიქსონის** გაშვების შემდეგ, მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე **ხავიერ აგირე** დაინიშნა. „ატლეტიკოს" ყოფილ დამრიგებელს საკმაოდ ბევრი სამუშაო დახვდა. მას, პირველ რიგში, რამდენიმე ნაწილად დაქსაქსული გუნდის გაერთიანება მოუწევს. მექსიკელმა სპეციალისტმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა: *„პირველ რიგში უნდა მოგახსენოთ, რომ სვენ გორან ერიქსონს გაწეული მუშაობისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ. ის დიდი სპეციალისტია და ეროვნულ გუნდში საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა, თუმცა ბუნებრივია, პრობლემები მაინც დარჩა. შვედი მწვრთნელის წასვლის შემდეგ თანამდებობა მე შემომთავაზეს. წინადადებას დავთანხმდი და მუშაობას შევუდექი. შემიძლია პირველადი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ. მეჩვენება, რომ გარკვეული მიზეზების გამო გუნდი დაქსაქსულია. ამ პირობებში რაიმე წარმატებაზე საუბარი, რა თქმა უნდა, ზედმეტია. პირველ რიგში ნაკრების ერთ მუშტად შეკვრაზე უნდა ვიზრუნო. სხვანაირად საქმე არ გამოვა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნაკრების ფეხბურთელებმა დაფასებულად იგრძნონ თავი. მე ყველას ინდივიდუალურად გავესაუბრები. მათ მოსაზრებებს მოვისმენ და შევეცდები, საუკეთესო სტრატეგია ჩამოვაყალიბო. ძალიან კარგად ვიცი, რა უნდა გავაკეთო. ასე რომ, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ."*

მექსიკელი მიმომხილველები ხმამაღლა აცხადებენ, რომ ნაკრებში ერთმანეთთან დაპირისპირებული დაჯგუფებებია. ერიქსონმა დაქსაქსულობის პრობლემა ვერ მოაგვარა. ჩვენი ოკეანისგაღმელი კოლეგები ამტკიცებენ, უცხოელი მწვრთნელი ნიუანსებში ვერ გაერკვა და შესაბამისად, პრობლემებიც ვერ მოაგვარაო. აგირე კი ყველა დეტალშია გარკვეული. ამიტომ მას ძალიან დიდ იმედებს უკავშირებენ.

ამასობაში, ლეგენდარულმა მექსიკელმა ფეხბურთელმა **კუატემოკ ბლანკომ** სენსაციური განცხადება გააკეთა. გასული წლის მიწურულს მან სანაკრებო კარიერა დაასრულა, თუმცა ხავიერ აგირეს დანიშვნამ იმდენად გაახარა, რომ სახელგანთქმული ფორვარდი ნაკრებში დაბრუნებაზე დაფიქრდა: *„მიმაჩნია, რომ არაჩვეულებრივ ფორმაში ვარ. ამერიკულ ლიგაში საკმაოდ კარგად ვთამაშობ. თუ ხავიერ აგირე გამიხსენებს და ეროვნულ გუნდში დამიძახებს, დაუფიქრებლად დავბრუნდები. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული რომ არ ვიყო, ამას არ ვიტყოდი. სანაკრებო თავგადასავლებისთვის 100 პროცენტით მზად ვარ. ასე რომ, ახლა ყველაფერი სენიორ აგირეზეა დამოკიდებული."*

კუატემოკ ბლანკოს ნაკრებში 100 შეხვედრა აქვს ჩატარებული. 1995 წლიდან მოყოლებული, კარიერის დასრულებამდე მან 35 გოლის გატანა შეძლო.

### რონალდო ადრიანოს ხელს უწვდის

**ადრიანოს** თავზე ხელაღებული საქციელი მთელმა მსოფლიომ გაიგო. როგორც იცით, მან „ინტერი" მიატოვა და განაცხადა, პირად პრობლემებს მხოლოდ ბრაზილიაში დარჩენით მოვაგვარებო. ადრიანოს ლოთობასა და ნარკოტიკებით ტკბობაზე ძალიან ბევრს საუბრობენ. აშკარაა, ბრაზილიელ ფორვარდს ძალიან უჭირს და მას დახმარება სჭირდება. გასაჭირში ყველაზე ახლობელი ადამიანი თუ ამოგიდგება გვერდში. ადრიანოს დახმარების ხელი **რონალდომ** გაუწოდა. „კორინთიანსის" ფორვარდმა „ოგლობოსთვის" მიცემულ ინტერვიუში ასეთი რამ განაცხადა: *„ჩვენ ყველა ადამიანები ვართ და ერთმანეთს კარგად უნდა გავუგოთ. ცოდვისგან თუ შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, მათ შორის, ადრიანოც. მას ახლა დახმარება, თანადგომა და მზრუნველობა სჭირდება. მზად ვარ, ჩემს მეგობარს მხარში ამოვუდგე და ძმურად დავეხმარო. ფსიქოლოგის დიპლომი არ მაქვს, მაგრამ შემიძლია ადრიანოს რამდენიმე სიტყვა შევაშველო და დეპრესიის დაძლევაში დავეხმარო."*

რეალი

# კასილიასი ფეხბურთელებს იწუნებს

## მეკარე გამოსავალს ხმაურიან ტრანსფერებში ხედავს



**დიდი** მოლოდინის მიუხედავად, მადრიდის „რეალის" გულშემატკივრები წელს იმედგაცრუებული დარჩნენ. მართალია, სამეფო კლუბი ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგიდან დიდი ხანია გამოვარდა. არადა, გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი საყვარელი გუნდი წელს მე-10 საიუბილეო ტიტულს მოიპოვებდა. როგორც იცით, ეს ამოცანა გადაუჭრელი დარჩა. კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ინჩასებს ილუზიად ქცეული მოლოდინი ჰქონდათ. აგერ უკვე 5 წელია, მადრიდის „რეალი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ დაბრკოლებას ვერ სცდება. სპეციალისტები მიზეზებზე ძალიან ბევრს საუბრობდნენ, მაგრამ არავის უთქვამს, რომ ძაღლის თავი შემადგენლობის სისუსტეშია დამალული. **იკერ კასილიასმა** ყველა ჟურნალისტზე დიდი გამბედაობა გამოიჩინა და საკმაოდ მტკივნეულ თემაზე გულწრფელად ისაუბრა:

*„ჩემპიონთა ლიგაში სუსტი მონინაალმდეგე პრაქტიკულად არ არსებობს. ამ ტურნირში ევროპის საუკეთესო კლუბები მონაწილეობენ. საუკეთესოების დამარცხებას კი ბევრად მეტი ძალისხმევა და მუშაობა სჭირდება. ჩემი აზრით, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი არაკონკურენტუნარიანი შემადგენლობაა. ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად უმაღლესი დონის ფეხბურთელებია საჭირო. იმედია, არავინ მიწყენს, მაგრამ მიმაჩნია, რომ „რეალის" ახალმა ხელმძღვანელობამ რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი უნდა გაჩარხოს".*

კასილიასის თამამი განცხადება ჟურნალისტებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მათ გაუკვირდათ, რომ სახელგანთქმულმა მეკარემ თანაგუნდელების კვალიფიკაცია ეჭვ ქვეშ დააყენა. კასილიასმა მედიის კითხვას ასე უპასუხა: *„მე არავის დაკნინებას არ ვცდილობ. უბრალოდ, ფაქტზე ვსაუბრობ. „რეალმა" ჩემპიონთა ლიგაში კონკურენციას ვერ გაუძლო. „ლივერპულთან" პირწმინდად დავმარცხდით. არადა, სულაც არ ვფიქრობ, რომ ინგლისელებს ევროპაში საუკეთესო კლუბი ჰყავთ. მიუხედავად ამისა, მათ მინიმალური წინააღმდეგობაც ვერ გავუწიეთ. არ ვიცი, შეიძლება შეფასებაში ვაჭარბებ, მაგრამ ფაქტია, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური დაბრკოლება 5 წელია, ვერ გადაგვილახავს. ჩემი აზრით, ეს სრულიად ანომალიური მოვლენაა. არ შეიძლება, ასეთი ტრადიციების მქონე დიადი კლუბი ერთ ადგილს ტკეპნიდეს და წინ ვერ მიიწევდეს. მე ყველას ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდის ერთადერთი შვება სწორედ ხმაურიანი ტრანსფერებია. „რეალს" მსოფლიო დონის ვარსკვლავები სჭირდება. აი, სწორედ ისეთები, რომლებმაც რამდენიმე წლის წინ ყველაზე პრესტიჟული ტიტულები მოგვაპოვებინეს".*

კასილიასის ეს განცხადება მიმომხილველების ერთმა ნაწილმა **ფლორენტინო პერესის** ერთგვარ მხარდაჭერად აღიქვა. სამეფო კლუბის ყოფილი პრეზიდენტი სწორედ ხმაურიანი ტრანსფერების გაჩარხვის სეპეციალისტადაა მიჩნეული. ის ხელისუფლებაში დაბრუნებას სწორედ ამ გზით აპირებს და გასაკვირი სულაც არ იქნება, თუ დღეს არსებულ შემადგენლობაში მხარდამჭერებს რაზმავს და მათ წინასაარჩევნო კამპანიაში დახმარებას სთხოვს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბაიერნი




ბაიერნის ფანები კატეგორიულად მოითხოვენ: კლინსმან, წადი!

# ბუდადან ბუტამდე

## იურგენ კლინსმანის ყველა შეცდომა მიუნხენში მუშაობის დაწყებიდან დღემდე

**დღეს თითქმის ყველა გერმანელი ექსპერტი თანხმდება იმაზე, რომ იურგენ კლინსმანის მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნა დიდი შეცდომა იყო. მიმდინარე სეზონმა ცხადყო, რომ კლინსი რეკორდმაისტერისთვის შესაფერისი მწვრთნელი არ არის. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ნაჩვენები შედეგების მიხედვით ეს ასეა. ყველაფერი კი 2008 წლის 11 იანვარს დაიწყო, როცა ბავარიული გრანდის ხელმძღვანელებმა სენსაციური ინფორმაცია გაავრცელეს. მათ თქვეს, რომ 1 ივლისიდან, რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე, ოტმარ ჰიტცფელდს იურგენ კლინსმანი შეცვლიდა. კლინსის იმხანად გერმანიაში გმირის სახელი ჰქონდა, რომელიც მან 2006 წლის მუნდიალზე, გერმანიის ნაკრების მესამე ადგილზე გაყვანით მოიპოვა. მას „ბაიერნის" მოდერნიზება დაევალა. დღეს კი ცხადია, რომ იურგენმა უამრავი შეცდომა დაუშვა და პროექტი სახელწოდებით „კლინსმანი „ბაიერნში", ფაქტობრივად ჩავარდა. აი, მისი შეცდომების ქრონოლოგია:**

**2008 წლის ივნისი:** კლინსის თხოვნით, „ბაიერნის" ბაზაზე, ახალი შენობის სახურავზე ბუდას ქანდაკებები დაამონტაჟეს, რის გამოც იურგენს მთელმა საფეხბურთო გერმანიამ დასცინა. აგვისტოს ბოლოსთვის ქანდაკებები ისევ გაქრა.

**2008 წლის 30 ივნისი:** იურგენმა თავის სამწვრთნელო შტაბში 10 ასისტენტი შეიყვანა. თითქმის არც ერთი მათგანი არ ლაპარაკობდა გერმანულად, მათ არ შეეძლოთ ფეხბურთელებთან სრულფასოვანი კონტაქტის დამყარება. და არც ერთი მათგანი არ იყო (არ არის) ბუნდესლიგის ექსპერტი.

**2008 წლის 1 ივლისი:** წინასასეზონო პრესკონფერენცია. დაწყებისთანავე, კლინსიმ ყველა გააფრთხილა, ჩემთვის ფოტოების გადაღება მხოლოდ პირველი სამი წუთის განმავლობაშია შესაძლებელიო. ფოტოგრაფების ერთმა ნაწილმა მას ფოტოები საერთოდ არ გადაუღო და საპრესკონფერენციო დარბაზი მაშინვე დატოვა. დანარჩენები კი სამი წუთის შემდეგ გაიძურწნენ. ამის შემდეგ, კლინსმანმა თქვა წინადადება, რომელიც მას ფაქტობრივად მთელი სეზონის განმავლობაში გამოჰყვა და არაერთხელ დაუხვდა წინ: *„ჩემი ფილოსოფია ის არის, რომ თითოეულმა ფეხბურთელმა ყოველდღიურად განიცადოს პროგრესი."*

**2008 წლის 20 სექტემბერი:** 2:5 „ვერდერთან", „ბაიერნის" პირველი სერიოზული მარცხი, თანაც, საკუთარ მოედანზე. ამ თამაშის ჩათვლით, კლინსმანი „ბაიერნს" 3-5-2 სქემით ათამაშებდა და სწორედ ამ მატჩში მიხვდა, რომ ეს ტაქტიკა დიდი შეცდომა იყო.

**2008 წლის 24 სექტემბერი:** იურგენმა კაპიტანი **მარკ ვან ბომელი** ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო და სათადარიგოთა სკამზე დასვა. შეგახსენებთ, რომ სეზონის წინ მან ვან ბომელი თვითონვე აირჩია გუნდის თავად. კლინსიმ საჯაროდ განაცხადა, რომ ვან ბომელი შეუცვლელი ფიგურა არ იყო, რადგან მისი კონკურენტი **ანდრეას ოტლი** ძალიან კარგად ვარჯიშობს და ჩინებულ ფორმაშიაო. გუნდის კაპიტნისა და ახალგაზრდა ფეხბურთელის დაპირისპირებამ კლინსმანს ის მოუტანა, რომ ჰოლანდიელი იურგენს დაუპირისპირდა და მას მერე მწვრთნელი გულზე აღარ ეხატება.

**2008 წლის 27 სექტემბერი:** 0:1 „ჰანოვერთან", მეორე მარცხი ამ სეზონში.

**2008 წლის 18 ოქტომბერი:** კლინსიმ ტაქტიკა შეცვალა. მიხვდა რა, რომ თავისი სქემა წარმატებას ვერ მოუტანდა, ოტმარ ჰიტცფელდის ნაცად, წარმატებულ სქემას დაუბრუნდა და „კარლსრუესთან" გუნდი 4-4-2-ით ათამაშა. ამ კომპრომისმა მას ამ მატჩში წარმატება მოუტანა - ბავარიელებმა 1:0 მოიგეს. სამაგიეროდ, კლინსმანს ავტორიტეტი შეელახა.

**2008 წლის 28 ოქტომბერი:** ფეხბურთელებმა იურგენს სასტუმროს შეცვლა მოსთხოვეს. მათ საშინაო მატჩების წინა დღით „არაბელა შერატონში" დასვენება აღარ მოსწონდათ და „ლიმერჰოფ ოტელში" გადასვლა მოითხოვეს. კლინსმანმა მათი სურვილი დააკმაყოფილა.

**2008 წლის 11 ნოემბერი:** იურგენის სურვილით, „ბაიერნმა" „ლოს ანჯელეს გალაქსიდან" ამერიკელი თავდამსხმელი **ლენდონ დონოვანი** ინათხოვრა. არადა, ეს იყო ფეხბურთელი, რომელმაც მანამდე ბუნდესლიგაში ორჯერ სცადა ბედი, მაგრამ ორჯერვე ვერაფერი გააწყო (ლევერკუზენში). არენდას ვადა 8 მარტამდე ჰქონდა. განხორციელდა თუ არა ტრანსფერი, კლინსიმ ოფიციალურად განაცხადა, დონოვანი გუნდის მესამე თავდამსხმელიაო - იურგენმა ამერიკელი **ლუკას პოდოლსკიზე** წინ დააყენა. სწორედ მაშინ გაირბინა შავმა კატამ პოლდისა და კლინსის შორის. მას მერე იურგენს ველარც ლუკასი იტანს.

**2009 წლის 19 თებერვალი:** ალიყური კლინსმანს! „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე ამბობს: *„ზაფხულში მთელ სეზონს გავაანალიზებთ და შევაფასებთ როგორც გუნდის, ასევე მწვრთნელის მიერ შესრულებულ სამუშაოს".* ასე შეიტყო კლინსმანმა, რომ სერიოზული წარუმატებლობის შემთხვევაში, გაგდება ემუქრება!

**2009 წლის 3 მარტი:** „ბაიერნმა" კიდევ ერთხელ შეიცვალა სასტუმრო. ამჯერად უკვე მწვრთნელის მოთხოვნით. იურგენმა თქვა, ბიჭებს ეს გარემო უკვე მობეზრდათო.

**2009 წლის 8 აპრილი:** კლინსმანმა მეკარე **მიხაელ რენზინგი** ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, „ბარსელონასთან" რეკორდმაისტერის კარი, მანამდე სათადარიგო კიპერად მიჩნეულმა **ჰანს-იორგ ბუტმა** დაიცვა. საფინალო სასტვენის შემდეგ იურგენმა თქვა, რომ ეს მხოლოდ ერთჯერადი აქცია იყო - „აინტრახტთან" კარს ისევ რენზინგი დაიცავსო. „ბარსასთან" კატასტროფულ მარცხში (0:4) ბუტს ბრალი არ მიუძღვის. რენზგინგმა ნამატჩევს თქვა, მიხარია კიდეც, ამ თამაშში კარს მე რომ არ ვიცავდიო. მიუხედავად დაპირებისა, „აინტრახტთან" „ბაიერნის" კარს ისევ ბუტი იცავდა. კლინსმანმა გადაწყვეტილება შეცვალა და ამბობს, ამიერიდან სულ მნიშვნელოვანი თამაშები გვაქვს და გამოცდილი მეკარე გვჭირდებაო...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო-თხილამურობა


იასონ აბრამაშვილი

# იასონმა მეექვსედ იპირველა

20 წლის **იასონ აბრამაშვილმა** სეზონში მეექვსე (კარიერაში მეშვიდე) ტიტული მოიგო - ქართველმა სამთო-თხილამურემ ამჯერად საფრანგეთის კურორტ ვალ ტორენში „სითიზენის" ეგიდით გამართულ სლალომში იმარჯვა. ჩვენებური მონაწილეთა შორის რეიტინგით მე-9 იყო, მაგრამ მან ორი ცდის ჯამში 1:31, 35 წუთი შედეგით ყველას აჯობა. კვარცხლბეკზე იასონს მხარი ფრანგებმა დაუმშვენეს, **ბენჟამინ გარდემ** და **რომენ ემპტაზმა**. კარგად ისრიალა **კოტე ვახტანგიშვილმაც**, 17 წლის სპორტსმენმა 1:35,00 წუთი შედეგით მეშვიდე ადგილი დაიკავა, არადა, რეიტინგით ის მხოლოდ მე-17 იყო ასამდე მონაწილეს შორის. **ვახტანგ თედიაშვილსა** და **ალექსი ბენიანიძეს** ხელი მოეცარათ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი — მსოფლიო ტური

# საქა-რთველო და გეორ-გია იწყებენ

პლაჟბურთის ქართული წყვილებისთვის **გეორ-გიასა** და **საქა-რთველოსთვის** შარშანდელი სეზონი მართლაც წარმატებული გამოდგა. შეგახსენებთ, რომ ვაჟთა შორის პეკინის ოლიმპიადაზე ჩვენმა ფრენბურთელებმა ნახევარფინალში გააღწიეს და ევროპულ წყვილებს შორის საუკეთესო შედეგი აჩვენეს. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საქართველომ სათამაშო სახეობაში ოლიმპიადაზე ერთბაშად ორი გუნდი გამოიყვანა.

მეორე გუნდმა, ქალთა შორის პლაჟბურთის წყვილმა საქა-რთველომ ვაჟების დარი შედეგი ვერ აჩვენა, თუმცა ჯგუფური ეტაპის გადალახვა მაინც შეძლო და მერე, საქართველოსთვის იმ მეტად მძიმე აგვისტოს დღეებში, გათამაშებას რუსული დუეტი გამოთიშა.

ჩვენი პლაჟბურთელები ერთი კვირის თავზე კვლავ ჩაებმებიან მსოფლიო ტურის გათამაშებაში, რომელიც რამდენიმე ეტაპად ტარდება. პირველი ეტაპი 20-25 აპრილს ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში გაიმართება.

ალსანიშნავია, რომ წლევანდელ სეზონს ჩვენი წყვილები რეიტინგში საკმაოდ მაღალი საფეხურებიდან იწყებენ. ვაჟთა შორის გეორ-გია 3420 ქულით მე-12 ადგილზეა და წარმატებულად ასპარეზობის შემთხვევაში საუკეთესო ათეულში სამი ან ოთხი ეტაპის შემდეგ უნდა მოხვდეს.

თითქმის ანალოგიური პროგნოზის გაკეთება შეიძლება საქა-რთველოზეც. ჩვენს ქალ ფრენბურთელებს 3020 ქულა აქვთ და რეიტინგში მე-14 ადგილზე არიან.

**მსოფლიო რეიტინგი**

**ქალები.** 1. ანა პაულა - შელდა (ბრ) - 6 980 ქულა, 2. როსი - ბოსი (აშშ) - 5 300, 3. ტალიტა - რენატა (ბრ) - 5 100, 4. მარია კლარა - კაროლინა (ბრ) - 5 060, 5. ანტონელი - ლეაო (ბრ) - 4 500, 6. ტიან ჯია - ჟანკი (ჩინ) - 4 160, 7. ხუე - ხი (ჩინ) - 4 100, 8. ბრანგი - იუნგზი (აშშ) - 4 060, 9. ჯულიანა - ლარისა (ბრ) - 3 840, 10. შვაიგერი -შვაიგერი (ავსრ) - 3 500, 11. ბარნეტი - კუკი (ავსლ) - 3 160, 12. კარანთასიოუ - არვანითი (საბ) - 3 120, 13. ვალჰოდერი - ტერნერი (აშშ) - 3 120, 14. საქა-რთველო (საქ) - 3 020, 15. ნილა - ინგრიდი (ნორ) - 2 960.

**ვაჟები.** 1. ჰარლი - პედრო (ბრ) - 7 420 ქულა, 2. ბრინკი - დიკერმანი (გერ) - 5 440, 3. ხუ - ვუ (ჩინ) - 5 340, 4. რეკერმანი - ურბაცკა (გერ) - 5 080, 5. რიკარდო - ემანუელი (ბრ) - 4 820, 6. ნუმერდორი - შუილი (ჰოლ) - 4 820, 7. ბარსუკი - კოლოდინსკი (რუს) - 4 300, 8. როჯერსი - დალჰაუზერი (აშშ) - 4 080, 9. მარსიო არაუჟო - ფაბიო ლუისი (ბრ) - 4 040, 10. ჰერერა - მესა (ესპ) - 3 860, 11. კლემპერერი - კორენგი (გერ) - 3 700, 12. გეორ - გია (საქ) 3 420.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## მილოცვები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან კალათბურთელს, ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიოს უნივერსიადის მეორე პრიზიორს, მსოფლიოს ახალგაზრდული მეგობრული თამაშების ორგზის ჩემპიონს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს **ალისა ასიტაშვილს.**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 65 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ცნობილ სპორტულ კომენტატორს, სპორტულ რადიო „ჯაკოს" დამფუძნებელს და გენერალურ დირექტორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს კალათბურთში, „მაკაბის" კლუბის პრეზიდენტს და მთავარ მწვრთნელს **ჯამლეტ ხუხაშვილს.**

ლელოელები დაბადებიდან 65 წელს ულოცავენ ცნობილ სპორტულ კომენტატორს, სპორტულ რადიო „ჯაკოს" დამაარსებელს და გენერალურ დირექტორს **ჯამლეტ ხუხაშვილს.**

რაგბი — სკანდალი რუმინეთში

# რუმინეთის ჩ[illegible] ყოფილა დახურული

რუმინეთის რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა შაბათს, რუმინეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში ბუქარესტის „დინამოსა" და კონსტანცას „ფარულს" შორის მომხდარი ინციდენტი. უნდა ითქვას, რომ რუმინელებმა ერთობ უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს.

შეგახსენებთ, რომ თამაში სულ რალაც ექვსი წუთის დაწყებული იყო, როცა „დინამოს" მორაგბეებმა ჩხუბი ატეხეს და გამიზნულად, ქართველი მორაგბეებისკენ იწევდნენ საჩხუბრად. შედეგად **კახაბერ უჩავას** ყბის ძვალი გაუტყდა. **ირაკლი ნატრიაშვილს** თითი მოტეხეს. ტვინის შერყევა მოუვიდა **გიორგი ხოსიტაშვილს.**

რუმინეთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა კი, სხვებთან ერთად ქართველი მორაგბეებიც დასაჯა. **ბიძინა სამხარაძეს** დიკვალიფიკაცია 10 თამაშით მისცეს და ჯარიმა 1 000 რუმინული ლეი დააკისრეს, რაც დაახლოებით 250 ევროს შეადგენს. შვიდ თამაშს გამოტოვებს და 600 ლეის გადაიხდის გიორგი ხოსიტაშვილი.

დასაჯეს კონსტანცას „ფარულის" პრეზიდენტი **კრისტიან ზგაბერჩა**, რომელიც იმავდროულად რუმინეთის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტიცაა. მას 12 შეხვედრაში ეკრძალება გუნდის თამაშზე დასწრება და ჯარიმის სახით 3 000 ლეის გადაიხდის. დასჯის მიზეზი სავარაუდოდ, ის არის, რომ პრეზიდენტმა გუნდს მოედანი დაატოვებინა და თამაში ჩაიშალა, რისთვისაც „ფარულს" წაგებაც ჩაუთვალეს და ერთი ქულაც დააკლეს.

დისკვალიფიცირებულია ბუქარესტის „დინამოს" შვიდი მორაგბე. შვიდივე რუმინეთის ნაკრების წევრი. ამათგან ექვსი - **ვალენტინ კალაფეტეანუ, კოზმინ რატიუ, კოსტიკა მერსოიუ, ნიკოლაე რუსი, სტელიან ბურეა** და **ფლავიუს დობრე** 7 შეხვედრას გამოტოვებს და 600-600 ლეის გადაიხდის. ხოლო მეშვიდე **დარიე კურეა** 10 თამაშითაა დისკვალიფიცირებული. მისი საჯარიმო თანხა 1 000 ლეია.

„ფარულის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტ **ვირჯილ ნასტასეს** უკანასკნელი გაფრთხილება აკმარეს. რაც უნდა საკვირველი იყოს, იგივე სასჯელი გამოუტანეს „გახიე ქართველების" შემძახებელს, „დინამოს" მთავარ მწვრთნელ **დანიელ ნეგას.**

**ბესიკ ჯანგავაძე**


გიორგი ხოსიტაშვილი (მარცხნივ, თავშეხვეული) და ირაკლი ნატრიაშვილი (ბურთით)

ჩოგბურთი

# ასათასიანი ზღვარი დაძლეულია

გუშინ WTA-ს და ATPის ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. ქალთა შორის საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** სამი საფეხურით წაიწია წინ, ანა 398 ქულით მსოფლიოს 155-ე ჩოგანია. ზუსტად ამდენი ადგილით დაიხია უკან 26 წლის **მაკა ჩახნაშვილმა,** რომელიც 246 ქულით კლასიფიკაციაში 218-ეა. სხვები: 256 (-2) **სოფიო შაფათავა** - 200 ქულა; 351 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 126; 601 (+1) **ეკა გორგოძე** – 46; 675 (+9) **სოფიო ქვაცაბაია** – 35; 725 (+1) **მანანა შაფაქიძე** – 29; 734 (+1) **სალომე დევიძე** – 28; 892 (+5) **სოფიო მელიქიშვილი** - 16. ალსანიშნავია, რომ ჩვენმა პირველმა ჩოგანმა კარიერის ჰონორარით 100-ათასდოლარიან ზღვარს გადააბიჯა. მოქმედ ქართველ ჩოგბურთელებში აქამდე ეს მხოლოდ **ირაკლი ლაბაძემ** და მაკა ჩახნაშვილმა შეძლეს, თუმცა ლაბაძემ მილიონიანი ზღვარიც დაძლია.

ვაჟებში პირველი კვლავ ირაკლი ლაბაძეა, იგი 96 ქულით მსოფლიოს 514-ე (-1) ჩოგანია. კარიერის საუკეთესო ნიშნულზეა **ლაზარე კუხალაშვილი** - მან 6 საფეხურით წაიწია წინ და 24 ქულით 898-ე პოზიციაზეა. სხვები: 998 (+4) **ლადო ჩიხლაძე** - 17 ქულა; 1013 (+3) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** – 16; 1311 (-) **ნოდარ ითონიშვილი** – 6; 1552 (+2) **ბექა ბუჩუკური** – 2; 1639 (+2) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2.

## გადაულახავი ზღუდე და წაგებული ფინალი

19 წლის **ანა ტატიშვილმა** (155) ვერ შეძლო WTA-ს მსხვილი ტურნირის, „ფემილი საირქლ კაპის" (1 000 ათასი $) ძირითად ბადეში გაღწევა, მას სულ ერთი ნაბიჯი დააკლდა ამისთვის. მე-5 ნომრად განთესილი ქართველი მე-10 ნომრად განთესილ ამერიკელ **მელანი ოუდინს** (176) ხვდებოდა. სამწუხაროდ, როგორც გასულ კვირაში, ტატიშვილი ახლაც დამარცხდა ოუდინთან ორთაბრძოლაში - 4:6, 5:7. მოკლედ, 17 წლის ამერიკელი ანას უხერხულ მეტოქედ იქცა. ანამ 5 ბრეიქი გაახერხა თამაშში, მისმა მეტოქემ - 7. ამერიკელი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა პირველი მოწოდებისას, ალბათ, ამან გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი მის სასარგებლოდ. ალსანიშნავია, რომ მეორე სეტში ტატიშვილი 5:3-ს იგებდა, მაგრამ საქმე ბოლომდე ველარ მიიყვანა და ზედიზედ 4 გეიმი წააგო!

**სოფიო ქვაცაბაია** ძალიან ახლოს იყო კარიერის მეორე ტიტულთან, მაგრამ 20 წლის ქართველმა რუს **ავგუსტა ციბიშევასთან** (735) დუეტში დათმო ბელეკის (თურქეთი) ტურნირის (10 ათასი $) წყვილთა თანრიგის ფინალი. ჩვენ ამ შეჯიბრებაზე თხრობა ნახევარფინალზე შევაჩერეთ, სადაც ქვაცაბაიამ და ციბიშევამ ბერძენი **ირინი გეორგატუ** (717) და ებრაელი **კერენ შლომო** (539) დაამარცხეს - 6:1, 3:6, 10:8. ეს ერთგვარი შურისძიება იყო ქართველისთვის, რადგან ერთეულებში მან სწორედ გეორგატუსთან წაიფორხილა. ფინალში მათ მე-4 ნომრად განთესილებთან, ბრიტანელ **ანა ფიცპატრიკთან** (543) და დანიელ **ჰანე იენსენთან** (410) დათმეს - 6:7 (3), 6:2, 7:10. როგორც ხედავთ, ბელეკში მეტად დაძაბული ფინალი ყოფილა.

ქვაცაბაია ისევ ბელეკშია, სადაც მიჯრით მესამე 10-ათასიანი ტურნირი იმართება. ამჯერად, ქართველი ცდილობს ძირითად ბადეში გაღწევას. მე-3 ნომრად განთესილმა სოფიომ მეორე საკვალიფიკაციო წრეში „უაილდ ქარდით" მიწვეული ჩეხი **დომინიკა კანაკოვა** დაამარცხა - 6:1, 7:5. ახლა მას ფინალში მე-14 ნომრად განთესილი ესპანელის, **ირენე სანტოსბრავოს** (793) დაჯაბვნაც ყოფნის ძირითად ტურნირში მოსახვედრად.

**მაკა ჩახნაშვილი** (218) იტალიურ ჩივიტავეკიაშია, სადაც 25-ათასიანი ტურნირი იმართება. მაკა მე-7 ნომრად არის განთესილი და პირველ წრეში ავსტრალიელ **მარია მირკოვიჩი** (313) ხვდება, რომელმაც საკვალიფიკაციო ბატალიები დაძლია. მირკოვიჩი 19 წლისაა და კარიერის საუკეთესო ხანა სწორედ ახლა უდგას. ეს სწორედ ის ჩოგბურთელია, რომელმაც მაკას ავსტრალიის ღია პირველობის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუგო იანვარში.

უზბეკეთში, ქალაქ ანდიჟანში სტარტი აიღო ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა (15 ათასი $), სადაც 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** ძირითად ბადეში ითამაშებს. მისი პირველი მეტოქე „უაილდ ქარდით" მოხვედრილი უზბეკი **დიანიბეკ ორაზოლიევია.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ანა ტატიშვილი

ძალოსნობა

# არ გაუმართლათ...

**გუშინ** გაცნობეთ, რომ ბუქარესტში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველმა გიორგი მაჭავარიანმა მეექვსე ადგილი დაიკავა. სპორტსმენიც და მწვრთნელიც მეტს ელოდნენ - გიორგი კარგად იყო მომზადებული და ვარჯიშებზე ბევრად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე შეჯიბრებაზე. თუ რა მოხდა, ამაზე მაჭავარიანის პირადი მწვრთნელი ავთო გახოკიძე გვესაუბრება. ქართული დელეგაცია გუშინ გამთენიისას დაბრუნდა თბილისში.

- საოცრად გულგატეხილი ვარ, ნამდვილად შეგვეძლო უკეთესი შედეგის ჩვენება, მაგრამ არ გაგვიმართლა - გიორგი ძალიან ცუდად გახდა და სიცხიანი ასპარეზობდა. მიზეზი კი მწვავე ანგინა იყო. ბევრი ვეცადეთ, ვუმკურნალეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. მოგეხსენებათ, ჩემპიონატზე კიდევ ერთი ქართველი, **ზვიად სამუკაშვილი,** 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. ზვიადი პირველ დღეს გამოდიოდა და ამიტომ ჩვენც ადრიანად, ექვსი დღით ადრე მოგვიხდა რუმინეთში გამგზავრება. სამუკაშვილს ვუგულშემატკივრეთ, სასტუმროში დავბრუნდით და მეორე დღის ვარჯიშისთვის მოვემზადეთ. საღამოს, ვახშმამდე გიამ მითხრა, რომ სციოდა. ყოველთვის თან დამაქვს მედიკამენტები, კი მივცემდი, მაგრამ გასარკვევი იყო, დოპინგკონტროლთან პრობლემები ხომ არ შეგვექმნებოდა? ამ კითხვებზე პასუხი ჩემპიონატის დოპინგკონტროლის ჯგუფის ექიმებს უნდა მოეცათ. სასტუმროდან ეს სამსახური შორს იყო და ამიტომ მეორე დღემდე ვერაფერს გავხდებოდი. იმედიც გვქონდა, რომ ავადმყოფობა უკან დაიხევდა. დილით დოპინგკონტროლის სამსახურში მივედი და მივიღე უფლება. სამწუხაროდ, შედეგი არ გამოიღო მცდელობამ - 38, 5 ხაზი ჰქონდა გიას სიცხე. ჩვენი გასაჭირი შეიტყო რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა **დავიდ რიგერტმა** და დახმარება აღმითქვა - ჩვენი ნაკრების ექიმს ვანახვოთო. რუსთა ექიმმა გასინჯა და გასახარი ვერაფერი გვითხრა - ანგინა აქვს, მორჩენას გარკვეული დრო უნდაო. წამლებიც მოგვცა, მაგრამ ისევ უნდა ჩამეყენებინა საქმის კურსში დოპინგკონტროლის სამსახური. ამისთვის ერთი დღით მოცდამ მოგვიწია. უფლება ამჯერადაც მივიღე, მაგრამ შვება - ვერა, - სიცხე მაინც ვერ დავაგდეთ. ბოლოს ისევ ხალხურ მეთოდს მივმართე - ქალაქში გავედი, ძმარი და კომბოსტო ვიყიდე და ძმრიანი წინდებით და ინჰალაციებით შევებრძოლეთ ვირუსს. სტარტის წინადღით თითქოს ყველაფერი მოგვარდა - 36 და 5 ხაზზე დავიდა ტემპერატურა, მაგრამ მეორე დილით კვლავ ასცდა 37-ს და ასეთ მდგომარეობაში გავიდა გიორგი ფიცარნაგზე.

**- სად უნდა დაავადებულიყო? ამბობთ, რომ თავს კარგად გრძნობდაო და ეგებ რაიმე გაუფრთხილებლობის ბრალი იყო ყველაფერი?**

- ეჭვი მაქვს, გიორგის თბილისშივე შეერყა ჯანმრთელობა. საქმე ის არის, რომ გლდანში, სადაც ჩვენ ვვარჯიშობდით, ბოლო ორი დღე დიდ წონებზე მივედით. ვარჯიშის შემდეგ შხაპი გრილი გამოდგა. დიდი დატვირთვების შემდეგ კი ცხელი შხაპია აუცილებელი. გამგზავრებამდე მეუღლემ გიორგის რაღაც ცვლილება კი შეამჩნია, მაგრამ არც ტემპერატურა აღმოაჩნდა მაღალი და თავსაც კარგად გრძნობდა. შესაძლოა, ბუქარესტში, პირველ ვარჯიშზე გაუმწვავდა მდგომარეობა, რადგანაც მოსალოდნელზე მეტად გრილოდა სავარჯიშო დარბაზში. ამინდი კარგი იყო და თბილად არ ჩაგვიცვამს. ასე იყო, თუ ისე, ვირუსი მოგვერია. სხვათა შორის, ჩემპიონატის ექიმმა გვირჩია, რომ თავი შეგვეკავებინა ასპარეზობისგან - ეს დაავადება მინიმუმ შვიდი დღე არ დაიხევს უკან და დიდ დატვირთვაზე შესაძლოა სპორტსმენს გულმა ვერ გაუძლოსო. გიორგიმ ამის გაგონებაც არ ისურვა, ტყუილად ხომ არ ჩამოვედი ამხელა გზაზეო?! გავიდა და ბევრიც იბრძოლა, რისთვისაც მართლაც მადლობა ეკუთვნის, თუმცა მეტის ძალა აღარ შერჩენოდა. ერთსაც შევნიშნავ: აკვრაში, როცა პირველი მისვლა გააფუჭა, ლამის ხელი ჩავიქნიეთ, თავადაც თქვა, მგონი ყველაფერი დამთავრდაო. ვთხოვე, არ მოშვებულიყო, რახან გარისკა, ბოლომდე ყველაფერი უნდა ელონა, რომ ნული არ მიეღო. გავიდა და ასწია. ტექნიკური თვალსაზრისით ეს ცდა უცუდესი გამოდგა, - წონის დაძლევა მხოლოდ ძალის ხარჯზე მოახერხა. ამან გამაკვირვა - საიდან გამოჩხრიკა ამდენი ენერგია, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო. მკურნალობის დროს, მაღალი ტემპერატურის გამო ოფლად იღვრებოდა და წონას კარგავდა. ცხადია, ვამარაგებდი წვენებით, მაგრამ საკმარისი იქნებოდა თუ არა ძალის შესანარჩუნებლად, არ ვიცოდი. კი შერჩა, მაგრამ სისუსტე მაინც დაუტოვა და თავბრუს ხვევაც ამის გამო ემართებოდა.

**- ასეთ ფონზე მეექვსე ადგილი მაინც არ უნდა იყოს ცუდი შედეგი...**

- გეთანხმებით, მაგრამ, დამერწმუნეთ, რომ ვერცხლის მედლისთვის რეალურად შეგვეძლო ბრძოლა. ორჭიდის ჯამში 405 კილოგრამი გიასთვის პრობლემა ნამდვილად არ იქნებოდა. ამის გამოა, რომ ძალიან გულდაწყვეტილი ვარ.

**- ევროპის ჩემპიონატით ყველაფერი ხომ არ მთავრდება, პირიქით, სეზონი ახლა დაიწყო და მთავარი შეჯიბრება შემოდგომაზე გელით - მსოფლიოს ჩემპიონატი. მალევე დაიწყებთ მზადებას?**

- მსოფლიოს ჩემპიონატი უმთავრესი ტურნირია და ჩვენი მიზანიც სწორედ მისთვის მაღალ დონეზე მომზადებაა. გიორგის 20 აპრილამდე დავასვენებ და შემდეგ მთელი ძალებით შევუდგებით წვრთნას. გლდანში ვარჯიში კი კარგია, მაგრამ მაღალ დონეზე მომზადებისთვის მაინც არასაკმარისია. აუცილებელი იქნება სხვაგან შეკრებების მოწყობა. თუ სად და რა ვადით, ფედერაციის გადასაწყვეტია. და ერთიც: მითხრეს, რომ სპორტულ არხ „ევროსპორტზე" მიმდინარეობდა ჩემპიონატის რეპორტაჟი, რომლის დროსაც რუს კომენტატორებს გიორგი მაჭავარიანი ქუთაისელ ათლეტად მოუნათლავთ. ეს შეცდომაა. მაჭავარიანი აჭარის, კერძოდ ქობულეთის სახელით ასპარეზობს. აჭარის ხელმძღვანელობა და სპორტის სამსახური დიდად გვეხმარება და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მათი, საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და ძალოსნობის ფედერაციის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, იმედია, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოვემზადებით.

**ზვიად შათირიშვილი**

კალათბურთი


ეროვნული ბიბლიოთეკა
მანუჩარ მარკოიშვილი

ესტონეთის ჩემპიონატი

## სანიკიძისა და ცინცაძის ოცდამეოთხე გამარჯვება

"ტარტუროკმა" ესტონეთის ჩემპიონატში 26-ე მატჩი გამართა და 24-ე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად ტარტუელებმა საშინაო მოედანზე "ველგი" დაამარცხეს – 76:66.

**გიორგი ცინცაძემ** მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და 25 წუთში 2-2 ორქულიან-სამიან-საჯარიმოს სროლა მოასწრო. ბუმ მხოლოდ სამიანები ააცილა და 6 ქულას 2 მოხსნა და 6 პასი შეაწება.

სათადარიგო იყო **ვიქტორ სანიკიძე,** რომელმაც მოედანზე 26 წუთი გაატარა, 11 ქულა (7-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი), 3 მოხსნა და 1 დაფარება ჩაიწერა.

შეხვედრის სნაიპერი ტარტუელი ამერიკელი **ტანოკა ბერდი** გახდა – 20 ქულა, 9 მოხსნა.

დასაწყისში გითხარით, რომ "როკს" 26-დან 24 მატჩი აქვს მოგებული, რაც სრულიად საკმარისია რეგულარული ჩემპიონატის მოსაგებად. მეორეადგილოსან "კალევს" 20 გამარჯვება უწერია.

ცინცაძე-სანიკიძის თანაგუნდელები მორიგ მატჩს 19 აპრილს გამართავენ – ტტუ-ს ესტუმრებიან. ეს მატჩი გენერალური რეპეტიცია უნდა გამოდგეს ბალტიის ლიგის ფინალური ოთხეულის წინ. 24 აპრილს, ნახევარფინალში "როკერებს" ლიტვური "ჟალგირისი" დაუპირისპირდება. ფინალური ოთხეულის შეხვედრებს "როკის" მშობლიური ქალაქი ტარტუ უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ვარსკვლავთა მატჩი უკრაინაში

## მარკოიშვილის 12-ქულიანი ოლ სტარი

**უკრაინაში** გაიმართა ვარსკვლავთა მატჩი, რომელშიც ქართველმა უკანახაზელმა **მანუჩარ მარკოიშვილმა** მიიღო მონაწილეობა. ერთმანეთს ადგილობრივთა და ლეგიონერთა ნაკრებები დაუპირისპირდნენ. მარკოიშვილი უცხოელების რიგებში ირჯებოდა და უკრაინელების ძლევაში 12-ქულიანი წვლილი შეიტანა. მანუმ 13 წუთში 5-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და ერთიც საჯარიმო გამოიყენა, რასაც 1 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა მიამატა.

ლეგიონერებმა სანახაობრივ მატჩში 128:123 იმარჯვეს. მატჩის სნაიპერი ამერიკელი **დემეტრიუს ალექსანდერი** გახდა – 22 ქულა ჩააგდო. იგი შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

მანუჩარ მარკოიშვილმა სამქულიანების კონკურსში მიიღო მონაწილეობა, ფინალშიც გავიდა თუმცა გამარჯვება **სერგეი გლადირს** დაუთმო...

ჩატენვების კონკურსი ლეგიონერმა **პი ჯეი თაქერმა** მოიგო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სამბო

# 14 მედალი ევროპის ჩემპიონატიდან



**სამბოს** ევროპული ფედერაციის საიტზე კვლავაც არ განუახლებიათ კონტინენტის ახალგაზრდული ჩემპიონატის შედეგები, თუმცა მხსნელად საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია მოგვევლინა, რომელთაც შაულიაიში მიღწეული შედეგები გაგვაცნეს - მაშ ასე, ლიტვაში სამმა ქართველმა იჩემპიონა, ორმა ახალგაზრდებში, ერთმა - ჭაბუკებში. სულ 14 მედალი მოვიპოვეთ და გუნდურში ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მეორე ადგილზე გავედით, ჭაბუკებში - მესამეზე.

ახალგაზრდებში (1989-1990 წლებში დაბადებულები) ევროპის ჩემპიონები გახდნენ გორელი **ნოდარ კუდუხაშვილი** (82 კგ) და ქუთაისელი **ლაშა გურული** (90 კგ). შაულიაიში ქართველმა ახალგაზრდებმა ორი ვერცხლიც მოიპოვეს, ფოთელმა **ვაჟა ლატარიამ** (52) და თბილისელმა **ლევან ნახუცრიშვილმა** (68). მესამე ადგილზე გავიდნენ: კასპელი **გიორგი გეჯაძე** (48), ფოთელი **ბექა ბუცხრიკიძე** (57), გორელი **გიორგი ბოლოთაშვილი** (100) და ქუთაისელი **დავით ბოჭორიშვილი** (მძიმე). მოკლედ, სულ ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლიტვაში 8 მედალი მოიპოვა, ჩვენები გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ.

ოდნავ ცუდ შედეგს მიაღწიეს ჩვენმა ჭაბუკებმა (1991-1992 წწ.), მათ თითო ოქროსა და ვერცხლს, 4 ბრინჯაო დაუმატეს. ევროპის ჩემპიონი გახდა გარდაბნელი **აჩიკო შინჯიკაშვილი** (87 კგ), ვერცხლის მედალს შესწვდა გორელი **გოჩა ვარძელაშვილი** (60). ბრინჯაოს, მედალოსნები გახდნენ: **გივი ნადირაშვილი** (ფოთი, 48), **გენადი ჩირგაძე** (ქუთაისი, 52), **ზვიად კაპანაძე** (გორი, 75) და **იაგო მესტვირიშვილი** (საგარეჯო, 81).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართული ჭიდაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ნოდარ ქერქაძეს მამის გარდაცვალების გამო.

**პანაშვიდი:** 14-15.04, 16 სთ. დაკრძალვა 16.04, 14 სთ.

**მისამართი:** თბილისი, აღმაშენებლის 181.

სპორტი ყველასათვის

## უბნების ჯახი ქუთაისურად

**მასებში** სპორტის პოპულარიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მასობრივი სპორტული ღონისძიებებია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქუთაისში, ტერიტორიული ორგანოების გუნდებს შორის მიმდინარე საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და განათლების საქალაქო სამსახურის დაფინანსებითა და ორგანიზებით ტარდება. შეჯიბრებაში ქალაქის ყველა უბანია ჩართული და საერთო ჯამში მონაწილეთა რაოდენობა 700-ს აღემატება.

დასრულდა შეჯიბრებები მკლავჭიდში, შაშში და ქართულ ჭიდაობაში.

მკლავჭიდელთა ტურნირს ქუთაისის უნივერსიტეტის სპორტულმა დარბაზმა უმასპინძლა. შეჯიბრება სამ წონით კატეგორიაში გაიმართა და სამივეში საფიჩხიის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. პირველ ადგილზე გავიდნენ **ალექსი აბუთიძე** (70 კგ), **გიორგი ტყავაძე** (80) და **ირაკლი გამთენაძე**(მძიმე). ბუნებრივია, გუნდურ ჩათვლაშიც გამარჯვება საფიჩხიის გუნდს დარჩა (150 ქულა), მეორეზე ავტოქარხანა გავიდა (112), მესამეზე - ვაკისუბანი (82).

სამ წონით კატეგორიაში გაიმართა ორთაბრძოლები ქართულ ჭიდაობაშიც. 80 კგ-ში პირველი ადგილი **დიმიტრი სულამანიძემ** (ავტოქარხანა) დაიკავა. 90 კგ-ში საფიჩხიელმა **ბაქარ ბურჯალიანმა** გაიმარჯვა, მძიმე წონაში კი ყველას ავტოქარხნელმა **ავთანდილ ცუცქირიძემ** აჯობა. გუნდურ შეჯიბრებაშიში ადგილები ასე გადანაწილდა: 1. ავტოქარხანა-140ქ, 2. ნიკეა-115, 3.კახიანოური-97.

შაშში პირველობა კახიანოურის გუნდს ერგო. მეორესა და მესამეზე შესაბამისად საფიჩხია და ვაკისუბანი გავიდნენ.

ამ დღეებში უბნები კიდევ სპორტის 6 სახეობაში (ძალოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ფუტბალი) შეეჯიბრებიან ერთმანეთს და ამის შემდეგ გამოვლინდება გამარჯვებული, რომელიც ქალაქის მერიისგან ფულად ჯილდოს მიიღებს.

„უბნებს შორის სპარტაკიადა საინტერესოდ მიმდინარეობს და ძალიან ბევრმა გამოთქვა მასში მონაწილეობის სურვილი. სასიხარულოა, რომ განსაკუთრებით ახალგაზრდები აქტიურობენ. ჩვენი მიზანიც ის არის, რომ სპორტით რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაკავდეს. წლეულს რამდენიმე მასობრივი სპორტული ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი. სპარტაკიადის დასრულების შემდეგ 2 მაისობისთვის მიძღვნილი შეჯიბრებები გაიმართება."-აღნიშნა ქუთაისის მერიის სპორტის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა **ვლადიმერ გოქაძემ.**

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# უცხოური სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჰოკეი.** NHL. რეგულარული ჩემპიონატი

## კოლორადო–სენტ ლუისი 0:1

0:1, 0:0, 0:0

გოლი: 0:1 ბოიესი-33 (ე. მაკდონალდი-29, მაკკი-7).

## აილენდერსი–ბოსტონი 2:6

0:2, 1:3, 1:1

**გოლები:** 0:1 რაიდერი-27 (კრეისი-51, ლუჩიჩი-25), 0:2 კესელი-34 (ველერი-23, სავარი-62), 0:3 სავარი-25 (რეკი-38, კესელი-24), 0:4 კესელი-35 (კობესიუ-21, ჰანვიკი-21), 0:5 კობესიუ-21 (სობოტკა-4, ვიდემანი-37), 1:5 მარტინეკი-6 (შტრაიტი-40, ჯეკმენი-7), 2:5 უეიტი-10 (ოკსოპო-21, ბერგენჰაიმი-9), 2:6 კესელი-36 (სავარი-63, ველერი-24).

## ფილადელფია–რეინჯერსი 3:4

2:2, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ჟირუ-9 (ბრიერი-14, ეშემი-11), 1:1 დუბინსკი-12 (მორისი-14, ჟერდიოვი-35), 2:1 ჯ. კარტერი-46 (კარლი-21, ბირონი-4), 2:2 დუბინსკი-13 (ანტროპოვი-31, მორისი-15), 3:2 ბრიერი-11 (ალბერტსი-12, ეშემი-12), 3:3 ეივერი-8 (გომესი-42, ნესლუნდი-22), 3:4 ბეტსი-6 (ვოროსი-8, რედენი-23).

## ჩიკაგო–დეტროიტი 3:0

2:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ლედი-15 (სიბრუკი-18, ბიფულინი-16), 2:0 ტეუვზი-34 (კეინი-45, ჰავლატი-48), 3:0 ბოლანდი-19 (ვერსტეეგი-31, ბ. კემპბელი-45).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-ბოსტონი | 82 | 53 | 19 | 10 | 116 |
| 2. y-ვაშინგტონი | 82 | 50 | 24 | 8 | 108 |
| 3. y-ნიუ ჯერსი | 82 | 51 | 27 | 4 | 106 |
| 4. x-პიტსბურგი | 82 | 45 | 28 | 9 | 99 |
| 5. x-ფილადელფია | 82 | 44 | 27 | 11 | 99 |
| 6. x-კაროლინა | 82 | 45 | 30 | 7 | 97 |
| 7. x-რეინჯერსი | 82 | 43 | 30 | 9 | 95 |
| 8. x-მონრეალი | 82 | 41 | 30 | 11 | 93 |
| 9. ფლორიდა | 82 | 41 | 30 | 11 | 93 |
| 10. ბაფალო | 82 | 41 | 32 | 9 | 91 |
| 11. ოტავა | 82 | 36 | 35 | 11 | 83 |
| 12. ტორონტო | 82 | 34 | 35 | 13 | 81 |
| 13. ატლანტა | 82 | 35 | 41 | 6 | 76 |
| 14. ტამპა ბეი | 82 | 24 | 40 | 18 | 66 |
| 15. აილენდერსი | 82 | 26 | 47 | 9 | 61 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-სან ხოსე | 82 | 53 | 18 | 11 | 117 |
| 2. y-დეტროიტი | 82 | 51 | 21 | 10 | 112 |
| 3. y-ვანკუვერი | 82 | 45 | 27 | 10 | 100 |
| 4. x-ჩიკაგო | 82 | 46 | 24 | 12 | 104 |
| 5. x-კალგარი | 82 | 46 | 30 | 6 | 98 |
| 6. x-სტ. ლუისი | 82 | 41 | 31 | 10 | 92 |
| 7. x-კოლამბუსი | 82 | 41 | 31 | 10 | 92 |
| 8. x-ანაჰაიმი | 82 | 42 | 33 | 7 | 91 |
| 9. მინესოტა | 82 | 40 | 33 | 9 | 89 |
| 10. ნეშვილი | 82 | 40 | 34 | 8 | 88 |
| 11. ედმონტონი | 82 | 38 | 35 | 9 | 85 |
| 12. დალასი | 82 | 36 | 35 | 11 | 83 |
| 13. ფინიქსი | 82 | 36 | 39 | 7 | 79 |
| 14. ლოს ანჯელესი | 82 | 34 | 37 | 11 | 79 |
| 15. კოლორადო | 82 | 32 | 45 | 5 | 69 |

*z - კონფერენციის ჩემპიონი; y - დივიზიონის ჩემპიონი; x - გავიდა პლეიოფში*

### ბომბარდირები

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 113 (35+78) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 110 (56+54) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 103 (33+70) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 97 (32+65) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 94 (45+49) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 91 (25+66) |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 91 (43+48) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 89 (35+54) |
| მარკ სავარი (ბოს) | 88 (25+63) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 88 (22+66) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 56 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 46 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 45 |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 43 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 40 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 40 |
| რიკ ნეში (კოლამ) | 40 |
| ერიკ სტაალი (კარ) | 40 |
| დენი ჰიტლი (ოტა) | 39 |
| მაიკლ კამალერი (კალ) | 39 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 78 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 70 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 66 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 66 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 65 |
| მარკ სავარი (ბოს) | 63 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 61 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 60 |
| მაიკ რიბეირო (ნ-ჯერ) | 56 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 54 |

# კანადა ლინდი რაფს ჩააბარეს



კანადის ჰოკეის ფედერაციამ მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატისთვის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დაასახელა. კანადელთა გუნდს შვეიცარიაში "ბაფალო სეიბრზის" მთავარი მწვრთნელი **ლინდი რაფი** უხელმძღვანელებს.

ცნობილი სპეციალისტი NHL-ის რეკორდსმენია ერთ გუნდში გატარებული სეზონების რაოდენობით (რაფი ზედიზედ 11 წელია "სეიბრზს" ავარჯიშებს). ის პირველად ჩაუდგება სათავეში კანადის ნაკრებს.

რაფმა უკვე დაასახელა თავისი თანაშემწეები. ესენი არიან: "ნეშვილის" მთავარი მწვრთნელი **ბარი ტროტცი** და "დალასის" დამრიგებელი **დეივ ტიპეტი**. კანადა მსოფლიოს ჩემპიონატს 24 აპრილს, ბელარუსის ნაკრებთან მატჩით დაიწყებს. ლინდი რაფი თავისი გუნდის შემადგენლობას დღეს დაასახელებს.

**მძლეოსნობა**

# უსაინ ბოლტი მარიხუანით ერთობოდა

პეკინის სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ცნობილმა იამაიკელმა სპრინტერმა **უსაინ ბოლტმა** აღიარა, რომ ადრეულ ასაკში ხშირად ეწეოდა მარიხუანას.

*"ყველა ცდილობდა ერთხელ მაინც გაესინჯა მარიხუანა, გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ. მაგრამ მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. საბედნიეროდ, ჩემს ოჯახში ამ სენით არავინ იყო დაავადებული და ამან გადამარჩინა"*, - ამბობს 100 და 200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენი.

22 წლის ბოლტი უკვე არაერთხელ დაადანაშაულეს აკრძალული პრეპარატების მიღებაში, ახლა კი სავარაუდოდ, მის მიმართ კრიტიკული გამონათქვამები გახშირდება.

*"ხალხს რაც უნდა, ის ილაპარაკოს. ვიცი, რომ სუფთა ვარ. ეს სხვებმაც იციან, რადგან ოლიმპიურ სეზონში დაახლოებით 40 დოპინგტესტი ჩამიტარეს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს"*, - აცხადებს სპრინტერი.

2009 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის სეზონია და იამაიკელი ბერლინში ოქროს სამი მედლის მოგებას აპირებს.

*"მინდა ლეგენდა გავხდე და მძლეოსნობაში აქამდე არნახულ სიმაღლეებს მივაღწიო"*, - ამ სიტყვებით ასრულებს AFP-ისთვის მიცემულ ინტერვიუს ბოლტი.



**ფორმულა 1**

# მალაიზიაში ღამის რბოლაზე დაფიქრდნენ

საღამოს საათებში წარუმატებლად ჩატარებული მალაიზიის გრანპრის შემდეგ, "სეპანგის" ეტაპის ორგანიზატორები ღამის რბოლისადმი შეხედულებას იცვლიან. როგორც იცით, წინა კვირას მალაიზიის გრანპრი თავსხმა წვიმამ 31-ე წრეზე შეწყვიტა და შემდეგ, რბოლა ტრასაზე ჩამოწოლილი ბინდის გამო აღარ განახლდა.




შეგახსენებთ, რომ ადრე ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელი **ბერნი ექლსტოუნი** მალაიზიაში ღამის გრანპრის ჩატარების იდეით გამოდიოდა, მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე უარის თქმამ მოუწიათ, რადგან მძლავრი პროჟექტორების სისტემის მონტაჟი დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ახლა, ავტოდრომის პრეზიდენტი **დატუკ მოკზანი მაჰატირი** თვლის, რომ ღამის რბოლის ორგანიზებისთვის გაწეული თანხების ამოღება შესაძლებელი იქნება.

*"ყოველი რბოლის შემდეგ ბერნი ექლსტოუნთან განვიხილავთ, თუ რა იქნება უკეთესი ჩვენი გრანპრის უკეთესად ორგანიზებისთვის. მალე მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ როდის უნდა გაიმართოს ეს რბოლა - დღის საათებში თუ პირიქით, ღამით ხელოვნური განათების პირობებში.*

*პროჟექტორების დამონტაჟებისთვის გაწეული თანხების ამოღება შესაძლებელი იქნება, თუ ავტოდრომს სხვა ტურნირებისთვის გავაქირავებთ"*, - ამბობს მაჰატირი.

აღსანიშნავია, რომ წელს მალაიზიის გრანპრიზე დასწრებამ ეტაპის 11-წლიან ისტორიაში ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მიაღწია.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# ლიგის ახალი რეკორდი



ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, კიდევ ერთი ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გახდა ცნობილი. "უილიამ ჯენინგს ტროფი" "ბოსტონ ბრუინზის" მეკარეებს - **ტიმ ტომასსა** და **მენი ფერნანდესს** ერგოთ.

ტრადიციისამებრ, ეს პრიზი გადაეცემათ იმ გუნდის გოლკიპერებს, რომლებმაც ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები შაიბა გაუშვეს.

ტომასმა 54-ჯერ დაიცვა "დათვების" კარი, ფერნანდესმა - 28-ჯერ. ორივემ ჯამში ყველაზე ცოტა - 196 შაიბა გაუშვა. ეს ჯილდო ტომასისთვის პირველი იყო კარიერაში, ფერნანდესი კი მეორედ გახდა "უილიამ ჯენინგს ტროფის" ლაურეატი. შარშან, მან "მინესოტას" რიგებში მიიღო ეს პრიზი.

■ ■ ■

ამასობაში კი ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ NHL-ის რეგულარულ ჩემპიონატში დასწრების რეკორდი დამყარდა - ამ მოვლენას ზედიზედ მეოთხედ ჰქონდა ადგილი. სულ რეგულარულის მატჩებს 21 475 223 ადამიანი დაესწრო, რაც საშუალოდ მატჩში 17 460 მაყურებელს შეადგენს.

დასწრების რეკორდი 1.1 პროცენტით გაუმჯობესდა. შარშან ლიგის თამაშებზე ჯამში 21 236 255 ადამიანი მივიდა (საშუალოდ - 17 265 მატჩში).

## NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალის კალენდარი

### აღმოსავლეთის კონფერენცია

**ბოსტონი (1)–მონრეალი (8)**

| | |
|---|---|
| 16 აპრილი | ბოსტონი-მონრეალი |
| 18 აპრილი | ბოსტონი-მონრეალი |
| 20 აპრილი | მონრეალი-ბოსტონი |
| 22 აპრილი | მონრეალი-ბოსტონი |
| 25 აპრილი* | ბოსტონი-მონრეალი |
| 27 აპრილი* | მონრეალი-ბოსტონი |
| 29 აპრილი* | ბოსტონი-მონრეალი |

**ვაშინგტონი (2)–რეინჯერსი (7)**

| | |
|---|---|
| 15 აპრილი | ვაშინგტონი-რეინჯერსი |
| 18 აპრილი | ვაშინგტონი-რეინჯერსი |
| 20 აპრილი | რეინჯერსი-ვაშინგტონი |
| 22 აპრილი | რეინჯერსი-ვაშინგტონი |
| 24 აპრილი* | ვაშინგტონი-რეინჯერსი |
| 26 აპრილი* | რეინჯერსი-ვაშინგტონი |
| 28 აპრილი* | ვაშინგტონი-რეინჯერსი |

**ნიუ ჯერსი (3)–კაროლინა (6)**

| | |
|---|---|
| 15 აპრილი | ნიუ ჯერსი-კაროლინა |
| 17 აპრილი | ნიუ ჯერსი-კაროლინა |
| 19 აპრილი | კაროლინა-ნიუ ჯერსი |
| 21 აპრილი | კაროლინა-ნიუ ჯერსი |
| 23 აპრილი* | ნიუ ჯერსი-კაროლინა |
| 26 აპრილი* | კაროლინა-ნიუ ჯერსი |
| 28 აპრილი* | ნიუ ჯერსი-კაროლინა |

**პიტსბურგი (4)–ფილადელფია (5)**

| | |
|---|---|
| 15 აპრილი | პიტსბურგი-ფილადელფია |
| 17 აპრილი | პიტსბურგი-ფილადელფია |
| 19 აპრილი | ფილადელფია-პიტსბურგი |
| 21 აპრილი | ფილადელფია-პიტსბურგი |
| 23 აპრილი* | პიტსბურგი-ფილადელფია |
| 25 აპრილი* | ფილადელფია-პიტსბურგი |
| 27 აპრილი* | პიტსბურგი-ფილადელფია |

### დასავლეთის კონფერენცია

**სან ხოსე (1)–ანაჰაიმი (8)**

| | |
|---|---|
| 16 აპრილი | სან ხოსე-ანაჰაიმი |
| 19 აპრილი | სან ხოსე-ანაჰაიმი |
| 21 აპრილი | ანაჰაიმი-სან ხოსე |
| 23 აპრილი | ანაჰაიმი-სან ხოსე |
| 25 აპრილი* | სან ხოსე-ანაჰაიმი |
| 27 აპრილი* | ანაჰაიმი-სან ხოსე |
| 29 აპრილი* | სან ხოსე-ანაჰაიმი |

**დეტროიტი (2)–კოლამბუსი (7)**

| | |
|---|---|
| 16 აპრილი | დეტროიტი-კოლამბუსი |
| 18 აპრილი | დეტროიტი-კოლამბუსი |
| 21 აპრილი | კოლამბუსი-დეტროიტი |
| 23 აპრილი | კოლამბუსი-დეტროიტი |
| 25 აპრილი* | დეტროიტი-კოლამბუსი |
| 27 აპრილი* | კოლამბუსი-დეტროიტი |
| 29 აპრილი* | დეტროიტი-კოლამბუსი |

**ვანკუვერი (3)–სტ. ლუისი (6)**

| | |
|---|---|
| 15 აპრილი | ვანკუვერი-სტ. ლუისი |
| 17 აპრილი | ვანკუვერი-სტ. ლუისი |
| 19 აპრილი | სტ. ლუისი-ვანკუვერი |
| 21 აპრილი | სტ. ლუისი-ვანკუვერი |
| 24 აპრილი* | ვანკუვერი-სტ. ლუისი |
| 26 აპრილი* | სტ. ლუისი-ვანკუვერი |
| 28 აპრილი* | ვანკუვერი-სტ. ლუისი |

**ჩიკაგო (4)–კალგარი (5)**

| | |
|---|---|
| 16 აპრილი | ჩიკაგო-კალგარი |
| 18 აპრილი | ჩიკაგო-კალგარი |
| 20 აპრილი | კალგარი-ჩიკაგო |
| 22 აპრილი | კალგარი-ჩიკაგო |
| 25 აპრილი* | ჩიკაგო-კალგარი |
| 27 აპრილი* | კალგარი-ჩიკაგო |
| 29 აპრილი* | ჩიკაგო-კალგარი |

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# უეიდს რეკორდი არ აცალეს

## ვაშინგტონს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს



„მაიამი ჰიტის" ლიდერი **დუეინ უეიდი** გასული ტურის გმირად გამოცხადდა. ამ ბრწყინვალე კალათბურთელმა ბოლო ორი თვის განმავლობაში მესამედ დააგროვა მატჩში 50-ზე მეტი ქულა. ამჯერად, ფლორიდელთა მცველის ანგარიშზე 55 ქულა იყო.

დუეინს „ნიუ იორკ ნიქსთან" მატჩში მეტიც შეეძლო, კერძოდ გაეუმჯობესებინა „მაიამის" ყველა დროის რეკორდი ერთ მატჩში დაგროვებული ქულების რაოდენობით. „ჰიტის" მთავარმა მწვრთნელმა **ერიკ სპოელსტრამ** საფინალო სირენამდე წუთით ადრე გაიყვანა მოედნიდან უეიდი, არადა ამ უკანასკნელს სულ ორი ქულა აკლდა **გლენ რაისის** რეკორდის (56 ქულა) მოსახსნელად.

თუმცა ტურის გმირი ამის გამო არ განაწყენებულა. სხვათა შორის, მატჩის შემდეგ სპოელსტრამ ასეთი კომენტარი გაუკეთა თავის გადაწყვეტილებას: *„დუეინს ნებისმიერი რეკორდის გაუმჯობესება შეუძლია, მაგრამ მოდით, ერთი რეკორდი გლენ რაისსაც დავუტოვოთ".*

■ ■ ■

წლევანდელი სეზონის მთავარ აუტსაიდერ „ვაშინგტონ უიზარდსს" მომავალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება. ჯერჯერობით დაუდასტურებელი ინფორმაციით, დედაქალაქური კლუბი „მინესოტასა" და „დეტროიტის" ყოფილმა დამრიგებელმა **ფლიპ სონდერსმა** ჩაიბარა.

*„გარიგება შედგა. კონტრაქტი უკვე გაფორმებულია"*, - იტყობინება ერთ-ერთი ანონიმური წყარო.

უფრო შორს მიდის „ვაშინგტონ პოსტი", რომელიც წერს, რომ სონდერსის ასისტენტი იქნება ცნობილი მცველი **სემ კასელი**, რომელმაც წელს დაასრულა აქტიური სპორტული კარიერა. კასელს NBA-ის ხუთ კლუბში უთამაშია, მისი ბოლო გუნდი კი „ბოსტონ სელტიქსი" იყო, საიდანაც „საკრამენტოში" გაცვალეს, თუმცა ვეტერანს იქ თამაში არ ღირსებია.

■ ■ ■

„მემფის გრიზლისის" სერბი ცენტრი **დარკო მილიჩიჩი** აცხადებს, რომ ევროპაში დაბრუნება და საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" შემადგენლობაში კარიერის გაგრძელება სურს. კალათბურთელის სიტყვებით, „ოლიმპიაკოსის" წითელ-თეთრი მაისურები მშობლიურ კლუბს - „ცრვენა ზვეზდას" ახსენებს.

2008-09 წლების სეზონში მილიჩიჩი საშუალოდ 5.7 ქულასა და 4.4 მოხსნას აგროვებს.

**ნიუ ორლეანი-დალასი 102:92**

22:13, 23:32, 24:24, 33:23

ნ-ო: პოლი (31+9 მოხსნა+17 პასი), დ. უესტი (31), რ. ბატლერი (13), სტოიაკოვიჩი (11).

დ: ნოვიცკი (29+14 მოხსნა), ჯ. ჰოვარდი (15), ტერი (13), ბასი (13), დამპიე (4+12 მოხსნა).

**კლივლენდი-ბოსტონი 107:76**

31:9, 21:24, 30:23, 25:20

კ: ლ. ჯეიმსი (29+7 პასი), გიბსონი (15), მ. უილიამსი (13+6 პასი), დ. უესტი (13), ილგაუსკასი (11+10 მოხსნა).

ბ: პირსი (14), გ. დევისი (12), მური (10).

**მაიამი-ნიუ იორკი 122:105**

37:26, 26:39, 34:26, 25:14

მ: უეიდი (55+9 მოხსნა), ბიზლი (28+16 მოხსნა), ჩელმერსი (15+9 პასი+4 ჩაჭრა).

ნ-ი: ჩენდლერი (21), ჰარინგტონი (21), კ. რიჩარდსონი (14+7 მოხსნა), დ. ლი (11+11 მოხსნა), ჯეფრიზი (10).

**ტორონტო-ფილადელფია 111:104**

27:22, 26:31, 28:27, 30:24

ტ: ბოში (22+8 მოხსნა), ე. პარკერი (18+3 ჩაჭრა), ბარნიანი (17+6 დაფარება), მერიონი (14+3 ჩაჭრა), კალდერონი (11+11 პასი), ო'ბრაიანტი (10).

ფ: ლ. უილიამსი (23+6 პასი), იგუოდალა (21+8 პასი), დალემბერი (18+12 მოხსნა), ა. მილერი (10), სპეიტსი (10).

**საკრამენტო-სან ანტონიო 92:95**

25:24, 36:30, 16:20, 15:21

საკ: ჰოვსი (24+8 მოხსნა+3 დაფარება), გარსია (12), ბ. ჯექსონი (11), ნოჩიონი (11+8 მოხსნა), ტომპსონი (8+11 მოხსნა).

ს-ა: ტ. პარკერი (25+9 პასი), რ. მეისონი (22), უდოკა (11), კ. ტომასი (9+13 მოხსნა+3 დაფარება).

**ლეიკერსი-მემფისი 92:75**

23:15, 25:22, 22:22, 22:16

ლ: ბინუმი (18), ბრაიანტი (16+7 მოხსნა), პ. გასოლი (12+13 მოხსნა), არიზა (12+3 ჩაჭრა).

მ: მაიო (20), მ. გასოლი (14+8 მოხსნა), უორიკი (12), გეი (10).

ველოსპორტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოონენის მესამე ტრიუმფი

ბელგიელმა **ტომ ბოონენმა** კარიერაში მესამედ მოიგო პრესტიჟული ერთდღიანი რბოლა - "პარიზი-რუბე". ცენტრალური მომენტი გახდა ავარია, რომელიც ფინიშამდე 60 კილომეტრით ადრე მოხდა: რბოლის თანმხლები მოტოციკლი მაყურებლებში შევარდა, რის გამოც გულშემატკივრებთან ერთად, ველომრბოლელებიც დაზარალდნენ. ამ ავარიის შემდეგ, ერთადერთი, ვისაც ბელგიელის დაწევა შეეძლო, იტალიელი **ფილიპო პოცატო** იყო, მაგრამ მან მხოლოდ 47 წამამდე შეამცირა მომავალ გამარჯვებულთან ჩამორჩენა.

**107-ე ერთდღიანი რბოლა პარიზი-რუბე**

| | |
|---|---|
| 1. ბოონენი (ბელგია, Quick Step) | 6:15.53 |
| 2. პოცატო (იტალია, "კატიუშა") | +0.47 |
| 3. ჰუშოვდი (ნორვეგია, Cervelo) | +1.17 |
| 4. ჰოსტე (ბელგია, Silence-Lotto) | +1.17 |
| 5. ვან ცუმერენი (ბელგია, Silence-Lotto) | +1.22 |
| 6. ფლეჩა (ესპანეთი, Rabobank) | +2.14 |

TV პროგრამა

**14 აპრილი. სამშაბათი**

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:40 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
08:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ნიცა.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. მაინცი-ფრაიბურგი.
14:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:40 ლიბერტადორესის თასი.
21:30 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა (LIVE).
00:40 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. სეზონის მიმოხილვა.
11:15 ახალი ამბები.
11:45 ტაილანდური კრივი.
12:45 კარატე. რუსეთის ჩემპიონატი.
14:00 სპორტული დღე.
14:45 ფიგურული სრიალი. გრანპრი. რუსეთი.
17:30 ახალი ამბები.
18:00 აფროსნობა. VOLVO OCEAN RACE.
18:30 ბილიარდი.
20:30 ახალი ამბები.
21:00 ცხენოსნობა. კონკური. რუსეთის ჩემპიონატი.
22:00 სპორტული საღამო.
22:30 როდეო. BULL RIDERS.
23:30 კალათბურთი. NCAA-ის ჩემპიონატი. "ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. ჩრდილოეთ კაროლინა-ვილანოვა.

**EUROSPORT**

10:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-პორტუ.
12:15 მულტისპორტი.
12:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
13:45 ევროგოლი - სპეციალური გამოშვება. ლიონელ მესი.
14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ბაიერნი.
15:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
16:00 ველოსპორტი. თურქეთის ტური. III ეტაპი (LIVE).
18:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
18:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 105 კგ. რუმინეთი.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. რუმინეთი.
21:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 პროფესიული კრივი. ნახევრადმძიმე წონა. ე. მირანდა (კოლუმბია)-ჯ. ვეგასი (უგანდა). ლონდონი. ბრიტანეთი.
23:00 პროფესიული კრივი. სუპერსაშუალო წონა. ს. დერმერსი (კანადა)-მ. ბერჰიამი (კანადა). კანადა.
00:50 ავტომოტოსპორტი. ტესტ-რეიდი.
01:00 ავტოსპორტი. "რენოს" მსოფლიოს სერია. სეზონის მიმოხილვა.
01:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. რუმინეთი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ავსტრალია.
11:00 ახალი ამბები.
11:30 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა.
14:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
14:30 ახალი ამბები.
15:00 სერფინგი. ავსტრალია.
15:15 ექსტრემალური სპორტი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. გერმანია.
17:15 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა.
17:45 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
18:15 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. თურქეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სკეიტბორდი. ჰოლანდია.
21:00 ავტოსპორტი. ლე მანის ამერიკული სერია.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
23:00 სერფინგი. ავსტრალია.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| ჩემპიონატი | |
|---|---|
| ბარნსლი-სუონსი | 1:3 |
| ბირმინგემი-პლიმუტი | 1:1 |
| ბლეკპული-რედინგი | 2:2 |
| ბრისტოლი-იფსვიჩი | 1:1 |
| კარდიფი-ბარნლი | 3:1 |
| ქოვენთრი-ჩარლტონი | 0:0 |
| დერბი-ვულვზი | 2:3 |
| დონკასტერი-პრესტონი | 0:2 |
| ნორვიჩი-უოტფორდი | 2:0 |
| ქუინზ პარკი-უენსდი | 3:2 |
| შეფილდი-ნოტინგემი | 0:0 |
| საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 1:0 |
| **I ლიგა** | |
| ლესტერი-ლიდსი | 1:0 |
| ჩელტენემი-იეოვილი | 1:0 |
| კოლჩესტერი-ბრაიტონი | 0:1 |
| ჰარტლპული-სკანთორფი | 2:3 |
| ჰადერსფილდი-კარლაილი | 1:0 |
| მილტონი-როვერსი | 2:1 |
| ნორთჰემპტონი-საუთენდი | 2:3 |
| ოლდჰემი-ქრიუ | 1:1 |
| სტოკპორტი-უოლსოლი | 1:2 |
| სუინდონი-ლორიანი | 0:1 |
| ტრანმერი-ჰერეფორდი | 2:1 |
| მილუოლი-პიტერბრო | 2:0 |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-ჩესტერი | 0:1 |
| ალდერშოტი-ბარნეტი | 1:1 |
| ბორნმუთი-ბრენტფორდი | 0:1 |
| ბრედფორდი-ლინკოლნი | 1:1 |
| დარლინგტონი-ბერი | 2:2 |
| ექსეტერი-უიკომბი | 1:0 |
| ჯილინგემი-დაგენჰემი | 2:1 |
| ლუტონი-ჩესტერფილდი | 0:0 |
| მაკლსფილდი-მორეკამბი | 0:1 |
| ნოტსი-გრიმსბი | 0:2 |
| პორტ ვეილი-როტერჰემი | 0:0 |
| შრიუსბერი-როჩდეილი | 1:1 |
| **კონფერენსი** | |
| ბაროუ-იორკი | 0:0 |
| ქროული-სტივენეიჯი | 0:2 |
| ისტბურნი-გრეისი | 2:1 |
| ებსფლიტი-ლიუისი | 2:1 |
| ჰისტონი-რაშდენი | 0:0 |
| კეტერინგი-კემბრიჯი | 1:2 |
| კიდერმინსტერი-ბარტონი | 2:1 |
| ნორთვიჩი-მენსფილდი | 2:0 |
| სალისბერი-ტორკი | 2:2 |
| უეიმაუთი-ფორესტ გრინი | 1:1 |
| უოკინგი-ოქსფორდი | 0:2 |
| რექსჰემი-ალტრინჩემი | 0:1 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| ტროფენსე-ნასიონალი | 1:2 |

| შოტლანდია | |
|---|---|
| სტ. მირენი-ჰიბერნიანი | 1:1 |

| გერმანია. II ბუნდესლიგა | |
|---|---|
| მაინცი-ფრაიბურგი | 1:2 |

| საფრანგეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| ლანსი-სტრასბური | 4:1 |

| დანია | |
|---|---|
| მიდტიულანდი-ორჰუსი | 3:2 |
| რანდერსი-სიონდერილი | 3:1 |
| კოპენჰაგენი-ვეილე | 4:1 |
| **II დივიზიონი** | |
| სკივე-ვიბორგი | 1:3 |
| კიოლდინგი-ჰერფიოლგე | 1:4 |
| ნაესტვედი-ტისტედი | 5:3 |
| ნიკიობინგი-აკადემისკი | 0:1 |
| სილკებორგი-ფრედერისია | 1:2 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| ბ. გლიმტი-სტრიომსგოდსეტი | 1:0 |
| ბრანი-ტრომსიო | 2:4 |
| ლინი-ვიკინგი | 0:0 |
| მიოლდე-სანდეფიორდი | 1:1 |
| ოდ გრენლანდი-ოლესუნდი | 4:2 |
| ლილესტრიომი-ვოლერენგა | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 4:1 |
| ჰიონეფოსი-ნილი | 1:2 |
| ლოვ ჰამი-ტრიომსდალენი | 0:1 |
| მიონდალენი-სიოგნდალი | 0:0 |
| სარპსბორგი-ნოტოდენი | 1:2 |
| სკეიდი-ბრინი | 1:0 |
| სტავანგერი-მოსი | 2:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| გაის-ჰელსინგბორგი | 1:4 |
| მალმიო-იორგრიტე | 3:0 |
| კალმარი-აიკ | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-იონჩოპინგი | 2:1 |
| ატვიდაბერგი-სირიანსკა | 1:2 |
| სუნდსვალი-ფარკენბერგი | 2:1 |
| ტროლჰატანი-მიალბიუ | 0:1 |
| ვასალუნდსი-ვასბი | 2:0 |
| კვიდინგი-ლანდსკრონა | 2:1 |

| შვეიცარია. ჩელენჯლიგა | |
|---|---|
| სტ. გალენი-შაფჰაუზენი | 2:1 |

| შვეიცარიის თასი | |
|---|---|
| ლუცერნი-სიონი | 1:1, პენ. 2:4 |

| საბერძნეთი. II დივიზონი | |
|---|---|
| კავალა-იანინა | 2:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სლავია-სპარტა | 1:1 |

| ბულგარეთი | |
|---|---|
| ჩერნო მორე-ლოკომოტივი (პ) | 2:1 |

| თურქეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| სამსუნი-დიარბაქირი | 1:0 |

| უელსი | |
|---|---|
| ეირბასი-ნიუი | 1:0 |
| ბანგორი-კერნარფონი | 1:1 |
| ქერსოუსი-ნიუთაუნი | 1:1 |
| ქონეჰსი-პორტმედოგი | 3:1 |
| პორტ ტელბოტი-ნითი | 2:0 |
| პრესტატინი-რილი | 1:4 |
| უელშპული-ტნს | 1:2 |

**კალათბურთი**

| გერმანია | |
|---|---|
| ტრირი-ჰესენი | 87:77 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ფუენლაბრადა-რეალი | 84:88 |

**ჰოკეი**

| გერმანია | |
|---|---|
| აისბარენი-დიუსელდორფი | 5:1 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| კლოტენი-დავოსი | 1:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. მონტე კარლო | |
|---|---|
| ჩელა-კუნიცინი | 6:4, 2:6, 7:5 |
| ბენეტო-ერნანდესი | 4:6, 4:6 |
| აკასუსო-გრანოლერსი | 6:7, 6:7 |
| ჰანესკუ-მარტინი | 6:2, 6:3 |
| შვანკი-ჟიკელი | 6:3, 1:6, 6:7 |
| სეპი-მელცერი | 6:2, 6:0 |
| კიფერი-ბეკი | 6:1, 6:7, 4:6 |
| ლუბიჩიჩი-ვლიეგენი | 6:4, 6:7, 6:4 |
| მონაკო-შარდი | 6:2, 7:5 |
| შტეპანეკი-ლაპენტი | 3:6, 6:1, 3:6 |
| ჩილიჩი-ჩიპოლა | 6:3, 6:2 |
| **WTA. ბარსელონა** | |
| პირონკოვა-საფაროვა | 1:6, 6:3, 0:6 |
| რიბარიკოვა-ზაკოპალოვა | 6:1, 7:6 |
| ვინჩი-პარმენტიე | 6:4, 7:6 |
| ერანი-იოჰანსონი | 2:6, 7:5, 6:3 |
| პენეტა-კვიტოვა | 6:3, 6:3 |
| კორნე-კოენ ალორო | 0:6, 3:6 |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| ლეპჩენკო-ვოსკობოევა | 6:1, 6:3 |
| მეირი-იან ჟი | 6:2, 6:2 |
| მორიტა-დიტი | 1:6, 1:6 |
| პაშეკი-შრუფი | 7:5, 6:2 |
| რაზანო-სესილი | 6:1, 6:2 |
| ა. ბონდარენკო-კრემერი | 6:4, 6:0 |
| დე ლოს რიოსი-ჭალიქსონი | 6:1, 6:4 |
| დომახოვსკა-სევასტოვა | 1:6, 6:1, 4:6 |
| პენგი-პივოვაროვა | 6:0, 6:2 |
| როდიონოვა-ბრენგლე | 6:2, 7:6 |
| გლეტჩი-ვეინეროვა | 4:6, 5:7 |
| გოვორცოვა-კინგი | 7:6, 6:7, 3:6 |
| სავჩუკი-ოუდინი | 4:6, 0:6 |
| კრეიბასი-ჩინკი | 2:6, 4:6 |

კრივი



# არეოლა მოდის

გასულ უიქენდზე სუპერმძიმე წონაში ერთი საინტერესო ბრძოლა გაიმართა. ლას-ვეგასში 27 წლის დაუმარცხებელმა მოკრივემ, ამერიკელმა **კრის არეოლამ** მორიგი ბრძოლა მოიგო. იგი ვეტერან თანამემამულეს, 38 წლის **ჯამილ მაკლეინს** მეოთხე რაუნდში ნოკაუტით გაუსწორდა.

დღეისთვის, არეოლა ჩემპიონის ტიტულის მაძიებელთა რიცხვში შედის. მან მაკლაინთან ბრძოლა კორპუსში დარტყმების სერიით დაიწყო. გაბარიტებით მეტოქეზე გაცილებით დიდმა ჯამილმა ინიციატივის ხელში ჩაგდება სცადა, მაგრამ არეოლას სულ უფრო და უფრო მეტი ზუსტი დარტყმა გასდიოდა და მეოთხე რაუნდში, დარტყმების მორიგი სერიის შემდეგ, მაკლაინი რინგზე დაეცა. რეფერიმ მას ათამდე დაუთვალა.

ეს იყო არეოლას 27-ე გამარჯვება 27 ჩატარებულ შეხვედრაში. მან იმედი გამოთქვა, რომ ამ ბრძოლის შემდეგ, რომელიმე ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონთან ჩხუბის საშუალებას მისცემენ. დღეისთვის, WBC-ის (მსოფლიოს კრივის საბჭო) საჩემპიონო ქამარი უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოს** ეკუთვნის, IBF-ისა (საერთაშორისო კრივის ფედერაცია) და WBO-ის (მსოფლიოს კრივის ორგანიზაცია) ვერსიებით საუკეთესოა **ვლადიმერ კლიჩკო**, ხოლო WBA-ის (მსოფლიოს კრივის ასოციაცია) რჩეული რუსი **ნიკოლაი ვალუევია.**

ამერიკელმა მოკრივემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ნებისმიერ მეტოქესთან ისურვებდა შეხვედრას, მათ შორის, ძმებ კლიჩკოებთან. თუმცა ვლადიმერს უკვე დანიშნული აქვს ჩხუბი ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან**, რომელიც 20 ივნისს შედგება. ვიტალიმ კი სულ ახლახან დაამარცხა კუბელი **ხუან კარლოს გომესი** და ახლა, WBC მას რუს **ოლეგ მასკაევთან** ბრძოლას ავალდებულებს.

ჩოგბურთი

# გაცოცხლებული ვეტერანები

ამერიკული მასტერსების შემდეგ, მსოფლიოს წამყვანმა ჩოგბურთელებმა ერთკვირიანი არდადეგები მოიწყვეს, რის გამოც ჰიუსტონის მამაკაცთა ტურნირი ვარსკვლავების ნაკლებობას განიცდიდა.

ამ ტურნირის მთავარი მოქმედი პირი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი **ლეიტონ ჰიუიტი** იყო, რომელიც უკვე აღარ აცხადებს ვარსკვლავობაზე პრეტენზიას და ამჟამად, კლასიფიკაციაში 88-ე ადგილს იკავებს.

ჰიუიტი ზუსტად ორი წელი ვერ ახერხებდა მამაკაცთა პროფესიულ ტურში ტურნირის მოგებას და ჰიუსტონში გამარჯვებას მისთვის უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ფინალში ავსტრალიელის მეტოქე ნაკლებად ცნობილი ამერიკელი **უეინ ოდესნიკი** იყო, რომელსაც ტრიბუნებიდან მხარდაჭერა არ აკლდა, მაგრამ ამან მაინც ვერ უშველა და ორი სეტში დათმო შეხვედრა.

ბრძოლა მხოლოდ მეორე პარტიაში იყო, სადაც მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. ჯერ ჰიუიტმა მოიგო ზედიზედ სამი გეიმი, შემდეგ ოდესნიკმა ერთმანეთის მიყოლებით ხუთი გეიმი აიღო და 5:3 დაწინაურდა. ბოლოს ისევ ავსტრალიელმა იმარჯვა და ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით, კარიერაში 26-ე ტიტული მიითვალა.

სხვათა შორის, ჰიუიტმა პროფესიულ არენაზე 498-ე გამარჯვება მოიპოვა. კიდევ ორი მოგება და ის ხუთასიანთა ჯგუფს შეუერთდება, სადაც მოქმედ ჩოგბურთელთაგან მხოლოდ შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და ესპანელი **კარლოს მოია** ირიცხებიან.

კასაბლანკას ტურნირი მეორე ვეტერანმა მოიგო. ესპანელმა **ხუან კარლოს ფერერომ** ექვსწლიანი უიღბლო სერია შეწყვიტა და 2003 წლის (ეს ის სეზონია, როცა როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი ცოტა ხნით კლასიფიკაციის პირველი ნომერი გახდა) შემდეგ პირველი ტურნირი მოიგო.

ხუან კარლოსმა ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა მთელი ტურნირი და მთავარი პრიზი სეტის წაუგებლად მოიპოვა. ფრანგ **ფლორან სერასთან** ფინალის პირველ პარტიაში ესპანელი მუდმივად წინ იყო და მეტოქეზე გაცილებთ უკეთ გამოიყურებოდა. მეორეში სერა ბრეიკებით ორჯერ დაწინაურდა - 3:1 და 4:2, მაგრამ როგორც კი წარმატებას აღწევდა, ფერერო მაშინვე აქტიურ მოქმედებაზე გადადიოდა და ანგარიშს ათანაბრებდა. ბოლოს კი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა და გატეხა სერას წინააღმდეგობა.

■ ■ ■

კაცების მსგავსად, ქალებმაც თიხნარის კორტებზე გადაინაცვლეს. უმნიშვნელოვანესი იყო მარბელიას ტურნირი სერბი **ელენა იანკოვიჩისთვის**, რომელსაც თებერვლის შემდეგ არათუ ტურნირი, ერთი მატჩიც არ მოეგო. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, როგორც იქნა, შეწყვიტა ეს "შავი სერია".

იანკოვიჩმა პირველ ორ მატჩში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო მეტოქეებს, თუმცა მეოთხედფინალიდან მოყოლებული წინსვლა გაუჭირდა. ჯერ მარათონული მატჩის ჩატარებამ მოუწია **რობერტა ვინჩისთან**, ნახევარფინალში **მედინა გარიგესთან** ერთი სეტის მოგებას საათ-ნახევარი შეალია. გადამწყვეტ მატჩში ელენას მეტოქე კიდევ ერთი ესპანელი **კარლა სუარეს ნავარო** იყო, რომელიც პირველად თამაშობდა WTA-ის ტურნირის ფინალში.

სერბმა აქტიურად დაიწყო შეხვედრა, ესპანელის დაცვითმა ტაქტიკამ კი არ გაამართლა და პირველი სეტი ელენას დარჩა - 6:3. მეორე პარტიაში სუარესი უფრო აქტიურად ათამაშდა, კარგად იყენებდა თავის ბრწყინვალე ბექჰენდს, რამაც სეტებს შორის ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. მაგრამ ეს დროებითი წარმატება იყო. გადამწყვეტ სეტში იანკოვიჩი 5:1 დაწინაურდა და აღარ გასჭირვებია ტურნირის მოგება.



*"ვიცი, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში ცუდად ვთამაშობდი. ვფიქრობ, ეს გამარჯვება საკუთარი ძალებისადმი რწმენას დამიბრუნებს"*, - განაცხადა მთავარი პრიზის მიღების შემდეგ იანკოვიჩმა.

**ATP**

**Grand Prix Hassan II**

კასაბლანკა (მაროკო). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 450 000 ევრო

**ფინალი**

**ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-ფლორან სერა (საფ, 5) 6:4, 7:5.

**US Men's Clay Court**

ჰიუსტონი (აშშ). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 500 000 დოლარი

**ფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:2, 7:5.

**WTA**

**Andalucia Tennis Experience**

მარბელია (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 500 000 დოლარი

**ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 5) 6:3, 3:6, 6:3.

**MPS Group Championship**

პონტე ვედრა (აშშ). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 2)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან, 5) 6:1, 6:2.

# დაამარცხე ჰინგისი!



მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარტინა ჰინგისი** სატელევიზიო შოუში დაპატიჟეს. ეს გახლავთ ბრიტანეთის ტელევიზიის პროექტი, რომლის სახელწოდებაა - "დაამარცხე ვარსკვლავი" (Beat the Star). ამ გადაცემაში რიგითი მოქალაქეები სხვადასხვა სპორტულ კონკურსში ცნობილ ადამიანებს ეჯიბრებიან. საპრიზო ფონდი 50 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ ჰინგისმა 2007 წელს ხელმეორედ დაასრულა კარიერა, რადგან უიმბლდონზე აღებულმა დოპინგტესტმა, ჩოგბურთელის ორგანიზმში კოკაინის კვალი დააფიქსირა.

*"ანალიზმა აჩვენა, რომ მე კოკაინი მივიღე, თუმცა ნარკოტიკს არასოდეს გავკარებივარ, ამიტომაც თავს უდანაშაულოდ მივიჩნევ"*, - თქვა მაშინ ჰინგისმა, თუმცა ამის მიუხედავად, მარტინამ კარიერის გაგრძელება აღარ ისურვა.

# ენდიმ როჯერს მიჰბაძა

გუშინდელ ნომერში გატყობინებდით, რომ შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა მირკა ვავრინეცზე** იქორწინა. სულ მალე კი საჩოგბურთო საზოგადოება კიდევ ერთ ქორწილს იხილავს. ცნობილი გახდა ამერიკელი ენდი როდიკისა და Sports Illustrated-ის მოდელ **ბრუკლინ დეკერის** შეუღლების თარიღი. ცერემონია მომავალ უიქ ენდზე ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინში გაიმართება.

სტუმრებს შორის იქნებიან ცნობილი მომღერალი **ელტონ ჯონი**, აგრეთვე ამერიკის საჩოგბურთო ნაკრებში როდიკის პარტნიორები - **მარდი ფიში** და **ჯეიმს ბლეიკი.**

ენდი და ბრუკლინი 2007 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს, 2008 წლის 31 მარტს კი მათ ნიშნობის შესახებ გამოაცხადეს.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

